

ტრეისი ლეტსი

აგვისტო, ოსეიჯის ოლქი

ინგლისურიდან თარგმნა დავით გაბუნიაძე

## მოქმედი პირები

უესტონების ოჯახი:

ბევერლი უესტონი, 69 წლის

ვაიოლეტ უესტონი, ბევერლის ცოლი, 65 წლის

ბარბარა ფორდჰემი, ბევერლისა და ვაიოლეტის ქალიშვილი, 46 წლის

ბილ ფორდჰემი, მისი ქმარი, 49 წლის

ჯინ ფორდჰემი, მათი ქალიშვილი, 14 წლის

ივი უესტონი, ბევერლისა და ვაიოლეტის ქალიშვილი, 44 წლის

კარენ უესტონი, ბევერლისა და ვაიოლეტის ქალიშვილის, 40 წლის

მეტი ფეი აიკინი, ვაიოლეტის და, 57 წლის

ჩარლი აიკინი, მეტი ფეის ქმარი, 60 წლის

პატარა ჩარლზი, მათი ვაჟი, 37 წლის

სხვები:

ჯონა მონევატა, მოახლე

სტივ ჰაიდერბეხტი, კარენის საქმრო, 50 წლის

შერიფი დეონ გილბიუ, 47 წლის

მოქმედების დრო: 2007 წლის აგვისტო

დიდი ქალაქგარე სახლი პოპუსკასთან, ოკლაჰომას შტატში, ტალსადან ჩრდილოდასავლეთით, სამოცი მილის მოშორებით.

ბავშვი სახლში ბრუნდება და მშობელი მას კაუჭზე წამოაგებს. მოხუც კაცს ან ქალს მისთვის არაფერი აქვს სათქმელი. უნდათ, რომ ბავშვი რამდენიმე საათი სავარძელში იჯდეს და მერე იმავე ჭერქვეშ დაიძინოს. ეს არ არის სიყვარული. სულაც არ ვამტკიცებ, რომ სიყვარული არ არსებობს. უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ ეს სიყვარულისგან განსხვავდება, მაგრამ ზოგჯერ მაინც სიყვარულად მოიხსენიება. შესაძლებელია, რომ ამ გრძნობის გარეშე, რომელზედაც ვლაპარაკობ, სიყვარული არც არსებობდეს. მაგრამ თავად იგი არ არის სიყვარული. ეს რაღაც სისხლშია. ერთგვარი სისხლისმიერი ლტოლუვაა, ადამიანის ბედისწერაა. იგი ადამიანისთვისაა დამახასიათებელი და გამოარჩევს მას ბედნიერი მხეცებისგან. როცა იბადები, მამაშენი და დედაშენი რაღაც თავისას კარგავენ, და მერე ტყავიდან ძვრებიან, რათა დაიბრუნონ ის „რაღაც“, რომელიც შენ ხარ. იციან, რომ მთლიანად ვერ დაიბრუნებენ, მაგრამ ცდილობენ იმდენი წაგლოჯონ, რამდენიც შეუძლიათ. და ოჯახის ერთად თავშეყრის ტრადიცია, ნეკერჩხლის ხეებქვეშ პიკნიკი, რვაფეხებით სავსე აუზში ჩახტომას ემსგავსება.

რობერტ პენ უორენი, „მეფის მთელი ამალა“

## პროლოგი

ქალაქგარე სახლი ოკლაჰომაში, ქალაქ ტალსადან სამოცი მილის მანძილზე. სახლი უკვე საუკუნეზე ხნიერია. სავარაუდოდ, წარმატებული ირლანდიელი პირველმოსახლეების აშენებულია. სახლს გამუდმებული შეკეთებისა და რემონტის კვალი ატყვია, რაც 1972 წლამდე გრძელდებოდა, მას შემდეგ კი საფუძვლიანად არაფერი შეცვლილა.

პირველი სართული:

სამი ძირითადი სათამაშო სივრცე დერეფნებითაა შეერთებული. პირველი - მარჯვენა მხარეს, სასადილო ოთახია. დიდი, ძველმოდური სასადილო მაგიდა და რვა სკამი, იქვე იმავე სტილის სერვანტი, შიგნით დახვეწილი ფაიფურის ჭურჭლით. დამტვერილი ბროლის ჭადი იქაურობას პირქუშ ყვითელ შუქს ფენს. უკან თაღოვანი გასასვლელი სასტუმრო ოთახში გადის. პატარა მაგიდაზე ციფერბლატიანი ტელეფონი დგას, იქვე რბილზურგიანი სკამი უდგას. სიღრმეში კარი მოსჩანს, რომელიც ჰოლში გადის.

ცენტრში მოქცეულია მისაღები ოთახი. დივანი, ტელევიზორი, მუსიკალური ცენტრი, ვურლიცერის ფირმის ელექტრონული პიანინო.

მარცხნივ - კაბინეტია. საშუალო ზომის საწერი მაგიდა, ზედ დახვეწებული წიგნებით, ფურცლებით, საქალაქო დეკორით, ბლოკნოტებით. უკანა პლანზე ჩანს თალი, რომლითაც სახლის მთავარ შემოსასვლელთან გავდივართ; ასევე მოჩანს მეორე სართულზე ამავალი კიბე. ცოტა მოშორებით, უკანა პლანზე, კარი, საიდანაც ნაწილობრივ ჩანს სამზარეულო.

მეორე სართული:

კიბე, რომლითაც ბაქანთან ავდივართ, ზუსტად მისაღები ოთახის თავზე. სავარძელი ბალიშებით, დგას ფანჯარასთან, დერეფანში, რომელიც საძინებლისკენ მიდის. მეორე კიბეს მანსარდაში ავყავართ.

მანსარდა:

ცენტრში განთავსებული ერთი ოთახი, დახრილი კედლებით, მოხერხებულადაა გადაკეთებული საძინებლად.

სახლი სავსეა წიგნებით.

ყველა ფანჯარას იაფფასიანი, ხელოვნური პლასტიკატის მასალითაა დაფარული, კიდეებზე გადაკრული შავი სკოჩი გარედან სინათლეს საერთოდ არ უშვებს ოთახებში.

ფარდის გახსნისას: საწერი მაგიდის ლამპით ბუნდოვნად განათებული ბევრელი უესტონი მთვრალია, ვისკის ჭიქას ეფერება, სანამ გონა მონევატას „ინტერვიუს“ აძლევს.

**ბევრლი:** „ცხოვრება ისე გრძელია...“, ტომას სტერნზ ელიოტი. მგონი... პატივისცემას იმსახურებს ამ სიტყვების დაწერისთვის. პირველი არ არის, ვინც ეს თქვა... არაა პირველი ადამიანი, ვინც ამაზე იფიქრა. იგრძნო. მაგრამ ცარიელ ფურცელზე სწორედ მან დაწერა ეს

სიტყვები და ხელიც მოაწერა. ეგ სათვალეებიანი სირი გენიოსი იყო... ასე რომ, თუ ამ სიტყვებს ამბობ, მისი სახელიც უნდა მოაყოლო ზედ. „ცხოვრება ისე გრძელა“, ტ.ს. ელიოტი.

როგორი მართალია, დალაზვროს ეშმაკმა. თან, თვითონ სამოცდაათს გადაცდა, ძალიან დიდხანს იცხოვრა, იმ დროში ეგ დიდი ასაკი იყო. ოცდაათზე ცოტა მეტის იყო, ეს სიტყვები რომ დაწერა, ალბათ, კაიფში იქნებოდა.

ეშმაკსაც არ დავუკარგოთ დამსახურება. არც ისე ბევრმა პოეტმა მოახერხა, გაემლო... ამ ცდუნებისთვის და წყლიდან მშრალად გამოსულიყო, გადასწორებული თმებით, ორბორტიანი პიჯაკით - მორწმუნე ანგლიკანად დარჩა ბოლომდე. ადვილი წარმოსადგენია, როგორი რეაქცია ექნებოდათ მაგალითად, ჰარტ კრეინს ან ჯონ ბერიმანს, ელიოტის პირველი ცოლის, ლამაზი ვივიენისნაირ ქალს რომ გადაყროდნენ - პირველივე ხიდთან მივარდებოდნენ და მდინარეში გადახტებოდნენ. მაგრამ ელიოტი ასეთი არ იყო: კარგა ხანს იცხოვრა რელიგიური დანაშაულის განცდით, მერე ქალი უახლოეს საგიჟეთში გამოკეტა და ცხოვრება გააგრძელა. ღმერთო ძალალო. თვითგადარჩენის ინსტინქტი მაგრამ რამეა, ვერ დაუკარგავ.

ბერიმანი, ბებერი ვირი: „სამყარო თანდათან იქცევა ადგილად, სადაც დარჩენის აზრს მე ვერ ვხედავ“. არ ვიცი, რატომ ვგრძნობ ასეთ სიახლოვეს ნაკლულ ტიპებთან. კარგი ამაში არაფერია. ვგიჟდები ელიოტზე, როგორც პოეტზე, ვგიჟდები! მაგრამ - პიროვნებასთან საერთოს ვერაფერს ვპოულობ.

**ვაიოლეტი:** (კულისებიდან) ... ნაბიჭვარი ესა...

**ბევრლი:** ვაიოლეტი. ჩემი ცოლი. ტაბლეტებს ყლაპავს, ხანდახან ძალიან ბევრს. და ეს წამლები მოქმედებს... სხვა ყველაფერთან ერთად, წონასწორობაზე. საბედნიეროდ, ეგ ტაბლეტები წონასწორობის მოთხოვნილებას უკარგავენ. ასე რომ, ხშირად ეცემა, როცა სასეირნოდ მიდის... მაგრამ მაინცდამაინც ხშირად არ სეირნობს. ჩემი ცოლი ტაბლეტებზე ზის, მე კიდევ ვლოთობ. ასეთი შეთანხმება გვაქვს... ჩვენი საქორწინო კონტრაქტის ერთ-ერთი პუნქტია ეს შეთანხმება... სასტიკი შეთანხმებაა. ჩემი ცოლი ტაბლეტებზე რომ ზის, მაგიტომ არ ვლოთობ. და პირიქით - ჩემი ცოლი იმიტომ ხომ არ ზის ტაბლეტებზე, რომ მე ვლოთობ... ძალიან დიდი ხნის წინ მივხვდი, რომ ჩემი ცოლის ნაცვლად ლაპარაკს უნდა შევეშვა. რა მნიშვნელობა აქვს... სინამდვილე ისაა, რომ ცოლი ტაბლეტებზე ზის და მე ვლოთობ. ამ სინამდვილემ კი თანდათან აუტანელ ტვირთად აქცია ტრადიციული ამერიკული ოჯახური ყოველდღიურობის შენარჩუნება: გადასახადების გადახდა, პროდუქტების ყიდვა, ტანსაცმლის ან ხალიჩების რეცხვა... იმის ნაცვლად, რომ კიდევ ერთხელ მოვისხა დამნაშავის მანტია... საზეიმოდ დავდო ფიცი, რომ ლოთობას შევეშვები, რათა ჩვენი გზააზნეული ხომალდი სწორ გეზზე მივმართო, გადავწყვიტე, ჩემი ცხოვრება უზენაესი ძალისთვის ჩამებარებინა... (ჭიქას ასწევს) ... და დამქირავებელთა კლასს შევერთებოდი. ამ გადაწყვეტილებით ბოლომდე კმაყოფილი არ ვარ. ვიცი, ჩემი ნახმარი საცვლები როგორ გავრეცხო... მთელი ცხოვრებაა, ამას ვაკეთებთ, მე ან ჩემი ცოლი, მაგრამ ვხვდები, რომ დაღევაში ხელს მიშლის. „სიფხიზლის ქება მომისმენია, მაგრამ არც ისე ხშირად“ (ისევ ბერიმანის სიტყვებია). ჰოდა, აგერ, ახლა შენ გვყავხარ. აქაურობა არც ისე ცუდ მდგომარეობაშია არა? უძლებს რაღაცნაირად. ყველაფერს კარგად ვუძღვებოდი. რაღაცნაირად ვახერხებდი. და წუხელ იმდენი... იმდენი ნაგავი დავწვი... იცი,.... უბრალო ქვითრის გადახდა ხანდახან იმდენს ნიშნავს ადამიანისთვის. როცა ყველაფერი ჩაივლის, როცა სიტყვები და ციფრები ემსგავსება... იმქვეყნიურ სიმბოლოებს. ბოლოს და ბოლოს, უბრალო ქალაქია, მეტი ხომ არაფერი. არა, უარესია. ცარიელ ფურცლებზე უარესი. (ჯონა შუბლიდან ოფლს იწმენდს. ბევრლი დაკეცილ ცხვირსახოცს ამოიღებს ჯიბიდან და ქალს აწვდის.) სუფთაა.

**ჯონა:** გმადლობთ. *(შუბლს იწმენდს)*

**ბევერლი:** ბოდიშს გიხდის, ძალიან ცხელა აქ. ჩემი ცოლი ცივსისხლიანი არსებია, პირდაპირი გაგებით. კონდიციონირების არ სჯერა... არადა, რწმენა რა შუაშია.

**ჯონა:** მამაჩემიც ეგრე იყო. მიჩვეული ვარ.

**ბევერლი:** იცი, მისტერ იანგბერდს ვიცნობდი.

**ჯონა:** მამაჩემს იცნობდით?

**ბევერლი:** ქალაქი პატარაა. მამაშენის მაღაზიაში ხშირად ვყიდულობდი საზამთროს. ზოგჯერ, ზაფხულობით ფეიერვერკებითაც ვაჭრობდა, არა?

**ჯონა:** დიახ, სერ.

**ბევერლი:** ერთხელ ჩემი ბავშვებისთვის „რომაული სანთლები“ ვიყიდე. გარდაიცვალა, ხო?

**ჯონა:** დიახ, სერ.

**ბევერლი:** თუ შეიძლება გკითხავ, რა დაემართა?

**ჯონა:** გულის შეტევით. ყურძნით სავსე სატვირთო მანქანაში ჩავარდა.

**ბევერლი:** ყურძენი. ოკლაჰომაში. ძალიან ვწუხვარ.

**ჯონა:** გმადლობთ.

**ბევერლი:** (სასმელს ბოლომდე გამოცლის და ახალს ისხამს) შეიძლება გვარზე გკითხო?

**ჯონა:** ბატონო?

**ბევერლი:** მამაშენი იანგბერდი იყო და შენ...

**ჯონა:** მონევატა.

**ბევერლი:** „მონევატა“.

**ჯონა:** ჩვენს ენაზე გადავედი.

**ბევერლი:** და ეგ „ჩიტის ბარტყს“ ნიშნავს, იანგბერდს?

**ჯონა:** დიახ.

**ბევერლი:** და გვარი შენით აირჩიე, ხომ?

**ჯონა:** მმმ...

**ბევერლი:** (ჭიქას მაღლა სწევს) გაგვიმარჯოს. (ვაიოლეტი ეძახის კულისებიდან)

**ვაიოლეტი:** ბევ...

**ბევერლი:** (თავისთვის) *შემოღამება პირქუმ, შავ სახლში*

*წყეულსა და უცნობ უფსკრულში.*

*(მეორე სართული ოდნავ ნათდება. საწოლიდან ახალი წამომდგარი, დაკუჭული ტანსაცმლით, პირში ვინსტონით, ვაიოლეტი თვალებმმოჭუტული დაჰყურებს კიბეს ზემოდან)*

**ვაიოლეტი:** ბევ!

**ბევერლი:** რა იყო?

**ვაიოლეტი:** შენთან მოვიდა....?

**ბევერლი:** რა?

**ვაიოლეტი:** შენთან... (გრძელი პაუზა. ვაიოლეტი მიშტერებია პასუხის მოლოდინში. ბევერლიც მიშტერებია, ელოდება, კითხვას როდის დაასრულებს)

**ბევერლი:** რა, საყვარელო?

**ვაიოლეტი:** ოხ, ჯანდაბა რა... შენთან. რაქვია. პოლიცია მოვიდა?

**ბევერლი:** არა.

**ვაიოლეტი:** ეს ფანჯარაა? ფანჯარაში ვიყურები? ფანჯარა?

**ბევერლი:** ჩამოსვლა შეგიძლია? (ვაიოლეტი დაფიქრდება, მერე კიბეს ბორძიკით ჩამოუყვება, ჯონას გადააწყდება)

**ვაიოლეტი:** ოჰ. (გაუგებრად) გაგიმარჯოს...

**ჯონა:** გამარჯობა.

**ვაიოლეტი:** (ბევერლის) არ მეგონა, თუთუ ერთობოდ-დიი.

**ბევერლი:** ეს ჯონაა, ახალგაზრდა ქალი, ხომ გითხარი...

**ვაიოლეტი:** აა, ესე იგი, ახალგაზრდა ქალია, ხო...

**ბევერლი:** ბატონო?

**ვაიოლეტი:** ქალი. ქა-ლი. ქაა-ლლი.

**ბევერლი:** ხო, ახალგაზრდა ქალი, რომელიც დავიქირავე. აქაურობას რომ მიხედოს.

**ვაიოლეტი:** ოჰ! უკვე ქალების დაქირავებაც დაგიწყია. მე მეგონა, სხვა ქალზე ამბობდი.

**ბევერლი:** რა სხვა ქალზე?

**ვაიოლეტი:** (პაუზა; შემდეგ უხეშად) ხო, რა იყო?!

**ბევერლი:** დავიქირავე, რომ საჭმელი გაგვიკეთოს, დაალაგოს, კლინიკაში წაგიყვანოს და კიდეც...

**ვაიოლეტი:** (ცდილობს ხაზგასმით გამოთქვას) სამოქალაქო თვალსაზრისით... თუ რრროგორც ამბობ ხოლმე... მე მე მეგონა გინდოდა შენ გინდოდა დაგექირა...დაგექირავებინა ქალლი!

**ბევერლი:** არ მესმის, რას ამბობ.

**ვაიოლეტი:** (მოულოდნელად კეთილგანწყობით, ჯონას) სალამი.

**ჯონა:** გამარჯობა.

**ვაიოლეტი:** მაპატიეთ. (რევერანსს აკეთებს) აი, ასე.

**ჯონა:** დიახ, ქალბატონო.

**ვაიოლეტი:** ვაიოლეტი, სასიამოვნოა. შენ რა გქვია?

**ჯონა:** ჯონა.

**ვაიოლეტი:** ძალიან ლამაზი ხარ.

**ჯონა:** გმადლობთ.

**ვაიოლეტი:** ინდიელი ხარ?

**ჯონა:** დიახ, ქალბატონო.

**ვაიოლეტი:** რომელი ტომის?

**ჯონა:** ჩენი.

**ვაიოლეტი:** შენი აზრით, ლამაზი ვარ?

**ჯონა:** დიახ, ქალბატონო.

**ვაიოლეტი:** (ისევ რევერანსს აკეთებს) აი... ასე, ხო? (კიდევ რევერანსი) ხო, ასე... (უფრო დაბლა იხრება, წაბორძიკდება, თავს იკავებს).

**ბევერლი:** ფრთხილად.

**ვაიოლეტი:** (ისევ ჯონას) ახლა შენია ეს სახლი. მაპატიე, მე... მე რაღაც წამალი დავლიე კუნთების... ხო, წამალი დავლიე.

**ბევერლი:** საყვარელო, წადი, საწოლში დაბრუნდი.

**ვაიოლეტი:** შენ თვითონ წადი, შე ბებერო სირო.

**ბევერლი:** კარგი.

**ვაიოლეტი:** (ჯონას) მაპატიე. ძან თბილი ვიქნები. იისეთი თბილი ვააარ. ძაან ტკბილი და თბილი. (სიგარეტს ჩააქრობს ბევერლის საფერფლეში... ჯონას ისე მისჩერებია, თითქოს კიდევ რაღაცის თქმას აპირებს... მერე სწრაფად გადის)

**ბევერლი:** მგონი, ტელეფონში გითხარი, რომ ექიმმა ბერკმა გაგიწია რეკომენდაცია. ასე მითხრა, თქვენი სახლის საქმეებს კარგად გაართმევს თავსო.

**ჯონა:** ტალსას საჯარო კოლეჯში ერთი წელი მქონდა დარჩენილი, საექთნოზე ვსწავლობდი, მაგრამ მამა რომ გარდამეცვალა, სწავლას თავი დავანებე. დედას და ბებიას ვუვლიდი მძიმე პერიოდში.

**ბევერლი:** ექიმმა ბერკმა მითხრა, რომ ძალიან გაგიჭირდა სამუშაოს პოვნა.

**ჯონა:** სახლებს ვალაგებდი და მიძად ვმუშაობდი.

**ბევერლი:** იმედია, გითხრა, რომ გვინდა, ჩვენთან იცხოვრო.

**ჯონა:** დიახ, სერ.

**ბევერლი:** ძალიან არეული გრაფიკი გვაქვს. დღე-ღამეს მნიშვნელობა არა აქვს. ეჭვი მეპარება, ჯანსაღად ცხოვრება მოახერხო ჩვენთან.

**ჯონა:** ძალიან მჭირდება სამუშაო.

**ბევერლი:** თვითონ საქმე... სრულებით ჩვეულებრივია. მე პირადად დიდი ყურადღება არ მჭირდება. ისედაც კარგად ვარ, კაკტუსივით, მოუვლელად ვიზრდები. ჩემს ცოლს კიბოს დიაგნოზი დაუსვეს, ასე რომ ტალსაში მოგიწევს მისი ტარება, ქიმიოთერაპიაზე. შეგიძლია ფარეხში რომ აყენია, ეგ ამერიკული წარმოების მახინჯი დინოზავრი გამოიყენო. სულ ყველაფერი შეგიძლია გამოიყენო, ნებისმიერი ნაგავი, რასაც ამდენი წელი, მთელი ჩვენი ცხოვრება ვაგროვებდით. თუ აქ იცხოვრებ, მართლა უნდა იცხოვრო, როგორც ოჯახის წევრმა. გასაგებია?

**ჯონა:** დიახ, სერ.

**ბევერლი:** ძალიან გთხოვ, ბევერლი დამიძახე. რაიმე კითხვები ხომ არ გაქვს?



**ჯონა:** რისი კიბოა?

**ბევერლი:** ეგ არ მითქვამს? ღმერთო, კინალამ ყველაზე სასაცილო რაღაც გამომრჩა: პირის ღრუს კიბო აქვს.

**ჯონა:** რა ტაბლეტებს სვამს?

**ბევერლი:** ვალიუმს. ვიკოდინს. დარვონს, დარვოცეტს. პერკოდანს, პერკოცეტს. და ქსანაქსს გასართობად. როცა ძალიან უჭირს - ოქსიკონტინს. ერთხელ მძიმე ნარკოტიკიც მიიღო, ბლექ მოლი, შემამოწმა, ყურადღებას თუ მივაქცევდი. და რა თქმა უნდა, დილაუდიდს. დილაუდიდი როგორ დამავიწყდა. (ბევერლი ქალს აკვირდება. სასმელს გამოცლის) ჩემი ცოლი. ვაიოლეტი. ვაიოლეტი, ჩემი ცოლი, დარწმუნებულია, რომ ამ მავნე ჩვევას მკურნალობა არ ჭირდება. ადრეც ყოფილა ასე ჩაშვებული, მაგრამ გამოდრომა მოახერხა, სუფთა გამოვიდა... თავის სამყაროში ცხოვრობს. ალბათ, გაინტერესებს, მკურნალობა რატომ არ უნდა, არა?

**ჯონა:** არა, სერ.

**ბევერლი:** ჰოდა, ძალიანაც კარგი. ერთი წამით... (წიგნის თაროსკენ გაიწვდის ხელს) ჩემი უკანასკნელი თავშესაფარი ეს წიგნებია. პატარა სიხარულები. აი, იცი, რას ჰგავს, რაიმე მიმალულ მდელს რომ აღმოაჩენ გზის განაპირას ან კიდევ ორმხრივ სიყვარულს. (აიღებს წიგნს და ჯონას გაუწვდის)

**ჯონა:** ტ. სტივ. ელიოტი.

**ბევერლი:** წაიკითხე, თუ მოგინდება. თუმცა, სავალდებულო არ არის. უბრალოდ, შენი სიამოვნებისთვის შეგიძლია იკითხო.

## პირველი მოქმედება

### სცენა 1

აივი, მეტი ფეი და ჩარლი სასტუმრო ოთახში. მეტი ფეი ჭიქა ვისკის სვამს. ჩარლის ტელევიზორი აქვს ჩართული დაბალ ხმაზე, ბეიზბოლის მატჩის ანგარიშს ადევნებს თვალს, ხელში ლუდის ბოთლი უჭირავს.

სახლის დანარჩენ ნაწილში: ვაიოლეტი ტელეფონზე ლაპარაკობს მისაღებ ოთახში; ჯონა საჭმელს აკეთებს და ალაგებს სამზარეულოში.

**მეტი ფეი:** ბევრელი ადრეც მოქცეულა ასე.

**აივი:** ვიცი.

**მეტი ფეი:** გახსოვს, როგორ გადაიკარგებოდა ხოლმე, არც რეკავდა და არც არაფერი. გახსოვს, ჩარლი?

**ჩარლი:** სულ პრობლემები ჰქონდათ...

**მეტი ფეი:** ერთხელ, იმ ერთხელ, როცა დაკრა ფეხი და არავის არაფერი არ უთხრა, ისე გაუჩინარდა, ვაის ვუთხარი, მეთქი „ჩაულაგე მაგ ნაბიჭვარს თავისი ნივთები და ვერანდაზე გაიტანე, მანდ მოაკითხოს-მეთქი“. იცი, ყოველთვის მომწონდა მამაშენი.

**აივი:** ვიცი.

**მეტი ფეი:** არა, ყოველთვის მომწონდა მამაშენი, ხომ იცი. ბოლოს და ბოლოს, ვაი და ბევი მე გავაცანი ერთმანეთს.

**ჩარლი:** შენ არ გაგიცნია.

**მეტი ფეი:** რას ქვია, მე არ გამიცნია.

**ჩარლი:** პაემანზე დაგპატიჟა, შენ დაიკიდე და სანაცვლოდ შენი და გაუგზავნე.

**მეტი ფეი:** მერე გაცნობა არა ეგ? ეგრე გამოდის, მე გავაცანი.

**ჩარლი:** არა მგონია, მთლად ზუსტი იყოს ეგრე თქმა...

**მეტი ფეი:** ჩემთვის მაინც ბებერი იყო, არა ვაიოლეტი? „მორცხვი ვაიოლეტი“? დაუხმარებლად ეგ ერთ კაცსაც ვერ გაიცნობდა.

**ჩარლი:** „მორცხვ ვაიოლეტს“ არავინ არ ეძახდა მაგას.

**მეტი ფეი:** ჩარლი და მამაშენი ყოველთვის კარგად უგებდნენ ერთმანეთს. სათევზაოდ დადიოდნენ ხოლმე ერთად.

**აივი:** ვიცი.

**მეტი ფეი:** მაგრამ როცა ბევრლი ეგრე გაუფრთხილებლად დაკრავდა ხოლმე ფეხს, ისე რომ არც წერილს დატოვებდა, არც არავის არაფერს არ ეტყოდა, თავს ვალდებულად ვთვლიდი, ჩემი დისტვის მიმეხედა, ხო ხვდები?

**ჩარლი:** არავინ არაფერს არ გავალდებულებს შენ.

**მეტი ფეი:** როგორ არა, ვალდებული ვარ, ჩემს დას მივხედო.

**ჩარლი:** არ ხარ ვალდებული, სხვების ოჯახურ ამბებში ჩაერიო.

**მეტი ფეი:** სხვების ოჯახში არა, მაგრამ როცა ჩემს უფროს დაზეა ლაპარაკი, რა სისულელეა, ვალდებული ვარ, აბა, რა ვარ. აივის დები ჰყავს, იცის, რაზეც ვლაპარაკობ. ხოდა, ვეუბნები, მეთქი „ვაი, ჩაულაგე მაგ ნაბიჭვარს თავისი ნივთები და ვერანდაზე გაიტანე, მანდ მოაკითხოს-მეთქი. აილე ეგ დამპალი წიგნები, მაგას ასე ძალიან რომ უყვარს, გაიტანე ეზოში, ერთად დაყარე და ერთი კარგი კოცონი დაანთე-მეთქი. მაგის ქალაღდებიც წაილე, აი, სულ ყველაფერი და ზედ დააყარე...“

**ჩარლი:** წიგნების დაწვა ცუდი საქციელია.

**მეტი ფეი:** დამაცდი? სულ მეწინააღმდეგები...

**ჩარლი:** წიგნებს არაფერი არ დაუშავებიათ. ნივთები არ აგებენ პასუხს პატრონის საქციელზე.

**მეტი ფეი:** რა გინდა, მაინც არ დამიჯერა, ასე რომ, რა აზრი აქვს ახლა...

**ჩარლი:** რა თქმა უნდა, არ დაგიჯერებდა.

**მეტი ფეი:** იცი, რას გეტყვი ჩარლი აიკენ: არც იფიქრო, ეგრე დაკრა ფეხი და სადმე გადაიკარგო, შენთვის აჯობებს, წინასწარ გაფრთხილებ...

**ჩარლი:** არსად არ მივდივარ მე...

**მეტი ფეი:** არა, მაინც, რომ იცოდე, წინასწარ გაფრთხილებ, ერთი სამი დღე დაგელოდები, რომ გონზე მოხვიდე და მერე იცოდე, მარადიულ ცეცხლში დაგიწვავ ყველაფერს.

**ჩარლი:** არსად არ მივდივარ-მეთქი!

**მეტი ფეი:** აი, დავუშვათ, თუ მოგინდეს.

**ჩარლი:** არ მომინდება.

**მეტი ფეი:** ისე, მაინცდამაინც ბევრი წიგნი კი არა აქვს ჩარლის. მგონი, ცხოვრებაში არასოდეს მინახავს, რომ წიგნი წაეკითხოს.

**ჩარლი:** რა იყო, მსაყვედურობ? როდის იყო, შეუწუხებინარ ამ ამბავს?

**მეტი ფეი:** არა, ხო. ბოლოს რა წაიკითხე?

**ჩარლი:** ჯანდაბა...

**მეტი ფეი:** უბრალოდ მითხარი, ბოლოს რა წიგნი წაიკითხე.

**ჩარლი:** ბევრლი მასწავლებელი იყო. მასწავლებლები ბევრ წიგნს კითხულობენ. მე კიდევ რბილი ავეჯის ბიზნესში ვარ; ჩვენს ბიზნესში ადამიანები საერთოდ...

**მეტი ფეი:** ვერ მეუბნები, ხო, რა წაიკითხე ბოლოს?!

**ჩარლი:** გოგო მამამისზე ნერვიულობს, სულ არ აინტერესებს ახლა აქ ჯდომა და ჩვენი კამათის მოსმენა...

**მეტი ფეი:** მე მგონი, ბევრლიზე ყველანი ვნერვიულობთ.

**ჩარლი:** ხოდა, მაშინ რა გინდა, რას გადამეკიდე?

**მეტი ფეი:** მაგრამ მაინც დაბრუნდა, ხომ იცი, და ყველაფერი მოაგვარეს, ახლაც დაბრუნდება, დარმწუნებული ვარ, აუცილებლად დაბრუნდება.

**აივი:** მგონი, ახლა სხვა რაღაც ხდება.

**მეტი ფეი:** მეც ასე მგონია.

**ჩარლი:** რატომ?

**მეტი ფეი:** იმიტომ, რომ მაშინ...

**ჩარლი:** შენთვის არ მიკითხავს. (აივის) საიდან მოიტანე, რომ სხვა რამე ხდება?

**აივი:** იმიტომ, რომ წარსულში ცდილობდნენ მაინც.

**მეტი ფეი:** (ჩარლის) მეც მაგის თქმა მინდოდა. (აივის) ბევრლი ყოველთვის ძალიან რთული კაცი იყო.

**აივი:** ვიცი.

**ჩარლი:** გეყოფა, წარსულში ნუ ლაპარაკობ ბევრლიზე.

**მეტი ფეი:** ნუ, იყო ნამდვილად. კარგი, ნამდვილად ძალიან რთული კაცია.

**ჩარლი:** მაგრამ მაინც, თავისთვის, რაღაცნაირად წყნარად...

**აივი:** ჩარლზით.

**ჩარლი:** ხო, პატარა ჩარლზით. ზუსტად...

**მეტი ფეი:** ოჰ, კარგით ერთი, საერთოდ არ გავს პატარ ჩარლზს.

**ჩარლი:** უბრალოდ იმის თქმა უნდოდა, რომ ერთნაირად წყნარები არიან...

**მეტი ფეი:** პატარა ჩარლზი სულაც არაა რთული ადამიანი.

**ჩარლი:** მგონი...

**მეტი ფეი:** არა, პატარა ჩარლზი ნამდვილად არაა რთული ადამიანი, უბრალოდ უმუშევარია.

**ჩარლი:** ეგეთი ტიპია, დამკვირვებელი.

**მეტი ფეი:** ჰო, ოღონდ, მხოლოდ ტელევიზორს „აკვირდება“.

**ჩარლი:** ესე იგი, ვერ მიხვდი, აივის რისი თქმა უნდოდა?

**მეტი ფეი:** ვერა.

**ჩარლი:** პატარა ჩარლზს და ბევრლის საერთო აქვთ ეს რაღაცნაირი.. სირთულე.

მეტი ფეი: საყვარელო, რთული რომ იყო, ცოტა ჭკუაც უნდა გქონდეს.

ჩარლი: ჩვენი ბიჭია. შენ რა გინდა ახლა მითხრა, რომ უჭკუოა?

მეტი ფეი: ზუსტად მაგას ვამბობ.

ჩარლი: რა გჭირს? (აივის) შენი დეიდაშვილი ძალიან ჭკვიანია.

მეტი ფეი: ძალიან გავოფლიანდი. შენ არ გავოფლიანდი?

ჩარლი: ხო, გავოფლიანდი, აბა რა ვქენი, საშინლად ცხელა აქ.

მეტი ფეი: ზურგზე მომკიდე ხელი.

ჩარლი: არ მინდა.

მეტი ფეი: მომკიდე. ნახე, მთელ ზურგზე წყალივით ჩამომდის ოფლი.

ჩარლი: მჯერა.

მეტი ფეი: მომკიდე.

ჩარლი: არა.

მეტი ფეი: მიდი, ხელი დამადე....

ჩარლი: ჯანდაბა...

მეტი ფეი: წყალივით ჩამომდის ოფლი...

ჩარლი: აივი. რაღაც უნდა გკითხო. ხომ არ იცი, როდის დაიწყო? აი, ამ ფანჯრებზე სკოჩის გადაკვრაზე გეკითხები.

აივი: ერთი ორი წელია უკვე.

მეტი ფეი: ღმერთო, ესე იგი, ამდენი ხანია, აქ არ ვყოფილვართ?

ჩარლი: და თუ იცი, ამას რატომ აკეთებდა?

მეტი ფეი: რომ ვერ გაარჩიო, დღეა თუ ღამე.

აივი: ჰო, ეგრეა.

ჩარლი: არ ვიცი, არ ვიცი, მთლად ჯანსაღი ამბავი ვერაა.

მეტი: ნამდვილად. მზის სინათლე ჭირდება ადამიანს.

ჩარლი: ხომ არ იცი, ვის მოუვიდა თავში ეგ აზრი?

აივი: არა მგონია, მამას მოსვლოდა.

ჩარლი: ჰო, მეც არ მგონია. თქვენი არ ვიცი და მე ძალიან დეპრესიულად მეჩვენება აქაურობა. ხო ხვდებით, ადამიანისთვის ეს გარემო... (მიუთითებს მუსიკალურ ცენტრზე) და ეს ერიკ კლეპტონის ალბომი რა ჯანდაბად უნდათ? ვაი კლეპტონის ფანია? (მეტი ფეი ფანჯრიდან სკოჩის ატყავებას იწყებს) ხელი გაუშვი!

მეტი ფეი: ადამიანის ორგანიზმს ჭირდება მზის სინათლე.

**ჩარლი:** ახლა დამეა. თან შენს სახლში კი არა ხარ, არ შეიძლება ასე შეხვიდე სხვასთან და შენს ჭკუაზე ლაგება დაიწყო...

**მეტი ფეი:** მართლა ორი წელია, რაც აქ არ ვყოფილვართ?

(შემოდის ვაიოლეტი)

**ვაიოლეტი:** საავადმყოფოები შევამოწმე, მაგრამ ბევრლი ვერ ვიპოვეთო.

**მეტი ფეი:** საგზაო პატრულმა?

**ვაიოლეტი:** არა, შერიფს ველაპარაკე, გილბოების ბიჭს.

**მეტი ფეი:** გილბო. არ მითხრა, რომ სი ჯეი გილბო შერიფად დანიშნეს.

**ვაიოლეტი:** სი ჯეი არა, მისი შვილი, დეონი.

**მეტი ფეი:** მეთქი...

**ვაიოლეტი:** ჩვენს გოგოებთან ერთად დადიოდა სკოლაში დეონი. შენი კლასელი იყო, აივი?

**აივი:** მგონი, ბარბარასი.

**მეტი ფეი:** მართლა?

**ჩარლი:** მოიცა, ეგ რომელია?

**მეტი ფეი:** სი ჯეი გილბო ჩვენთან ერთად გაიზარდა. პატარა დამპალი ნაბიჭვარი, არასრულწლოვანი ხულიგანი...

**ვაიოლეტი:** ჰოდა, მაგის ბიჭი დეონი ახლა შერიფია.

**მეტი ფეი:** სი ჯეი მღვდლის შვილი იყო, ხო ხვდებით...

**ჩარლი:** ჰო, გავიგე.

**მეტი ფეი:** ...და ხომ იცი, ეგენი როგორებიც არიან.

**ვაიოლეტი:** გახსოვს, ერთხელ რომ დაიჭირეს?

**მეტი ფეი:** კი. მახსოვს. მოიცა, მკვლელობისთვის ხო?

**ვაიოლეტი:** ბოქსიორის.

**მეტი ფეი:** გამახსენდა, ბოქსიორის ჯიშის ძაღლი მოუკლა იმ კაცს.

**ვაიოლეტი:** ჰოდა, მაგის ბიჭი დეონი ახლა შერიფია. აქაური გაზეთის ხელმოწერა გამოგიგზავნე. არ კითხულობ ხოლმე?

**მეტი ფეი:** არა, არ ვკითხულობ.

**ვაიოლეტი:** ჰო, თქვენ ტალსელ ბობოლებს ჩვენი პატარა ქალაქის ამბები რომ გცოდნოდათ, მაგიტომ გამოგიგზავნე.

**მეტი ფეი:** არა, არ ვკითხულობ-მეთქი.

**ვაიოლეტი:** რომ წაგეკითხა, გეცოდინებოდა, რომ დეონი ახლა ჩვენი შერიფია.

**აივი:** რომელი საავადმყოფოები შეამოწმეს?

**ვაიოლეტი:** ბევრს ჩამოუარა.

**აივი:** სხვა რა გითხრა?

**ვაიოლეტი:** კატერი დაიკარგაო. (პაუზა)

**აივი:** დედა?

**ვაიოლეტი:** დოკებზე პატრული გააგზავნა, რომ შეემოწმებნა, ვინმეს ხომ არ უნახავს იქ და ბევრლის კატერი დაკარგულია.

**მეტი ფეი:** არაა!

**ვაიოლეტი:** ასე მითხრა, ბოლო დროს რამდენიმე კატერი მოიპარეს, ასე რომ ეგ შეიძლება არაფერს არ ნიშნავდეს, მაგრამ მაინც ველავო. (ვაიოლეტი იწყებს კიბეზე ასვლას)

**ჩარლი:** ვაი, როგორ ფიქრობ, იქნებ ბევმა კატერი თავის სატვირთო ტრაილერში ჩადო და სადმე წაიღო? ანუ, თუ სადმე აპირებდა გამგზავვრებას, იქნებ...

**მეტი ფეი:** ტრაილერი ადგილზეა, მანქანიდან დავინახე, აქ რომ მოვედით. (ვაიოლეტი გადის. აივი მას მიჰყვება. შემოდის ჯონა, სახლის საქმიტაა დაკავებული. ჩარლი ლუდის ცარიელ ბოთლს მაღლა სწევს)

**ჩარლი:** უკაცრავად, ისა, ძვირფასო... თუ არ შეგაწუხებ, კიდევ ერთი ბოთლი შეიძლება?

**მეტი ფეი:** ჯანდაბა, ჩარლი, ოფიციალტი კი არაა ეგ გოგო.

**ჩარლი:** ვიცი.

**მეტი ფეი:** ადექი და თვითონ მოიტანე ლუდი. (ჯონა ოთახს გადაკვეთს, აიღებს ცარიელ ბოთლს...)

**ჯონა:** მე მოგიტანთ. (...გადის)

**მეტი ფეი:** არა, დაუჯერებელია. ბეიზბოლს უყურებ და ლუდს სვამ. საერთოდ აზრზე არა ხარ, რა ხდება შენ გარშემო, ხო? პირდაპირ გადასარევია რა.

**ჩარლი:** რა ვქნა, ძეგლივით დავეყუდო გაუნძრევლად? შენ მთლად ვისკის სვამ.

**მეტი ფეი:** კოქტილს.

**ჩარლი:** გაუზავებელ ვისკის.

**მეტი ფეი:** უბრალოდ... ცოტა წესიერად მაინც დაიჭირე თავი.

**ჩარლი:** არა მგონი, ჩვენი აქ ჯდომა და სიბნელეში ტირილი საჭირო იყოს.

**მეტი ფეი:** ოჰ, ყველაფერი გადასარევიად მოგიგვარებია და წამო მაშინ, ვიგრილოთ.

**ჩარლი:** მეტი ფეი...

**მეტი ფეი:** მიდი, იმ ინდიელ გოგოს დაავალე, ყველის კანაპეები მოიტანოს და მეგობრები დაპატიჟე.

**ჩარლი:** ყველის კანაპეები არაა ცუდი აზრი.

**მეტი ფეი:** მართლა, ხო? საჭმლის სუნი არ გცემს?

**ჩარლი:** კი.

**მეტი ფეი:** წამო, სამზარეულოში გავიდეო, ვნახოთ, რას აკეთებს.

**ჩარლი:** მე რაში გჭირდები? როიალსები თამაშობენ.

**მეტი ფეი:** ადექი და წამომყევი. (ხელს ჩასჭიდებს, ტახტიდან აათრევს)

**ჩარლი:** მაგ კატერის დაკარგვის ამბავი ცუდად მენიშნა. (ჩარლი მეტი ფეის გაჰყვება სამზარეულოში, გზად ჯონას ლუდის ბოთლს ჩამოართმევს, განათება იცვლება.

ნათლებიან ვაიოლეტი და აივი მეორე სართულის კიბის ბაქანზე. სცენის განმავლობაში ისინი კიბეზე ჩამოდიან და სასადილო ოთახში გადაინაცვლებენ)

**ვაიოლეტი:** ბარბის დაურეკე?

**აივი:** კი.

**ვაიოლეტი:** როდის?

**აივი:** ამ დილით.

**ვაიოლეტი:** რა გითხრა?

**აივი:** გზაშია.

**ვაიოლეტი:** როგორ ჩამოვა?

**აივი:** ბილთან ერთად მოდის.

**ვაიოლეტი:** საჭესთან ბარბი ზის?

**აივი:** ეჭვი მეპარება.

**ვაიოლეტი:** რატომ?

**აივი:** ბაულდერი ძალიან შორსაა.

**ვაიოლეტი:** ჯინიც მოყავს?

**აივი:** არ ვიცი.

**ვაიოლეტი:** რა თქვა, როდის ჩამოვალო?

**აივი:** არ უთქვამს. უბრალოდ, გზაში ვარო.

**ვაიოლეტი:** შენ რა უთხარი?

**აივი:** მამა დაიკარგა-მეთქი.

**ვაიოლეტი:** მეტი არაფერი?

**აივი:** მეტი რა უნდა მეთქვა?

**ვაიოლეტი :** არ გითქვამს, რამდენი ხანია, რაც დაიკარგა.

**აივი:** ხუთი დღე.



**ვაიოლეტი:** მერე, ეგ არ გითქვამს?

**აივი:** მგონი, კი.

**ვაიოლეტი:** რა გიპასუხა.

**აივი:** გზაში ვარო.

**ვაიოლეტი:** ჯანდაბა, აივი, რა გითხრა-მეთქი? გაბრაზდა? გაეცინა? მომიყევი, რა გითხრა.

**აივი:** მითხრა, გზაში ვარო.

**ვაიოლეტი:** შენგან არაფერი არ გამოვა. (ტაბლეტს გადაყლაპავს) ღმერთმა დაწყევლოს მამაშენი, ამ დღეში რომ ჩამაგდო. ასე რომ შემატოვა ყველაფერს. კაბინეტში იყავი? არ ნახე, რამდენი ქალაღია, რა არეულობაა? თავი და ბოლო ვერ გავარკვიე. ერთი კვირის წინ ეს ინდიელი გოგო დაიქირავა სახლის დასალაგებლად და ახლა უცხო ადამიანი ცხოვრობს სახლში. არ ვიცი, იმ გოგოს რა უნდა ველაპარაკო. რა ქვია?

**აივი:** ჯონა.

**ვაიოლეტი:** სულ მამაშენი იხდიდა ხოლმე გადასახადებს, რეკავდა სადაც საჭირო იყო და ახლა აი, ასე უცებ, ყველაფერს მე უნდა მივხედო? ხომ იცი, რომ სახლი თავზე გვენგრევა, სარდაფში რაღაცა ოხრობა ჭირს, საძირკვეს თუ საფუძველს თუ რა ვიცი მე. წამორდგენა არა მაქვს. მარტო ვერაფერს ვერ ვიზამ.

**აივი:** კარენს დავურეკე.

**ვაიოლეტი:** რა გითხრა?

**აივი:** ვეცდები, ჩამოვიდეთ.

**ვაიოლეტი:** ხო, შენი არ იყოს, ეგეც მაგრა გამომადგება, აი. (კიდევ ერთ ტაბლეტს ყლაპავს). ბარბი მჭირდება.

**აივი:** არ ვიცი, ბარბი რას მოახერხებს.

**ვაიოლეტი:** თმისთვის რა გიქნია.

**აივი:** გავისწორე.

**ვაიოლეტი:** გაისწორე. აი, რატომ უნდა მოუხდეს ადამიანს თმის გასწორება.

**აივი:** არ ვიცი.

**ვაიოლეტი:** და შენ რატომ გაისწორე?

**აივი:** რაღაცის შეცვლა მინდოდა.

**ვაიოლეტი:** ლამაზი გოგო ხარ. ჩემი სამი გოგოდან ყველაზე ლამაზი ხარ, მაგრამ სულ მოუწესრიგებელი დადიხარ. მაკიაჟს რაომ არ ხმარობ?

**აივი:** მჭირდება?

**ვაიოლეტი:** მაკიაჟ ყველა ქალს ჭირდება. არავინ მოგატყუოს მაგაში. ერთადერთი ქალი, რომელიც უმაკიაჟოდ ლამაზი იყო, ელიზაბეტ ტეილორი იყო და ეგეც ტონას ისვამდა. გასწორდი, მხრებში ნუ იხრები.

**აივი:** დედა.

**ვაიოლეტი:** მხრები ჩამოყრილი გაქვს, თმები დაუთოვებული და მაკიაჟს არ ხმარობ. ლესბოსელს გავხარ. ძალიანაც ლამაზი გოგო ხარ, ცოტა რომ მიგეხედა თავისთვის, მშვენიერ კაცს გამოკრავდი ხელს. აი, სულ ოდნავ, მეტი კი არა.

**აივი:** კაცს არ ვეძებ.

**ვაიოლეტი:** არადა, უნდა ეძებდე. ყველას ჭირდება ვიღაც ცხოვრებაში.

**აივი:** კაცს არ ვეძებ.

**ვაიოლეტი:** იცი რა, ძალიან კარგად მესმის, რომ ბევრი შეუმდგარი კაცი არსებობს. მაგრამ ერთხელ რომ არ გაგიმართლა და ცუდი კაცი შეგხვდა, ეგ არ ნიშნავს...

**აივი:** ბარი არ იყო ცუდი კაცი.

**ვაიოლეტი:** ბარი დამპალი ნაბიჭვარი იყო. მე თავიდანვე გაფრთხილებდი, თუ გახსოვს. იმ თავისი საშინელი ელექტრო მანქანით პირველად რომ მომიტორიე აქ, წითელი წვერი და თავზე წაკრული ჩალმა...

**აივი:** ეგ ჩალმა არ იყო...

**ვაიოლეტი:** მართლა არ მესმის, ხანდახან ისეთ არჩევანს აკეთებ ხოლმე. ორმოცდასამი წლისა ხარ...

**აივი:** ორმოცდაოთხის.

**ვაიოლეტი:** ორმოცდაოთხი წლის ხარ. ალბათ, უკვე შვილების გაჩენასაც ვეღარ მოახერხებ, მაგრამ ეგ არაფერი, თუ არ გინდა, ნუ გააჩენ. ოღონდ, ქმარი რომ იშოვო, არ გინდა?

**აივი:** ქმარი. პოპასკაში.

**ვაიოლეტი:** ადამიანები იქ უნდა გაიცინო, სადაც მუშაობ და არა სადაც ცხოვრობ. კოლეჯში მუშაობ. ოღონდ ახლა არ მითხრა, რომ ბიბლიოთეკაში ადამიანები არ შემოდინან ხოლმე.

**აივი:** გინდა, რომ ვინმე თვრამეტი წლის სტუდენტ ბიჭს გავყვე ცოლად?

**ვაიოლეტი:** ტალსას კამპუსში მასწავლებლებიც ხომ ყავთ, არა? მამაშენი მანდ რომ ასწავლიდა, მაშინ ნამდვილად ჰყავდათ...

**აივი:** ბარიც მასწავლებელი იყო უნივერსიტეტში.

**ვაიოლეტი:** ხო, რას ასწავლიდა? „გარემოსდაცვით კვლევებს“. აი, ჭემმარიტად შეუმდგარი კაცი.

**აივი:** არ ყოფილა შეუმდგარი...

**ვაიოლეტი:** თან მიგატოვავ, ასე არ იყო? მე მგონი, ეს საქციელი მთლად კარგად არ წარმოაჩენს...

**აივი:** არ მივუტოვებოვარ. უბრალოდ, ერთამენთს ვერ შევეწყვეთ.

**ვაიოლეტი:** ჰო, მართალი ხარ, მაპატიე, ძვირფასო. პირდაპირ გეტყვი. მაპატიე. მაგრამ იქნებ რაიმე გამოგსვლოდათ, ცოტა მაკიაჟი რომ გეხმარა. (კიდევ ერთ ტაბლეტს სვამს) ეს მერამდენია?

**აივი:** არ დამითვლია. (ვაიოლეტი კიდევ ერთ აბს გადაყლაპავს) პირი გეწვის?

**ვაიოლეტი:** საშინლად. გეგონება, ენაზე ცეცხლი მიკიდიაო.

**აივი:** სიგარეტის მოწევა შეიძლება შენთვის?

**ვაიოლეტი:** ეგ ვინმესთვის შეიძლება საერთოდ?

**აივი:** პირის კიბო გაქვს.

**ვაიოლეტი:** აივი. ისედაც თავზე მაყრია სანერვიულო ამწუთას, მოწევაზე რომ არ მეჩხუბო.

**აივი:** არ გეჩხუბები.

**ვაიოლეტი:** უბრალოდ ფეხებზე დაიკიდე.

**აივი:** გეშინია?

**ვაიოლეტი:** აბა, არ მეშინია? შენ კიდევ როგორ მამშვიდებ, საყვარელო. მადლობა დმერთს, ერთი ქალიშვილი მაინც ცხოვრობს სახლთან ახლოს. ჩემს თაობაში ოჯახები ერთად ცხოვრობდნენ.

**აივი:** ეგ სხვა დრო იყო.

**ვაიოლეტი:** კაი ერთი. მეტი ფეის დაურეკე?

**აივი:** დეიდა მეტი ფეი აქაა.

**ვაიოლეტი:** ვიცი, სულელო. გეკითხები, შენ დაურეკე-მეთქი?

**აივი:** მეგონა, შენ დაურეკე.

**ვაიოლეტი:** მგონი, მართლა მე დაურეკე. აღარ მახსოვს.

**აივი:** ძალიან ბევრ რამეზე გიწევს ფიქრი.

**ვაიოლეტი:** წარმოდგიდგენია, მოდის და ჭკუის სწავლებას მიბედავს - ვის? - მე.

**აივი:** არ ვიცი, ძია ჩარლი როგორ იტანს.

**ვაიოლეტი:** ბალახს ეწევა, ტონობით.

**აივი:** მართლა?

**ვაიოლეტი:** უხ, შემჯდარია, მართლა ტონობით ეწევა. (იცინიან)

**აივი:** „ბალახს“? ეგრე ეძახი?

**ვაიოლეტი:** აბა, შენ როგორ ეძახი?

**აივი:** მოიცა, ახლა კლექტონი შეგიყვარდა?

**ვაიოლეტი:** რა?

**აივი:** ერიკ კლეპტონი. კლეპტონის ალბომი გიყიდა.

**ვაიოლეტი:** უხ, ათასი წლის წინ.

**აივი:** მე არასდროს არ შემიმჩნევია.

**ვაიოლეტი:** მომწონს. კარგი რიტმი აქვს. მოხუცი კი არა ვარ, ხომ ხვდები.

*(სასადილო ოთახში შუქი ქრება, ნათდება შემოსასვლელი ვერანდა, სადაც ჩემოდნებით დატვირთული ბარბარა და ბილი დგანან. ვაიოლეტი და აივი გადიან, შემდგომი სცენის განმავლობაში მეტი ფეი და ჩარლი შემოდიან სამზარეულოში და ვაშლის ცხელი ღვეზლიანი თევშებით გადაინაცვლებენ სასადილო ოთახში)*

**ბარბარა:** ჯინი რას შვება?

**ბილი:** ეწევა.

**ბარბარა:** ნეტა მაგ საქციელს არ უწონებდე რა.

**ბილი:** არაფერს არ ვუწონებ.

**ბარბარა:** არ ვიცი, უბრალოდ, რაღაცა სასაცილოდ ამბობს მაგ სიტყვას „ეწევა“, თითქოს მოგწონს, რომ 14 წლის ასაკში მავნე ჩვევა რომ აიკიდა.

**ბილი:** მზად ხარ?

**ბარბარა:** არა. არანაირად.

**ბილი:** მოიცა. ერთი წამით. (დგანან, ღამის ხედს გასცქერიან, ჰაერს ღრმად შეისუნთქავენ)

**ბარბარა:** ჯანდაბა, როგორ ცხელა.

**ბილი:** ჯოჯოხეთია.

**ბარბარა:** ხო. კოლორადომ გამაფუჭა.

**ბილი:** აქედან გადასვლის ერთ-ერთი მიზეზი ეგეც იყო.

**ბარბარა:** არა, ეგ არ ყოფილა.

**ბილი:** როგორ ფიქრობ, დედაშენი კონდიციონერს ჩართავს?

**ბარბარა:** ხუმრობ? თუთიყუშები გახსოვს?

**ბილი:** რა თუთიყუშები?

**ბარბარა:** შენთვის არ მომიყოლია? რაღაცა უაზროდ აიკვიატა ერთხელ და თუთიყუში იყიდა, ის ქეციანი კიდეც დაახლოებით ორ დღეში მოკვდა. წავიდა ზოომალაზიაში, დედა უტირა იმათ, ისეთ დღეში ჩაყარა, და სანაცვლოდ ახალი თუთიყუში გამოატანეს. ამ მეორეს ზუსტად ერთ დღეში ამოხდა სული. ისევ დაბრუნდა მალაზიაში და მესამე თუთიყუში მისცეს, მაგრამ ეგეც მაშინვე მოკვდა. ზოომალაზიის გოგო გაგიჟდა, ერთი უნდა მოვიდე და ვნახო, რა ჯანდაბა ჭირთ ამ თუთიყუშებს, ან ეს ქალი სერიული მკვლელი ხომ არაა, რომ დახოცა სუყველაო.

**ბილი:** მერე?

**ბარბარა:** სიცხის ბრალი იყო. ძალიან ცხელოდა. სიცხისგან იხოცებოდნენ.

**ბილი:** ღმერთო.

**ბარბარა:** ეგენი ხო ტროპიკული ფრინველები არიან, არა? ხო იმ აყროლებულ ტროპიკებში ცხოვობენ. (მცირე პაუზა, გაიხედ-გამოიხედავს) ნეტავ ეს ხალხი რაზე ფიქრობდა?

**ბილი:** ვინ ხალხი.

**ბარბარა:** ვინც აქ დასახლდა. გერმანელები, ჰოლანდიელები და ირლანდიელები. აი, ვინ იყო ის სირი, ვინც ეს ცარიელი, ბრტყელი არაფერი დაინახა და აქ თავისი დროშა დაარქო? არა, მართლა, წარმოიდგინე, ინდიელები გავჟუჟეთ აი, ამის გამო?

**ბილი:** ხო, გენოციდი იმ დროში კარგი იდეა ეგონათ.

**ბარბარა:** მართალი ხარ, დრო რომ გადის, მერე ხვდები რალაცეებს.

**ბილი:** თუმცა, თუ შუადასავლეთის საშინელი თავისებურებების ახსნას თუ მთხოვ, ძალიან არასწორი ადამიანი შეარჩიე...

**ბარბარა:** მოიცა, რა! რაის შუადასავლეთი? მიჩიგანია შუადასავლეთი, კაცმა არ იცის, რატომ. აქ დიდი დაბლობია: ეს სულის მდგომარეობაა, ხო გესმის, როგორც ბლუზი.

**ბილი:** „კარგად ხარ?“ „არა მიშავს, უბრალოდ, დაბლობი მტკივა“ (იცინიან. კაცი კისერზე ნაზად მოეფერება)

**ბარბარა:** არ გინდა. (გამოეცლება. ერთმანეთს თვალს აარიდებენ, უხერხული მომენტი. ჯინის მისამართით ამბობს) რა გახდა, სიგარას ხომ არ ეწევა?

**ბილი:** მოდის. (ჯინი უახლოვდება ვერანდას, ჩემოდანი მოაქვს) მზად ხარ, ბავშვო?

**ჯინი:** კი, როგორ არა.

**ბარბარა:** ძალიან კარგი. (ჯინს სწრაფად აკოცებს) ჩემი ოქრო ხარ. მგონი, ალები მაქვს. კარგი... წავედით. (როცა ბარბარა, ბილი და ჯინი შემოდიან, შემოსასვლელში სინათლე ინთება) დედა?!

*(სასადილო ოთახი ნათდება, მეტი ფეი და ჩარლი სასადილოდან შემოსასვლელში გადადიან. მისალმების რეპლიკები სწრაფად ჩაივლის, ერთმანეთს ახტებიან რეპლიკებზე. დიაპაზონი დიდია - მეტი ფეის ფორტედან აივის პიანომდე)*

**მეტი ფეი:** ო, ღმერთო! ბარბარა!

**ბარბარა:** როგორ ხარ, დეიდა მეტი ფეი?

**მეტი ფეი:** აბა, ახლავე ჩაეხუტე დეიდას! (ერთმანეთს გადაეხვევიან) გამარჯობა, ბილ! ვაიმე, როგორი გამხდარი ხარ!

**ბილი:** გამარჯობა, მეტი ფეი.

**მეტი ფეი:** ვაიმე, ღმერთო ჩემო, ამას შეხედეთ ერთი რა! მოდი და ჩაეხუტე დეიდა მეტი ფეის სასწრაფოდ! (მეტი ფეი და ჯინი გადაეხვევიან ერთმანეთს. ბილი და ჩარლი ხელს ჩამოართმევენ).

**ბილი:** გამარჯობა, ჩარლი.

**ჩარლი:** გაუ, ბილ. ვაა, მაგრა დაგიკლია წონაში, ვხედავ.

**მეტი ფეი:** (ისევ ჯინს) ვაიმე, ვაიმე, რამხელა ხარ! და ძუძუები როგორ გაგზრდიაა! დედა, რამხელეებია! ბოლოს რომ გნახე, მთლად პატარა ბიჭივით იყავი, ნამდვილი ფიცარი! (ბარბარა და ჩარლი იცინიან)

**ჩარლი:** გამარჯობა, საყვარელო.

**ბარბარა:** როგორ გამიხარდა თქვენი დანახვა, ძია ჩარლი.

**ჩარლი:** მეც, ძვირფასო.

**მეტი ფეი:** არა, ამდენს ვეღარ გავუძლებ, ეს გოგო ნამეტანია. მოდი, აქ, ბილ და ჩაეხუტე დეიდას! (ჩარლი ჯინს მხარზე მოუთათუნებს ხელს და საფეთქელზე აკოცებს).

**ჩარლი:** ძალიან მიხარია შენი ნახვა, ძვირფასო.

**ჯინი:** ჰო, მეც ეგრე.

**ჩარლი:** (მსუბუქად აჯავრებს) მეც ეგრე. მეც ეგრე. (კიბეზე ვაიოლეტი გამოჩნდება, უკან აივი მოჰყვება. ვაიოლეტს ცრემლები წასკდება, ბარბარასკენ გამოიქცევა, ჩაბლუჯავს შვილს. აივი კიბიდან აკვირდება მათ)

**ბარბარა:** ყველაფერი კარგადაა, დედა, აქ ვარ, შენთან ვარ. (ვაიოლეტი ქვითინებს. სხვები უხერხულად დუმან, პატივს სცემენ ამ მომენტს) ჩუ, ჩუ, ყველაფერი კარგადაა, მე შენთან ვარ.

**ბილი:** (ჩარლის) არაფერი არ ისმის?

**ჩარლი:** არა.

**მეტი ფეი:** არა. ეჰ.

**ბარბარა:** ყველაფერი კარგადაა, დედა.

**ვაიოლეტი:** რა უნდა ვქნა? რა გავაკეთო?

**ბარბარა:** დავილაპარაკოთ აუცილებლად. ბილი და ჯინი ნახე? (ვაიოლეტი ახლად შეამჩნევს მათ, დაბნეულია)

**ვაიოლეტი:** აჰ, ჰო. გამარჯობა, ბილ.

**ბილი:** გამარჯობა, ვაიოლეტ. (გადაკოცნიან ერთმანეთს) ძალიან ვწუხვარ, ამდენის გადატანა რომ გიწევს. (ვაიოლეტი ბილს მოეჭოდება, ტირის)

**ვაიოლეტი:** ისეთი შეშნებული ვარ. (მეტი ფეი ხელს გაიწვდენს და ზურგზე ეფერება)

**მეტი ფეი:** აბა რა იქნები, შე საწყალო.

**ვაიოლეტი:** როგორი გამხდარი ხარ.

**ბილი:** ისე რა.

**ვაიოლეტი:** კი, ხარ. (დაინახავს ჯინს) აბა, ერთი ამას შეხედეთ.

**მეტი ფეი:** აბაა, მეც მაგას არ ვამბობ, სულ სხვანაირია, არა? არა, ძუძუებს დამიხედეთ ერთი!

**ჯინი:** აჰა, ახლა ყველამ მე უნდა მიყუროს ძუძუებზე.

**მეტი ფეი:** იმხელა გაქვს, შვილო, რა გასაკვირია.

**ჩარლი:** მეტი ფეი... (ვაიოლეტი ჯინს ეხუტება)

**ვაიოლეტი:** ულამაზესი ხარ. მადლობა, ჩემს სანახავად რომ ჩამოხვედი.

**ჯინი:** რა პრობლემაა.

**ბარბარა:** აივი, ვერ დაგინახე მანდ მაღლა.

**აივი:** (კიბეებზე ჩამოდის) ისედაც ბევრნი იყავით.

**ბარბარა:** ღმერთო, რა ლამაზი ხარ. ხო ძალიან ლამაზია, არა, ბილ?

**ბილი:** კი, ნამდვილად.

**ბარბარა:** ძალიან მომწონს შენი თმა, გიხდება ასე.

**ვაიოლეტი:** გაისწორა.

**ბარბარა:** მივხვდი, და ძალიან უხდება. (აივი და ჯინი ხელს დაუქნევენ ერთმანეთს)

**აივი:** გამარჯობა, ჯინ.

**ჯინი:** გამარჯობა. (ვაიოლეტი ბარბარას მისაღები ოთახისკენ უბიძგებს. სხვები მიჰყვებიან.)

**ვაიოლეტი:** ბარბარა... ან ბილ, სულერთია, რომელიმე თქვენგანი უნდა მომეხმაროს და ბევრლის ქაღალდებში რაღაცეებია მოსაწესრიგებელი.

**ბარბარა:** ხო... როგორ არა, დედა, მოგეხმარებით, მაგისტვის ჩამოვედით აქ.

**აივი:** (რეპლიკაზე დააჯდება) მე ვაპირებდი მოხმარებას...

**ვაიოლეტი:** სამუშაო მაგიდა ისეთ დღეში აქვს, თავგზა ამებნა...

**ბილი:** მე მივხედავ, ვაიოლეტი.

**ბარბარა:** (ჩარლის) თქვენ რომელ ოთახში დაიძინებთ?

**მეტი ფეი:** არა, ამაღამვე ვბრუნდებით უკან.

**ვაიოლეტი:** მიდიხართ?

**მეტი ფეი:** სხვა გზა არ გვაქვს, ვაი, ისე გამოვიქცით აქეთ, რომ იმ ჩვენი სუნიანი ძაღლების მისახედად არავინ არ დაგვიტოვებია.

**ვაიოლეტი:** ამ შუალამეს საათნახევარი მანქანით უნდა იაროთ?

**მეტი ფეი:** ჩარლი როგორც ატარებს, რომ მახსენდება თან... არა, მაგრამ ვიცი, რომ გოგოებთან მარტო დარჩენა მოგინდება.

**ვაიოლეტი:** ვერ დაურეკავ ვინმეს, რომ ძაღლებს მიხედოს? ან, პატარა ჩარლზი ვერ მიხედავს?

**ჩარლი:** ჰო, ისე, რატომაც არა...

**მეტი ფეი:** ვერა, ვერ მიხედავს ეგ. უნდა დავბრუნდეთ.

**ჩარლი:** მეტი ფეი, იქნებ მართლა დავურეკოთ...

**მეტი ფეი:** ამაზე უკვე ვილაპარაკეთ.

**ჩარლი:** ვიცი, მაგრამ...

**მეტი ფეი:** (ვაიოლეტს) ამდენი ხალხი გყავს სახლში, საწოლები არ გეყოფა...

**ვაიოლეტი:** აივის ბინაში დარჩით.

**აივი:** (წამი) ჰო, რა თქმა უნდა. მე მაქვს ადგილი.

**მეტი ფეი:** (ჩარლის) ამაზე ხომ ვილაპარაკეთ.

**ბარბარა:** გაერკვიეთ როგორმე თვითონ. დედა, შეიძლება ჯინმა მანსარდაში დაიძინოს?

**ვაიოლეტი:** არა, მანდ ის ცხოვრობს, რა ქვია...?

**აივი:** ჯონა.

**ბარბარა:** ჯონა ვინდაა?

**ვაიოლეტი:** ინდიელი გოგო, რომელიც ჩემს მანსარდაში ცხოვრობს.

**ბარბარა:** ვინ არისო? (შემოდის ჯონა)

**ჯონა:** გამარჯობა, მე ჯონა ვარ. კეთილი იყოს თქვენი შინ დაბრუნება.

## სცენა 2.

*ბარბარა, ბილი და ვაიოლეტი სასადილო ოთახში, ყავა და ნამცხვარი. ვაიოლეტის ტაბლეტები მოქმედებას იწყებენ.*

*სახლის სხვა ნაწილებში: ჯონა წიგნს კითხულობს თავის მანსარდის საწოლში ჯინი აიპოდს უსმენს მეორე სართულის ბაქანზე.*

**ვაიოლეტი:** შაბათს. შაბათ დილით. იმ გოგომ, ინდიელმა, ნამცხვრები და ხორციანი წვნიანი გაგვიკეთა. ცოტა შევჭამეთ, მერე... კარში გავიდა, აი, იმ კარში. და სულ ეს იყო.

**ბარბარა:** ბოლოჯერ მაშინ ნახე, ესე იგი.



**ვაიოლეთი:** შაბათს საღამოს დავწექი და კვირას დილით გამეღვიძა... ბევრლი არ დაბრუნებულყო. ყურადღება არ მიმიქცევია, ვიფიქრე, სადმე ჩასათხლეშად იქნება გასული-მეთქი.

**ბარბარა:** სად უნდა წასულიყო? სახლში ვინ უშლიდა დალევას? შენ თუ არ უტრაკებდი, რა თქმა უნდა.

**ვაიოლეთი:** ერთი სიტყვაც არ მითქვამს დალევაზე, ერთხელაც არ მისაყვედურია.

**ბარბარა:** მართლა.

**ვაიოლეთი:** ბარბარა, გეფიცები. შეეძლო, იმდენი ესვა, სანამ გო... გოპ-ნების გოლოონ

**ბარბარა:** გონებას არ დაკარგავდა.

**ბილი:** მოკლედ, კვირასაც არ გამოჩენილა...

**ვაიოლეთი:** არა. არც კვირას გამოჩნდა. ცოტა ავლელდი, ხომ ხვდებით, და ამ დროს გამახსენდა ჩვენი სეიფი ბანკში. მანდ ძალიან ბევი ნაღდი ფული გვაქვს შენახული, ცოტა სამკაულებიც, ძვირიანი სამკაულები. იმ სეიფში ერთი ბრილიანტის ბეჭედი მაქვს, რომელიც შვიდი ათას დოლარზე ძვირადაა შეფასებული...

**ბარბარა:** მოიცა, მოიცა, რაღაც ვერ გავიგე, ბანკის სეიფი რაში გადარდებს?

**ვაიოლეთი:** ხო, ვიცი ახლა რასაც მეტყვი, მაგრამ... მე და მამაშენს გვქონდა შშეხათმნ.. შეთანხმება. თუ რომელიმე ჩვენგანს რამე დაემართებოდა, მეორე უნდა წასულიყო და ეგ შემნახველი სეიფი სასწრაფოდ დაეცალა.

**ბარბარა:** რისთვის...

**ბილი:** მემკვიდრეობის ნაწილად ჩაითვლება და პროცედურები უნდა გაიაროს.

**ვაიოლეთი:** ჰო, ეგრეა.

**ბარბარა:** რა დამპალი ცინიკოსი ხარ.

**ვაიოლეთი:** ვიცოდი, რომ არ მოგეწონებოდა...

**ბარბარა:** (მოუთმენლად) კარგი, გავიგე, მერე, რას ამბობდი შემნახველ სეიფზე?

**ვაიოლეთი:** ორშაბათამდე დაველოდე, სანამ ბანკი გაიღებოდა. მერე სეიფი გამოვცალე, პოლიციაში დავრეკე და ძებნა გამოვაცხადებინე. ორშაბათს დილით.

**ბარბარა:** და მხოლოდ ახლა, ხუთშაბათს მოგაფიქრდა ჩემთან დარეკვა?

**ვაიოლეთი:** მე არ დამირეკავს შენთან.

**ბარბარა:** აივის დაარეკინე. ხუთი დღის დაგვიანებით.

**ვაიოლეთი:** საყვარელო, არ მინდოდა, რომ გენერვიულა...

**ბარბარა:** ღმერთო!

**ბილი:** ვაი, დარწმუნებული ხარ, რომ არაფერი ისეთი არ მომხდარა, რაიმე ინციდენტი, რაც წასვლას გადააწყვეტინებდა?

**ვაიოლეტი:** უთანხმოებას გულისხმობ.

**ბილი:** ჰო.

**ვაიოლეტი:** არა. კი, სულ ვკინკლაობდით... ხომ იცი... მაგრამ არა, უბრალოდ ადგა და წავიდა.

**ბარბარა:** იქნებ ცოტა ხნით შენგან შორს უნდოდა ყოფნა.

**ვაიოლეტი:** რა კარგად თქვი, გმადლობთ.

**ბარბარა:** რა მოხდა, დანაშაული კი არაა. ოჯახური ცხოვრება რთულია.

**ბილი:** ვითარებას გააჩნია.

**ბარბარა:** ანუ, საერთოდ არაფერი არ უთქვამს, არც „ნახვამდის“, არც „სასეირნოდ მივდივარ“ (ვაიოლეტი თავს გააქნევს) დიდი ამოუხსნელი კაცია მამაჩემი.

**ვაიოლეტი:** ოჰ. ეგ კაცი. რაც მასში პირველად შემოყ... შემიყვარდა, იცი, ეს ამოუცნობი საიდუმლო იყო. მაშინ საშინლად მესექსუალურებოდა. ხვდებოდი, რომ ყველაზე ჭკვიანი იყო, ხმა რომ ამოეღო, ეგრევე... ყველას მიაჩუმებდა. მაგრამ უბრალოდ იდგა და სახეზე პატარა ღიმილი ეხატა... სიტყვას არ იტყოდა. ძალიან სექსუალური იყო, ჰო.

**ბარბარა:** ხო, ოღონდ, ეგ „საიდუმლო“ შეუძლება ჭკუის ნიშანი იყოს, ან სულ პირიქითაც.

**ბილი:** და არაფერი ისეთი განსხვავებული ან უჩვეულო არ გახსენდება, ან იქნებ...

**ვაიოლეტი:** ქალი დაიქირავა. ჩემთვის არ უკითხავს, უბრალოდ ეს ქალი დაიქირავა და ჩვენთან დაასახლა. წასვლამდე რამდენიმე დღით ადრე.

**ბარბარა:** არ მოგწონს, აქ რომ ცხოვრობს, არა?

**ვაიოლეტი:** არ ვიცი, აქ რას აკეთებს. უცხო ადამიანი მყავს სახლში. ინდიელი გოგო მყავს სახლში.

**ბილი:** (იცინის) ინდიელებთან რაიმე პრობლემა გაქვს, ვაიოლეტ?

**ვაიოლეტი:** არ ვიცი, ინდიელს რა უნდა ველაპარაკო.

**ბარბარა:** დედა, ახლა მაგათ „მკვიდრი ამერიკელები“ ქვიათ.

**ვაიოლეტი:** და ვინ უწოდებს ეგრე? ვინ იღებს ამ გადაწყვეტილებებს?

**ბარბარა:** თვითონ ისურვეს ასე.

**ვაიოლეტი:** ეგენი ჩემზე უფრო მკვიდრები არ არიან.

**ბარბარა:** პრინციპში, არიან.

**ვაიოლეტი:** და „ინდიელს“ რა უჭირს?

**ბარბარა:** განა ასე ძნელია, ადამიანს ის დაუძახო, რაც თვითონ უნდა?

**ვაიოლეტი:** მაშინ დინოზავრებსაც „მკვიდრი ამერიკელები“ დავუძახოთ, თუ ამაზე მიდგა საქმე.

**ბარბარა:** შეიძლება ინდიელია, მაგრამ ეგეთი გემრიელი ვაშლის ნამცხვარი ცხოვრებაში არ მიჭამია.

**ბილი:** კარგია, არა?

**ბარბარა:** უჰ, სასწაული...

**ვაიოლეთი:** მზარეული? ანუ, მზარეული დაიქირავა? რაში ჭირდებოდა. ჩვენ ხომ არ ვჭამთ.

**ბარბარა:** ჯანსაღი ცხოვრების წესი გქონიათ.

**ვაიოლეთი:** ყველას და კრეკერებს, ან ლორიან სენდვიჩებს ვჭამთ. არც კი მახსოვს, ბოლოს როდის ჩავრთე ეგ ქურა... ალბათ, წლების წინ.

**ბარბარა:** ახლა კიდევ ნაცხვრები და ხორციანი წვნიანი გაქვს. კარგია მერე, არა?

**ვაიოლეთი:** შენთვის, ალბათ, კარგია, სანამ აქ ხარ. მაგრამ მალე წახვალ და არასოდეს არ დაბრუნდები.

**ბარბარა:** (გამაფრთხილებლად) დედა!

**ვაიოლეთი:** ბოლოს როდის იყავი ჩამოსული?

**ბარბარა:** ახლა ნუ დაიწყებ...

**ვაიოლეთი:** არა, მართლა, არც კი მახსოვს.

**ბარბარა:** ჩემს მოვალეობებს ყოველთვის ვასრულებ, გირეკავ, გწერ, საჩუქრებს გიგზავნი...

**ვაიოლეთი:** არაფერსაც არ „მწერ“...

**ბარბარა:** საჩუქრებს გიგზავნი დაბადების დღეზე და დედის დღეზე...

**ვაიოლეთი:** იმიტომ, რომ „მოვალეობებს“ ასრულებს.

**ბარბარა:** ჩემს სიტყვებს ნუ იმეორებ.

**ბილი:** კარგით ახლა, გეყოფათ...

**ვაიოლეთი:** ზრდასრული ადამიანები ხართ, ზრდასრულები. სადაც გაგიხარდებათ, იქ წახვალთ...

**ბარბარა:** იმდენი ვალდებულება მაქვს, ჩემი შვილი ორიოდ წელში სკოლას დაამთავრეს...

**ვაიოლეთი:** მართლა? ბოლოს რომ ვნახე, დაწყებით კლასებში იყო...

**ბარბარა:** არ მინდა ამაზე ლაპარაკი...

**ვაიოლეთი:** თქვენ ორი საერთოდ არ მაინტერესებთ, მართლა. უბრალოდ, ხანდახან ჩემი შვილიშვილის ნახვა მინდა ხოლმე.

**ბარბარა:** ჰოდა, ახლა ხომ ხედავ.

**ვაიოლეთი:** და მამაშენს რომ გული დაწყვიტე, აქედან რომ გადახვედი?

**ბარბარა:** რა უსამართლო ხარ.

**ბილი:** რა ვქნა, გაგაშველოთ?

**ვაიოლეთი:** იცოდი, რომ ბევერლის ყოველთვის ყველაზე მეტად უყვარდი; თავს ნუ მაჩვენებ, ვითომ არ იცოდი.

**ბარბარა:** ამის „ცოდნა“ არაფერში მჭირდება. მირჩევნია, მეგონოს, რომ ჩემს მშობლებს ყველა შვილი თანაბრად უყვარდათ.

**ვაიოლეთი:** ეჭვი არ მეპარება, ალბათ, გირჩევნია, ჯერ კიდევ გეგონოს, რომ საშობაოდ საჩუქრები სანტა კლაუსს მოაქვს, მაგრამ ასე არ ხდება. ერთზე მეტი შვილი რომ გაგეჩინა, მიხვდებოდი, რომ მშობლები ყოველთვის გამოარჩევენ ხოლმე რომელიმეს. მეტი ფეი დედაჩემის საყვარელი შვილი იყო. დიდი ამბავი. მივეჩვიე. შენ მამაშენის რჩეული იყავი.

**ბარბარა:** გადასარევია. მადლობა. (პაუზა)

**ვაიოლეთი:** და მაინც გული გაუტეხე.

**ბარბარა:** აბა, რა უნდა მექნა? კოლორადომ ბილს ორი იმდენი ხელფასი შესთავაზა, რასაც აქაურ კოლეჯში აძლევდნენ.

**ბილი:** რა საჭიროა ამაზე ლაპარაკი?

**ბარბარა:** ... და მეც შემომთავაზე სამსახური. მამამ იცოდა, რომ აუცილებლად უნდა დავთანხმებულიყავით ამ შემოთავაზებას. როგორ გგონია, მისთვის რომ მიეცათ ასეთი შანსი, სიხარულით არ გავარდებოდა?

**ვაიოლეთი:** აი, მანდ გეშლება. ბევრლი უესტონს ოკლაჰომიდან ვერაფერი ვერ დაძრავდა. და ნუ გგონია, რომ სხვა შანსები არ ჰქონია... როცა „ველის ფრინველი“ დაიბეჭდა...

**ბილი:** ეჭვიც არ მეპარება.

**ვაიოლეთი:** როცა „ველის ფრინველი“ დაიბეჭდა, იმდენი შემოთავაზება ჰქონდა მთელი ქვეყნიდან, და სხვათა შორის, კოლორადოზე ბევრად უკეთესი ადგილებიდანაც.

**ბარბარა:** ახლა კოლორადოს ლანძღავ.

**ვაიოლეთი:** რა ძნელი გასალანძლი ეგაა.

**ბილი:** ბარბარა, გთხოვ...

**ბარბარა:** მამას წიგნი ორმოცი წლის წინ გამოვიდა. აკადემიური სფერო ახლა სულ სხვანაირია, კონკურენცია ბევრად ძლიერია.

**ვაიოლეთი:** ძალიან გთხოვ, ნუ მაცინებ, რომელ „აკადემიურ სფეროზე“ მელაპარაკები.

**ბარბარა:** მამამ კურთხევა მომცა, ისე, რომ მე თვითონ არც კი მითხოვია.

**ვაიოლეთი:** ხო, შენ ალბათ ასე გითხრა, ნამდვილად...

**ბარბარა:** და ახლა შენ სიმართლეს გამიმხელ არა? ყველა საძაგლობას მომიყვები, რასაც მამა ჩემზე ზურგსუკან ლაპარაკობდა?

**ბილი:** გეყოფათ-მეთქი! ყველანი ცოტა ნერვებზე ვართ...

**ვაიოლეთი:** ბევრლი შენზე სამაგლობებს არ ლაპარაკობდა...

**ბილი:** ვაი, რა გახდა...

**ვაიოლეთი:** მხოლოდ ის მითხრა, რომ იმედი გაუცრუე, ერთ ადგილას გაჩერდი.

**ბარბარა:** როგორც ვხვდები, ბილის მისამართით ნათქვამი საყვედურია? მამას მსგავსი არაფერი უთქვამს, რასაც ახლა შენ...

**ვაიოლეთი:** მამაშენს ეგონა, რომ მწერლობის ნიჭი გქონდა.

**ბარბარა:** თუ მართლა ასე ეგონა, რაშიც ეჭვი მეპარება, აშკარად ცდებოდა. თანაც, რა მნიშვნელობა აქვს? ეს ჩემი ცხოვრებაა. რაც მინდა, იმას ვიზამ. ესე იგი, რას მეუბნები, რომ იმედი გავუცრუე, რახან მშვენიერი ოჯახი შევექმნელი და მასწავლებლის კარიერა ავირჩიე? რა სისულელეა!

**ვაიოლეთი:** ხო, ემახე ახლა სისულელე. მიდი, ბილ, შენც თქვი, რომ სისულელეა.

**ბილი:** სისულელეა. (ბილი გადის სამზარეულოში)

**ბარბარა:** კარგად ხარ, ხო?

**ვაიოლეთი:** არა.

**ბარბარა:** კარგად, ანუ კაიფში ხარ-მეთქი? ყლაპავ რაღაცეებს?

**ვაიოლეთი:** კუნთების მომადუნებელს.

**ბარბარა:** იცი, რას გეტყვი: აღარ მინდა შენთან ამ თემაზე ლაპარაკი.

**ვაიოლეთი:** რა თემაზე?

**ბარბარა:** იმ დამპალ ტაბლეტებზე გეუბნები.

**ვაიოლეთი:** კუნთების მომადუნებელი საშუალებებია...

**ბარბარა:** არა, აღარ დავიწყებ თავიდან.

**ვაიოლეთი:** ვერ ვხვდები, რაზე მელაპარაკები.

**ბარბარა:** საგიჟეთი? დილის სამ საათზე რეკვები, რომ შენს ეზოში ვიღაც შემოიჭრა?

**ვაიოლეთი:** როგორ გიყვარს ეს დრამები...

**ბარბარა:** და პოლიცია, და ყველაფერი დანარჩენი? ძალიან კარგად იცი, რასაც ვგულისხმობ. მთელი ქონება შეათხლიშე ამ საშინელ ტაბლეტებში...

**ვაიოლეთი:** ნუ მიყვირი!

**ბარბარა:** .... მერე დარჩენილი ქონება მაგ ტაბლეტების გადაგდებაში გაფლანგე.

**ვაიოლეთი:** ახლა სხვა სიტუაციაა, მაშინ მიზეზი არ მქონდა.

**ბარბარა:** აჰა, რახან მიზეზი გაქვს ახლა შეიძლება შეჯდომა, არა?

**ვაიოლეთი:** არაფერზე არ შევჯექი.

**ბარბარა:** არ ვიცი, შეჯექი თუ არა, მაგრამ გეუბნები, რომ აღარ მოვითმენ...

**ვაიოლეთი:** არა-მეთქი. ტკივილები მაქვს.

**ბარბარა:** პირი?

**ვაიოლეთი:** ჰო, პირი საშინლად მეწვის იმ ქიმიოთეაარაპიში...

**ბარბარა:** ძალიან გტკივა?

**ვაიოლეთი:** (ტირილს იწყებს) ხო, საშინლად მტკივა. მე ხო... კიბო მაქვს. პირში. და იცი, როგორ მეწვის... საზიზღრად. ბევრლი სადღაც დაიკარგა, ახლა შენ მოხვედი და მიყვირი.

**ბარბარა:** არ გიყვირი. (ბილი ბრუნდება)

**ვაიოლეთი:** მე რომ კიბო აღმომაჩნდა, ვერ მოახერხე ჩამოსვლა, აი, როგორც კი ბევრლი დაიკარგა, იმწამსვე ჩამოქანდი...

**ბარბარა:** მაპატიე. მე... მართალი ხარ. მაპატიე. (ვაიოლეთი ტირის. ბარბარა მის წინ მუხლებზე დგება, ხელებს დაუჭერს) იცი, სად მგონია? მგონი, ვისკი იყიდა... ერთი ბლოკი სიგარეტი, რაიმე დეტექტიური რომანები... დღაა მგონი, კატერით გაცურა, რაიმე ლამაზ ადგილას, სადღაც ჩრდილში, ნაპირთან ახლოს... და ალბათ თევზაობს, წიგნს კითხულობს, სვამ და თუ მოეხუმტურება, იქნებ ცოტა დაწეროს კიდევ. მგონი, კარგადაა. და მგონი, ასე უბრალოდ შემოაბიჯებს კარში... ნებისმიერ წუთს.

*(სასადილო ოთახი ბნელდება, მანსარდა ნათდება, ჯონა წიგნს კითხულობს. ჯინს აიპოდი ჯიბეში უდევს, კიბეზე ადის)*

**ჯინი:** გამარჯობა.

**ჯონა:** გამარჯობა.

**ჯინი:** ხელი ხომ არ შეგიშალეთ?

**ჯონა:** არა. რაიმე ხომ არ გჭირდებათ?

**ჯინი:** არა, მეთქი, ჩემთან ერთად მოსაწევს ხო არ მოწევდი?

**ჯონა:** არა, გმადლობთ.

**ჯინი:** კაი. რა ვიცი. (ჯინი დგას, უყურებს) ტვინს ხო არ გიჭამ?

**ჯონა:** არა, ჰაჰაჰა.

**ჯინი:** კაი. მე რო მოვწიო, წინააღმდეგი ხო არა ხარ?

**ჯონა:** მე, არა, მე...

**ჯინი:** სხვაგან ვერსად ვერ მოვწევ. ხო ხვდები, ბებოს ოთახის გვერდითაა ჩემი და გარეთ რო გავიდე, ბებო მკითხავს...

**ჯონა:** ჰო...

**ჯინი:** დედა და მამა არ მიშლიან. რამე შარში და ეგეთში არ გაეხვევი, რო რამე.

**ჯონა:** კარგი.

**ჯინი:** ჯაი. დარწმუნებული ხარ? (ჯონა თავს დაუქნევს. ჯინი ჯიბიდან ამოიღებს პატარა შუშის ჩიბუხს, სიგარეტის შესახვევ ქალაქში შეფუთულ ბლომად მარიხუანას და ჩიბუხს შეაკეთებს.) როგორც გითხარი, მშობლები არ მიშლიან. ოღონდ, აზრზე არ არიან, რომ მამას დეოდორანტის თავსახურის ქვეშ დავმალე ეს მოსაწევი, სანამ გამოვფრინდებოდი და მთელი ფრენა ცივი ოფლი მასხამდა, იმ კინოსავით „სათნო მარია“, ნანახი გაქვს?

**ჯონა:** არა მგონია.

**ჯინი:** მოკლედ, არ მიშლიან მოწევას. მამა ნაღდად არა. დედა ცოტა მიშლის, თითქოს გონია, რომ ცუდია ჩემთვის. სინამდვილეში, მგონი უფრო ის აწუხებს, რომ მამაც ეწევა და ძაან უნდა, რომ არ ეწეოდეს. მამაჩემი ბევრად უფრო საკაიფო ტიპია, ვიდრე დედაჩემი, მართლა. არა, გატყუებ. უბრალოდ, ამ გაგებით უფრო საკაიფოა, ალბათ. (ჯინი ეწევა. ჯონას გაუწვდის ჩიბუხს. სუნთქვას იკავებს) მართლა არ გინდა?

**ჯონა:** მართლა. მადლობა, არ მინდა.

**ჯინი:** არა, სულაც არაა უფრო საკაიფო ტიპი მამაჩემი. (გამოაფრქვევს კვამლს) დედაჩემი და მამაჩემი ახლა დროებით დაშორებულები არიან.

**ჯონა:** ვწუხვარ.

**ჯინი:** მამაჩემი თავის ერთ სტუდენტს ჟიმავეს ახლა, რაც, მე რო მკითხო ძაან არასაკაიფო საქციელია. ვილაცხვებ ალბათ კაიტიპობად მოეჩვენებათ, აი, იმ ყლე ტიპებს, ვინც მაგასთან ერთად ასწავლის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე, იმიტო რო ეგენიც სტუდენტებთან ჟიმაობენ, ან უნდათ, რო ჟიმაობდნენ. „ლო-ლიიიი-ტა“. მოკლედ, მე მაგრა მკილია, ვინც უნდა ის გაჟიმოს, თანაც მასწავლებელია და მასწავლებლები სტუდენტებს ხვდებიან. უბრალოდ, მაგრა ახვრულად მოექცა დედას, არანაირი შანსი არ დაუტოვა. ხოდა, ახლა მაგრა ტეხავს, რო დედა ჩასაფრებულია, სულ მაკონტროლებს, გონია, რო მაგათი გაშორების გამო გავრეკავ და ჰერონზე შევჯდები ან სკოლაში ყველას დავხოცავ. ან, ღმერთმა ნუ ქნას და, ქალიშვილობას დავკარგავ. არ ვიცი, მამასთან გაშორების მერე დედაჩემი ქალიშვილობის პატრულად რატო გადაიქცა. შენ გყავს ბიჭი?

**ჯონა:** არა, ახლა არ მყავს.

**ჯინი:** არც მე. იმ ბიჭთან დავდიოდი, ჯოშთან, თითქმის ერთი წელი, მაგრამ მაგარი დებილი იყო. შენი მშობლები ერთად ცხოვრობენ?

**ჯონა:** გარდაცვლილები არიან.

**ჯინი:** უი, მაპატიე. ვწუხვარ.

**ჯონა:** არა უშავს. გმადლობ.

**ჯინი:** არა, მართლა, ძაან ვწუხვარ, ახლა ძაან ცუდად ვგრძნობ თავს.

**ჯონა:** არა უშავს.

**ჯინი:** ო, ღმერთო. კაი. ძაან ახლოს იყავი მშობლებთან?

**ჯონა:** ჰო.

**ჯინი:** აჰა, კიდევ ერთი სირობა იკითვე, ჯინ, მაგარი გოგო ხარ. ყოჩაღ. აი, რამ მათქმევინა „ძაან ახლოს ხარ მშობლებთან?“

**ჯონა:** ყველა ხომ არაა ახლოს.

**ჯინი:** ჰო, მართალია. აი, ეგ ვიგულისხმე მეც. მადლობა. (ჯონა ტუმბოდან აიღებს ჩარჩოში ჩასმულ ფოტოს და ჯინს გადასცემს). ოჰ, ვაუ. ესენი არიან.

**ჯონა:** ჰო, ქორწილის სურათია.

**ჯინი:** რა საყვარლობაა. ფანტასტიური კოსტიუმები აცვიათ. (ჯონას ეღიმება. ჯინი ფოტოს უბრუნებს, ოთახს წრეს დაარტყამს) მაგარი ოთახია. „მონადირის ღამეს“ გავს ძაან. ეს ჩემი ოთახი იყო ხოლმე, როცა აქ მოვდიოდი სტუმრად.

**ჯონა:** ბოდიში.

**ჯინი:** არა, რას ამბობ... ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს. უბრალოდ ოთახია, რა. (წამიერი პაუზა) რას კითხულობ?

**ჯონა:** ტ.ს. ელიოტს.

**ჯინი:** ასწორებს.

**ჯონა:** ბაბუაშენმა მათხოვა ეს წიგნი.

**ჯინი:** გარეკილმა ბაბუაჩემმა. დედაჩემი ჭკუიდან გადადგა, როცა დეიდა აივიმ დაურეკა ამ დილით.. აი, რასაც ქვია ჭკუიდან გადადგა. ეგეთ დღეში არასოდეს არ მინახავს. ვერაფრით ვერ დავაწყნარე. ძაან უცნაური იყო. ალბათ, არაა უცნაური, ეგრე რო გარეკა, მაგრამ იცი რა, მაინც ძაან უცნაურია, როცა ხედავ, რო დედაშენმა ისე გარეკა, როგორც ადრე არასოდეს არ უქნია, ხო ხვდები? ჩვენ კიდევ ძაან ახლოს ვართ. შენს მშობლებს როდესმე ეგრე გაურეკავთ?

**ჯონა:** არა, სხვანაირები იყვნენ.

**ჯინი:** მართლა? აუ, წარმოიდგინე, ერთხელაც აი, ეგრე ძაან რო გაეტიათ, აი, როგორ იცი, პირს რო დააღებ და ვააა (ჯინი ხელს გაიწვდის და ჯონას მძივს შეეხება) შენი კულონი მომწონს.

**ჯონა:** მადლობა.

**ჯინი:** შენ თვითონ გააკეთე?

**ჯონა:** ბებიაჩემმა.

**ჯინი:** კუს ფორმა აქვს, ხო?

**ჯონა:** აჰა.

**ჯინი:** გეგონება, თითქოს რაღაცაა შიგნით.

**ჯონა:** ჩემი ჭიპლარია. (ჯინი სწრაფად ააცლის ხელს და შარვალზე შეიწმენდს. ჯონა იცინის)



**ჯინი:** ფუუ, მართლა?

**ჯონა:** ჰო.

**ჯინი:** ღმერთო, რა საზიზღრობაა.

**ჯონა:** ნუ გეშინია, არაჰიგიენური არაა.

**ჯინი:** რაში გჭირდება, რამე ისაა...?

**ჯონა:** ჩეინების ტომის ტრადიციაა.

**ჯინი:** ესე იგი, ჩეინის ტომიდან ხარ?

**ჯონა:** აჰა.

**ჯინი:** როგორც იმ კინოში, „პაუაუს გზატკეცილი“, ნანახი გაქვს?

**ჯონა:** როცა ჩეინებს ბავშვი უჩნდებათ, ჭიპლარს აშრობენ და პატარა ტომიკაში გამოკერავენ. გოგობისთვის კუს ფორმაში, ბიჭებისთვის ხვლიკის. და მთელი დარჩენილი სიცოცხლე ვატარებთ.

**ჯინი:** ვაუ.

**ჯონა:** თუ დაკარგავთ, ჩვენი სულები საცხოვრებელ ადგილს დაკარგავენ და როცა მოვკვდებით, დედამიწაზე იხეტიალებენ, რომ თავიანთ ადგილს მიაგნონ.

**ჯინი:** არავისთან არ თქვა, რომ დედა და მამა შორდებიან, კარგი? თვითონ არ უნდათ ჯერ გაბაზრება.

### სცენა 3

*ბარბარა სასტუმრო ოთახში გასაშლელ საწოლს შლის. ბილი კაბინეტიდან შემოდის, თხელი, მაგარყდიანი წიგნი უჭირავს.*

**ბილი:** ნახე რა ვიპოვე, რა მაგარია, არა?

**ბარბარა:** ჩვენც გვაქვს სახლში რამდენიმე ეგზემპლარი.

**ბილი:** მაგარყდიანი გამოცემა არ მახსოვს. არც კი მახსოვდა, თუ ოდესმე პოეზიას მაგარ ყდებში გამოსცემდნენ. ჯანდაბა, ეგ კი არა, ის დროც აღარ მახსოვს, როცა პოეზიას საერთოდ ვინმე გამოსცემდა.

**ბარბარა:** ამ სიცხეში დაძინებას ვერ მოვახერხებ.

**ბილი:** ნეტა, რაიმე ღირებულება თუ ექნება.

**ბარბარა:** დარწმუნებული ვარ, არა.

**ბილი:** რა იცი. პირველი გამოცემაა, მაგარი ყდით, გადასარევეად შენახული. აკადემიის სტიპენდია, უჰ... უოლეს სტივენსის პრემია? ოჰო, მართლა?

**ბარბარა:** აჰა.

**ბილი:** ეს წიგნი დიდი მოვლენა იყო.

**ბარბარა:** სულაც არა.

**ბილი:** კი, იმ წრეებში მართლა დიდი მოვლენა იყო.

**ბარბარა:** ეგ წრე ძალიან ვიწროა.

**ბილი:** (წიგნიდან კითხულობს) „ვუძღვნი ჩემს ვაიოლეტს“. რა კარგია. ღმერთო... ვერც კი წარმოვიდგენ, რა წნეხში მოექცა ამ წიგნის გამოსვლის შემდეგ. ალბათ, ამის შემდეგ რასაც წერდა, თითოეულ სიტყვას უფიქრდებოდა: „ნეტავ ამაზე რას იტყვიან? „ველის ფრინველს“ თუ შეადარებენ?“

**ბარბარა:** ჯიბი უკვე დაწვა?

**ბილი:** ამწუთას ჩააქრო სინათლე. როგორ გგონია, შესაძლებელია, რომ რაღაც მომენტში უბრალოდ თქვა, ერთი ამის დედაც ვატირე, წერა გააგრძელო და დაიკილო, ვინ რას იტყვის შენს ნაწერზე? არ ვიცი, მე თუ შევძლებდი...

**ბარბარა:** არ შეგიძლია, რომ მოკეტო, ტვინი წაიღე უკვე ამ წიგნით.

**ბილი:** რა ხდება?

**ბარბარა:** შურით სკდები... ამ ოცდაათი ლექსის გამო, მამაჩემმა სამოციან წლებში რომ დაწერა. კარგი რა, მართლა და მართლა.

**ბილი:** გეშლება. შური რა შუაშია, მართლა ძალიან ვაფასებ ამ ლექსებს...

**ბარბარა:** ჰო, როგორ არა, ჯილდოები ჩამომითვალე აქ...

**ბილი:** უბრალოდ, ღირებულებაზე ვლაპარაკობდი...

**ბარბარა:** მამაჩემს წერა არ გაუგრძელებია და საამისოდ ბევრი მიზეზი ჰქონდა, მაგრამ კრიტიკის შიში ნამდვილად არ იყო ეგ მიზეზი, რამდენადაც დაუჯერებლად არ უნდა გეჩვენებოდეს. ვიცი, შენთვის როგორი მნიშვნელოვანია ეგეთი რაღაცეები.

**ბილი:** რას მერჩი? არაფერი არ დამიშავებია.

**ბარბარა:** დარწმუნებული ვარ, იმ შენს სისისას ეგრე ეუბნები, რომ მერე დაგამშვიდოს და გითხრას: „არა, ბილი, შენ არაფერი არ დაგიშავებია.“

**ბილი:** ეგ რა შუაშია.. საერთოდ რატომ ახსენებ ამ თემას ახლა?

**ბარბარა:** ეგ შენი კაცური მენოპაუზის სიმპტომებია, ხან „შემოქმედებითი საკითხი“ გაწვალებს და ხან ჯერ კიდევ ბრეკეტებიან გოგოსთან გორაობ.

**ბილი:** კარგი, ახლა მომისმინე. აქ შენ გამო ჩამოვედი. მინდა, რომ ამ გასაჭირში შენთან ერთად ვიყო. მაგრამ არ ვაპირებ, ამ ოთახში ტყვესავით ვიჯდე და უფლება მოგცე, თავს დამესხა...

**ბარბარა:** მაპატიე, შენი ტყვედ აყვანა არც მიფიქრია. აჯობებს, წახვიდე.

**ბილი:** არსად არ წავალ. ოკლაჰომაში იმისთვის გადმოვფრინდი, რომ შენთან ერთად ვიყო და მორჩა, ახლა გაქედნილი ხარ. სხვათა შორის, იმ გოგოს სინდი ქვია.

**ბარბარა:** ვიცი, რაც ქვია. იმდენი პატივი მაინც დამდე, რომ მიხვდე, როცა ვცდილობ, დაგამცირო.

**ბილი:** ვაიოლეტი სულ ეგრე თავდამსხმელ ხასიათზე გაყენებს, როგორც ვხვდები.

**ბარბარა:** დედაჩემი არაფერ შუაშია.

**ბილი:** არ დაიჯერო. ისე გაგაცოფა, რომ თავს ვერ აკონტროლებ და მთელ აგრესიას ჩემზე ანთხევ...

**ბარბარა:** გეფიცები, ახლა ჩემი ფსიქონალიზი არ დაიყო, თორემ გაგლეჯ შუაზე.

**ბილი:** შეიძლება ჩემს მეთოდებს არ ეთანხმები, მაგრამ იცი, რომ მართალი ვარ.

**ბარბარა:** შენს „მეთოდებს“. მაღლობა, ექიმო, მაგრამ გასაბრაზებლად დედაჩემის დახმარება ნაღდად არ მჭირდება.

**ბილი:** კამათი გინდა? დარწმუნებული ხარ, რომ ახლა ზუსტად ეგ გჭირდება? კარგი, მიდი, თმა ამოარჩიე და მეც მითხარი, რომ წინააღმდეგობის შანსი მქონდეს...

**ბარბარა:** თემა მე ვარ! მე ვარ თემა, შე ნარცისო სირო! ყველაფერი მტკივა! დახმარება მჭირდება! (მეორე სართულის დერეფნიდან ჯინი შემოდის, კიბეზე ჩამოჯდება, უსმენს)

**ბილი:** აჰა, ახლა ნარცისიზმიც დამაბრალა. ჩვენ ნარცისისტული თაობის ნაყოფი ვართ.

**ბარბარა:** არ შეგიძლია, არა? არ შეგიძლია, რომ ორი წამით ჩემზე ვილაპარაკოთ....

**ბილი:** ნარცისი ხარო და! და როცა შენზე ვცდილობ ლაპარაკს, ფსიქონალიზს ნუ მიტარებო....!

**ბარბარა:** ვერ ხვდები, რომ ოცდასამი წელი შენთან ძილის შემდეგ მარტო ძილი მტკივნეულია?

**ბილი:** ახლა ხომ აქ ვარ.

**ბარბარა:** კაცები სულ ასეთ სისულელეს ამბობთ, თითქოს არც წარსული არსებობდეს და არც მომავალი.

**ბილი:** მოდი, გენდერულ დისკუსიაში ნუ გადავიყვანთ ახლა ამ ლაპარაკს.

**ბარბარა:** მართლა ჯერათ კაცებს, რომ აქ და ახლა საკმარისია? რა საშინელებაა, რომ სულ ირიდებენ თავიდან იმაზე ლაპარაკს, რისი თქმაც ეშინიათ.

**ბილი:** დიდად არ ვიწვი სურვილით, ისეთი რალაცეები გითხრა, რაც ტკივილს მოგაყენებს.

**ბარბარა:** მაგალითად?

**ბილი:** არ გინდა.

**ბარბარა:** რა? თქვი. უნდა ხვდებოდე, რომ ისეთს ვერაფერს მეტყვი, რაც უფრო მეტ ტკივილს მომაცენებს, ვიდრე ახლა ვგრძნობ. შენ უკვე დამანგრევი.

**ბილი:** არა ხარ მართალი. მგონი, მაზოხისტური ვნება გაქვს და სინამდვილეში გინდა, რომ უფრო მეტად გეტკინოს...

**ბარბარა:** რაა?!

**ბილი:** ბარბარა, გთხოვ, შენი მშობლების გამო ისედაც ბევრი სადარდელი გვაქვს. აღარ გვინდა იმ თემასთან ხელახლა დაბრუნება.

**ბარბარა:** „ხელახლა დაბრუნება“? და საერთოდ როდის გავარჩიეთ რო? ეგრევე გამომაცალე ფეხქვეშ მიწა. ჯერაც არ ვიცი, რა მოხდა. თავს გაბეზრებ, გაჩინებ, გეზიზღები? თუ ახალგაზრდა ხორცი გსიამოვნებს, თინეიჯერი გოგოს ფუჩუკები? მართლა არ ვიცი.

**ბილი:** და ახლავე გინდა გაარკვიო? მაინცდამაინც მაშინ უნდა ვილაპარაკოთ, როცა ბევრლი დაკარგულია და დედაშენმა სულ გააფრინა, და ჩვენი შვილი აქვე, გვერდით ოთხში ზის? მართლა ახლა გინდა ამაზე ლაპარაკი?

**ბარბარა:** არა. მართალი ხარ. უბრალოდ გემრიელად მოგკალათდები და დავიძინებ. ჩემი ქმრის გვერდით. (მშვიდად შეწვება საბანქვეშ)

**ბილი:** ამ თემაზე ლაპარაკს სხვანაირი მიდგომა ჭირდება. და მოთმინება კიდეც. როცა მამაშენი სახლში დაბრუნდება, ორივენი უკეთეს ფორმაში ვიქნებით და დავილაპარაკებთ.

**ბარბარა:** მამაჩემი მოკვდა, ბილ. (გადატრიალდება, ბილს ზურგს შეაქცევს.)

## სცენა 4

*სახლის ექსტერიერს წითელი და ლურჯი ციმციმა სინათლე ეცემა. შერიფი გილბო შემოსასვლელ ვერანდაზე დგას. მთელი დანარჩენი სახლი ჩაბნელებულია.*

*პერანგის ამრა ჯონა ფრთხილად აკაკუნებს მისაღები ოთახის კარზე.*

**ბარბარა:** მმმ... რა იყო?

**ჯონა:** უკაცრავად... ჯონა ვარ.

**ბარბარა:** რა ?

**ჯონა:** მაპატიეთ...

**ბარბარა:** რა ხდება?

**ჯონა:** შერიფია მოსული.

**ბილი:** სინათლე ანთეთ. (ჯონა ლამპას ანთებს, მჭახე სინათლე ბილს და ბარბარას თვალს სჭრის)

**ჯონა:** შერიფი მოვიდა. (პაუზა. ყველანი იაზრებენ ნათქვამს. ბილი და ბარბარა საწოლიდან გადმოფორთხდებიან.) მისის უესტონი გავაღვიძო?

**ბარბარა:** არ ვიცი. ბილ?

**ბილი:** ჰო, აჯობებს, გააღვიძოთ. (ჯონა გადის ოთახიდან. ჯინი შემოდის მეორე სართულის ბაქანზე, თვალები ამღვრეული აქვს, სანამ ბილი და ბარბარა ფაციფუცით იცვამენ. ბარბარა კიბეზე აღის)

**ჯინი:** რა ხდება?

**ბარბარა:** შერიფი მოვიდა.

**ჯინი:** რა?

**ბარბარა:** წადი, დაიძინე, საყვარელო.

**ჯინი:** პოლიცია რატომ მოვიდა?

**ბარბარა:** არ ვიცი, საყვარელო, გთხოვ, წადი და დაიძინე. (კულისებიდან ხმაური, ჯონა ცდილობს, ვაიოლეტი გააღვიძოს. კარზე აკაკუნებს)

**ჯონა:** მისის უესტონ? (ისევ აკაკუნებს) მისის უესტონ. (ბარბარა ძლიერად აკაკუნებს)

**ბარბარა:** დედა? ... დე, გაიღვიძე.

**ვაიოლეტი:** ჰა?

**ბარბარა:** გაიღვიძე, შერიფი მოვიდა.

**ვაიოლეტი:** შენ დაურეკე?

**ბარბარა:** არა.

**ვაიოლეტი:** მეარ დამირეკიავს...

**ბარბარა:** დედა. შერიფი მოვიდა. უნდა გაიღვიძო და ჩამოხვიდე.

**ვაიოლეტი:** (გაუგებრად ლულულულებს)

**ბარბარა:** რა?

**ვაიოლეტი:** რამე მოუჭდა თუ ეშ ,.... რა ხდება... რიაჰ...

**ბილი:** (კიბის დასაწყისიდან) დროზე.

**ბარბარა:** (ბილს) რა თქვი?

**ბილი:** დროზე ჩამოდი. თავი დაანებე. (ბარბარა ნახევრამდე ჩამოდის კიბეზე, უკან ჯონა მოყვება, ამასობაში ბილი შერიფ გილბოს შემოღობვებს სახლში და ხელს ართმევს) ბილ ფორდჰემი, ბარბარას მეუღლე.

**შერიფი:** გამარჯობა. გამარჯობა, ბარბარა.

**ბარბარა:** ო, ღმერთო, გიცანი... ღმერთო, დეონ...

**შერიფი:** დიახ, ქალბატონო. სამწუხაროდ, ცუდი ამბავი მაქვს თქვენთვის, მეგობრებო.

**ბარბარა:** გისმენთ...

**შერიფი:** მამათქვენი ვიპოვეთ. გარდაცვლილი.

**ბილი:** ღმერთო მაღალო. (ბარბარა კიბეებზე ჩაიკეცება. ჯონა ბარბარას ცალ ხელს მოხვევს წელზე, მეორე ხელით შუბლს დაუჭერს. ჯინი კიბეზე ჩამოჯდება)

**შერიფი:** ძალიან ვწუხვარ.

**ბილი:** რა მოხდა?

**შერიფი:** სანაოსნო პატრულიდან ზარი შემოვიდა რამდენიმე საათის წინ, რომ მისტერ უესტონის კატერი იპოვეს, სანაპიროზე გამორიყული. დილისთვის ვგეგმავდით ტბის მიმდებარე ტერიტორიის გაჩხრეკას, სამხრეთ-აღმოსავლეთით, როცა კიდევ ერთხელ დაგვირეკეს. ორი კაცი თევზაობდა ტბაზე და... ბადეში... მისტერ უესტონის გვამი მოყვა. წყლიდან ამოიყვანეს.

**ბილი:** ახლა? ასე გვიან?

**შერიფი:** ეგ ტიპები ძალიან ადრე გადიან ბადეების ჩასაყრელად.

**ბილი:** ესე იგი, დაიხრჩო. ეს იყო სიკვდილის მიზეზი.

**შერიფი:** დიახ, სერ.

**ბილი:** რაიმე შანსი თუ არსებობს... რაიმე შანსი თუ არსებობს, რომ შეეშალათ და სხვა კაცი იყო?

**შერიფი:** კატერი ისე ახლოს იყო იმ ადგილთან, სადაც გვამი იპოვეს, თითქმის დარწმუნებულები ვართ, რომ მისტერ უესტონია. (ბარბარა ერთბაშად შეიმშრალეხს ცრემლებს, ჯონას თავიდან მოიშორებს და წამოდგება)

**ბარბარა:** გასაგებია. კარგი. ახლა რა უნდა ვქნათ?

**შერიფი:** ვინმე ნათესავი უნდა წამომყვეს, რომ გვამი ამოიციოს.

**ბილი:** პოლიციის განყოფილებაში?

**შერიფი:** არა, სერ, ჯერ ისევ ტბასთანაა.

**ბარბარა:** ღმერთო, მე არ შემძლია.

**შერიფი:** ძალიან ვწუხვარ.

**ბილი:** მე წავალ. ხომ შეიძლება? ხომ შეიძლება, მე წამოვიდე?

**შერიფი:** სისხლით ნათესავი მჭირდება. მაგრამ თუ ბარბარას გარდა სხვა არავინ არაა, მაშინ თქვენც თან წამოგვყევით.

**ბარბარა:** ბილ, არ შემძლია.

**ჯინი:** მე შემძლია. მე ვარ ნათესავი.

**ბარბარა:** არა, არა, ოღონდ ეგ არა. მე წამოვალ. ხო, წამოვალ. (ჯონა სამზარეულოში გადის, სინათლეს ანთებს, ყავას დაადგამს)

**ბილი:** ორი წუთი გვადროვეთ, მოვემზადებით.

**შერიფი:** დიახ, სერ. ბარბარა? (ქალი მისკენ მოტრიალდება) ძალიან ვწუხვარ. ჩემს საქმეში ეს ყველაზე ცუდი მომენტია. და თანაც... როცა იცნობ ადამიანს... მართლა... მართლა ძალიან ვწუხვარ. (ბარბარა თავს დაუქნევს)

**ბილი:** დედაშენს რა ვუყოთ?

**ბარბარა:** მე... მე... დაიკიდე. (იცინის) დაიკიდე. წავალ... რამეს ჩავიცვამ.

**ბილი:** ახლავე. ჯინ, დედას მიეხმარე, კარგი? (ბარბარა და ჯინი მეორე სართულის ჰოლში გადიან. ბილს შერიფი კაბინეტში შემოჰყავს) და რამენაირად თუ არის შესაძლებელი, დავადგინოთ... ანუ, უბედური შემთხვევა იყო თუ თვითმკვლელობა?....

**შერიფი:** მაგას ნამდვილად ვერ დავადგენთ.

**ბილი:** თქვენი აზრით, რა მოხდა? ანუ... თქვენ როგორ ვარაუდობთ?

**შერიფი:** თვითმკვლელობაა. ჩემი აზრით, თავი მოიკლა. მაგრამ სიკვდილის ოფიციალური მიზეზი „დახრჩობაა“. სულ ეგაა.

**ბილი:** გასაგებია.

**შერიფი:** უნდა გაგაფრთხილოთ. გვამი მთელი სამი დღე წყალში იყო.

**ბილი:** გასაგებია.

**შერიფი:** შეეცადეთ, თქვენი მეუღლე შეამზადოთ.

**ბილი:** „შევამზადო...“

**შერიფი:** ხო, წინასწარ აუხსნათ, რა დაემართა გვამს. სულ დასიებულია. საშნელი ფერი აქვს. და თევზებმა თვალები ამოუჭამეს.

**ბილი:** ო, ღმერთო. როგორ შეიძლება ადამიანი წყალში გადახტეს... და განზრახ არ გაცუროს?

**შერიფი:** არა მგონია. თუ რა თქმა უნდა, სპეციალურად არ აკეთებ.

**ბილი:** განზრახ არ გაცუროს. (განათება გადადის მეორე სართულის ბაქანზე, როცა ბარბარა და ჯინი შემოდიან. ჯინი ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდება, სანამ ბარბარა სწრაფად ჩამოივარცნის თმას)

**ჯინი:** დეიდა აივი?

**ბარბარა:** უკანა გზაზე შევუვლით და ვეტყვით. ღმერთო, კარენსაც უნდა დავურეკო. თმას რატომ ვივარცხნი? (მოისვრის სავარცხელს. ჯინის გვერდით დაეხეთქება.) იცი, მე და ეგ ბიჭი ვხვდებოდით ადრე ერთმანეთს. ეგ კაცი.

**ჯინი:** ვინ კაცი?

**ბარბარა:** შერიფი.

**ჯინი:** მართლა?

**ბარბარა:** ხო, ბოლო კლასებში. გამოსაშვებ სადამოხეც ჩემი მეწყვილე იყო.

**ჯინი:** ღადაობ.

**ბარბარა:** ბანკეტის დღეს მამამისი დათვრა და მანქანა მოპარა. ხო, საკუთარ შბილს მანქანა მოპარა და სადღაც წავიდა, მექსიკაში. დეონი კარზე მომადგა, საშინელი ფრაკი ეცვა. ეტყობოდა, რომ ნამტირალევი იყო. და პირდაპირ მითხრა, არ ვიცი, ბანკეტზე როგორ წავიყვანო. ისე საშინლად შემეცოდა, ვუთხარი, ფეხით წავიდეთ-მეთქი. სამი მილი ვიარეთ. ქუსლი გადამიტყდა, გაოფლიანებულები და ჭუჭყიანები ვიყავით. ბოლოს დავიკიდეთ... იქვე სამლოცველოში შევიპარეთ და მთელი ღამე გავათენეთ კოცნაობაში. და აი, ახლა მოვიდა და მეუბნება... არ მჯერა, რომ ეს მართლა ხდება. მადლობა ღმერთს, მომავლის წინასწარ გამოცნობა არ შეგვიძლია. საწოლიდან არასოდეს ავდგებოდით. (ჯინს დაჟინებით მიაჩერდება) მომისმინე: იცოდე, ჩემს შემდეგ მოკვდი, კარგი? არ მაინტერესებს, რაც გინდა აკეთე, სადაც გინდა, წადი, გაიფუჭე ცხოვრება, ოღონდ... გადარჩი. გეხვეწები, ჩემზე დიდხანს იცოცხლე.

**ჯინი:** ყველანაირად ვეცდები. (შემოდის ბილი)

**ბილი:** მზად ხარ?

**ბარბარა:** ერთი წამით. (განათება გადადის კაბინეტზე, სადაც შერიფი გილბო ელოდებათ. აბრეშუმის პიჟამაში გამოწყობილი ვაიოლეტი კანკალით ჩამოდის კიბეზე, კაბინეტში შეაბიჯებს).

**ვაიოლეტი:** რახთება რიამზავია

**შერიფი:** გამარჯობა, ვაიოლეტ.

**ვაიოლეტი:** ბიარლი დაბრუნდა.

**შერიფი:** როგორ?

**ვაიოლეტი:** ბიარლი ხოარ დაბ-დაბრუნებულა სახლში?

**შერიფი:** ქალბატონო... (ვაიოლეტი ი უახლოვდება შერიფს)

**ვაიოლეტი:** სიგა... გააქ სიგა? სიგაეი, სიგაე..სიგ, სიგატ... (თვითონვე ეცინება, რომ ლაპარაკი არ შეუძლია. შერიფი პალ მალის კოლოფს გადასცემს. ქალი დგას, ირწევა, სიგარეტს პირში ჩაიდებს. შერიფი მოუკიდებს.) ხოა სასაციო... სკეზე ვარ. სულ ქვევით. თუ აქვ ფსკეი ... ჯოოეთს. (ფეხაურეული გადის მისაღებ ოთახში, უახლოვდება მუსიკალურ ცენტრს...) რა მაგაი ხმა აქვ აია? (ჩართავს ერიკ კლექტონის სიმღერას Lay Down, Sally. შერიფი მისაღებ ოთახში გამოყვება) რა კარგი ამეა, არა?

**შერიფი:** დიახ, მემ. (ქალი კონვულსიური პატარა მოძრაობებით ცეკვავს, თან სიგარეტს აფუილებს)

**ვაიოლეტი:** ბარბარა?! ბარბარა აქაა?!

**შერიფი:** მეორე სართულზეა.

**ვაიოლეტი:** ბარბარა?! ია დოა... ია დროა? რა დროა?



**შერიფი:** ექვსს აკლია თხუთმეტი.

**ვაიოლეტი:** ბარბარა!!! ბარბარა!!! (ბარბარა, ბილი, ჯინი და ჯონა შემოდინ სხვადასხვა მხრიდან. ვაიოლეტი მათ დაინახავს, აგრძელებს ცეკვისმაგვარ მოძრაობებს) ხო კაე სიმეა? ხოაი კაე. მმმმ, ვგიჟდები ამაზე... შერიფმა პაუმაი მომცა. სიჯეის ბიჭია ეს. ხო? სკოლაში ერთად თქვენ ორი? ბძოაში დაესა. დაესა? თუ დაიკაგა? დაიკრაგა? იმ დღიდან, დღეებიდან. და ბევრლი?... და ბევრლი დაიკარგა? (ვაიოლეტი წყვეტს ცეკვას, ჰაერში უხილავი ძაფხების განცალკევებას იწყებს. ყველანი გაშეშებულნი დგანან და მას მისჩერებიან) და აი, თქვენც აქ ხართ. და ბარაბარა და თქვენც აქ ხართ და ბევრლი და თქვენც აქ ხართ და თქვენც აქ ხართ, და თქვენც აქ ხართ, და თქვენც აქ ხართ, და თქვენც აქ ხართ... (და ა.შ., სინათლე ქრება.)

პირველი მოქმედების დასასრული.

## მეორე მოქმედება

სახლი აშკარად დალაგებულია, ჯონას ნახელავს გავს. უნიათო დასასრულის განცდა შეუცვლია ფუნქციურობის გამჭვირვალე ელვარებას.

შენიშვნა:

კაბინეტი სხვაგვარადაა გადაწყობილი. ქალაქის გროვები მიულაგებიათ, წიგნები თაროებზე დაუბრუნებიათ. სასადილო ოთახში მაგიდა სადღესასწაულო ჭურჭლით, სანთლებით და ყვავილებითაა გაწყობილი. ოთახის კუთხეში, „საბავშვო მაგიდა“, ორადგილიანი, ასევე გაწყობილია. თბილის, სუფთა სამზარეული ახლა დულს და თუხთუხებს, ბოსტნეულისგან მომზადებული კერძების სასიამოვნო სუნი დგას.

ფარდის გახსნისას:

დღის სამი საათია. ბევრლი უესტონი სულ ახლახან დაკრძალეს.

ვაიოლეტი, შედარებით ფხიზელი, ლამაზ, თანამედროვე შავ კაბაში, დგას ბევრლის კაბინეტში, ხელში ტაბლეტებიანი შუშა უჭირავს.

სახლის სხვა ნაწილებში: კარენი და ბარბარა სასადილოში არიან. ჯონა სამზარეულოშია.

**ვაიოლეტი:** აგვისტო... შენი თვეა. კალიები მძვინვარებენ. „ზაფხულის ფსალმუნი ზაფხულისვე რისხვად იქცევა“... არადა, უბრალოდ აგვისტოა გარეთ. თუ შიგნით... ვინ იცის? კარგი... კარგი. „ის ეტლი მხოლოდ ჩვენ ორს გვიტევდა“, და-და-დამ... ჰმ, საუკეთესო, რაც მაქვს... ემილი დიკინსონია საუკეთესო... რაღაც, რაღაც და მერე „ცხენები პირით მიუბრუნდნენ მარადისობას“ (ტაბლეტს ყლაპავს) ესეც ჩემთვის... ერთი ჩემთვის... (აიღებს „ველის ფრინველის“ მაგარყდიან გამოცემას, მიძღვნაზე გადაშლის) „ეძღვნება ჩემს ვაიოლეტს“. მარმარილოს ქანდაკება დაუდგით. (წიგნს საწერ მაგიდაზე დააგდებს. ტაბლეტს გადაყლაპავს) გოგოებისთვის, ღმერთო, როგორ მიყვარს. მეტი არაფის მოძღვნა არ შემიძლია, ბოდიში. მაგათ გარდა, არაფრის... სულ არაფრის. არაფრის. გგონია, შენ გამო ვიტყვები? გგონია, მაგ როლს ისე ვითამაშებ, როგორც აქამდე სხვებს ვითამაშობდით? (ყლაპავს აბს) შენი არჩევანი იყო ეს. შენ თვითონ მოინდომე ასე. შენ უნდა აგო პასუხი... და არა მე. არა მე. ჩემი ბრალი არ არის. (განათება გადადის სასადილო ოთახზე. ბარბარა და კარენი, შავ კაბებში, კეცავენ ხელსახოცებს, აწყობენ სუფრას და ა.შ.)

**კარენი:** აწმყო დრო. დღეს, აქ და ახლა. მგონი, ახალგაზრდობაში მეტისმეტად ბევრი დრო გავატარე იმაზე ფიქრში, როგორი იქნებოდა ჩემი მომავალი ცხოვრება, ხომ ხვდები, აი, ვის გავყვებოდი ცოლად, ადვოკატს თუ ფეხბურთელს, როგორი იქნებოდა, შავგრემანი, სიმპათიური და ფართო მხარ-ბეჭიანი. ზედა სართულზე, სამინებელში, ბალიშს ვეხუტებოდი და თავს ვაჯერებდი, ვითომ ჩემი ქმარი იყო და ვეკითხებოდი, როგორ ჩაიარა დღემ სამსახურში, რა მოხდა ოფისში, და ჩემი გაკეთებული სადილი თუ

მოეწონა და დასასვენებლად სად წავიდოდით ზამთარში და მერე უცებ მოულოდნელად გამახარებდა ბელიზის ბილეთებით და მერე ვკოცნიდით... ანუ, ბალიშს ვკოცნიდი და მერე ვეუბნებოდი, რომ დღეს ექიმთან ვიყავი და ორსულად ვარ. მესმის, რომ ახლა ეს ყველაფერი ძალიან სულელურად ჟღერს, მაგრამ თავის დროზე ისეთი უმანკო იყო... მერე ნამდვილი ცხოვრება მაინც თავისას გიშვრება, როგორც ყოველთვის.

**ბარბარა:** ეჰ... ეჰ...

**კარენი:** ... და ყველაფერი სულ სხვანაირად ხდება და არა ისე, როგორც შენ დაგეგმე. ეგ ბალიში ბევრად უკეთესი ქმარი იყო, ვიდრე ყველა ის კაცი, ვისაც ცხოვრებაში შევხვედრივარ. მთელი ეს კაცების ნაკადი გაუთავებლად გიცრუებს იმედებს, ვერცერთი ახლოსაც ვერ მივა ვერც მამასთან და ვერც ბილთან (ხომ იცი, რომ შენი ყოველთვის მშურდა, ბილი რომ იპოვე). და მერე საკუთარ თავს სჯი, ეუბნები, რომ შენი ბრალია, წესიერი კაცი რომ ვერ გიპოვია, უბრალოდ თავს იტყუებდი, რომ იმაზე უკეთესები იყვნენ, ვიდრე სინამდვილეში. არ ვიცი, რამდენად კარგად გახსოვს ენდრიუ...

**ბარბარა:** როგორ არა, მახსოვს.

**კარენი:** აი, ეგ საუკეთესო მაგალითია: ბიჭი, რომელიც ისე მაგრად მიყვარდა, რომ როცა რაიმეს აშავებდა, შანსს არ ვუშვებდი ხელიდან, როგორმე გამომესწორებინა. თუ მღალატობდა და ნაბოზარს მეძახდა, ჩემთვის ვფიქრობდი: „არა, ნამდვილად გიყვარს, სულ გეყვარება და აი, ახლა უნდა შეიცვალო შენი შეხედულებები ამ ცხოვრებაზე“. ვერ გეტყვი, ზუსტად როდის დადგა ის წამი, როცა სარკეში ჩავიხედე და ვთქვი: „გეყოფა, იდიოტო“ და ჩემი გზით წავედი. მერე დაიწყო გაუთავებელი ფიქრების პერიოდი, ძალიან ჩამითრია აუტანელ მოგონებებში. როგორ მოვახერხე, რომ ყველაფერი ასე გავაფუჭე, სად შემეშალა, და სანამ გააზრებას მოსწრებ, მორჩა, წინ ნაბიჯს ვერ დგამ, ერთ ადგილას ხარ გაყინული, ადგილიდან ვერ დაიძვრები, იმიტომ, რომ გაუთავებლად წარსულისკენ იყურები, ანუ, ხომ ხვდები, რისი თქმაც მინდა... წლები! წლები გადის თავის დასჯაში და სიძულვილში. და აი, ამის შემდეგ იყო, წიგნებით და სადისკუსიო ჯგუფებით რომ დავინტერესდი.

**ბარბარა:** და საინტოლოგიითაც, არა, თუ რაღაც ეგეთით?

**კარენი:** ზუსტად. და ბოლოს და ბოლოს, ერთხელაც ამომასხა და ვთქვი: არა, ეს ხომ მე ვარ. მხოლოდ მე, აქ და ახლა, მუსიკა მაქვს ჩართული, ჭიქა ღვიწილი მიჭირავს ხელში, კატა მყავს, და სხვა არც არაფერი არ მჭირდება, შემძლია მთელი ცხოვრება საკუთარ თავთან ვიცხოვრო“. ლიცენზია ავიღე, თავით გადავეშვი სამუშაოში, უამრავი სახლი გავყიდე და აი, ასე გავიცანი სტივი. სულ ასე ხდება, მაშინ პოულობ, როცა არ ეძებ, უცებ მოტრიალდები და აჰა, ბატონო. და რაც ადრე ძალიან მნიშვნელოვანი გეგონა, სრულიად უმნიშვნელო აღმოჩნდება. ანუ, როცა ბალიშთან მქონდა ურთიერთობა, სტივს ნაღდად არ წარმოვიდგენდი! როგორია იცი, აი, ცოტა პროვინციელი ტიპი, სამრეწველო პალატის წევრი, ჩემზე ათი წლით უფროსი, მაგრამ ჭკვიანია, ხო ხვდები, ცხოვრება უნახავს და მართლა ძალიან კარგია. კარგია კაცია, კარგად მექცევა და ჩემთვის კარგი პარტიაა.

**ბარბარა:** გადასარევია, კარენ...

**კარენი:** შესანიშნავი ბიზნესი აქვს და ეგ იმიტომ, რომ იდეების შესანიშნავი აქვს და არ ეშინია, ეს იდეები რეალობად აქციოს, ხო ხვდები, არ ეშინია საქმის კეთება. მგონი, საერთოდ ამ მხრივ ქალებს კაცები ჯობიან, არა? როცა რაღაცის გაკეთებაზე მიდგება საქმე, აი, რომ აიღებ და გააკეთებ, სწორია თუ არასწორია, ეგ მოგვიანებით გამოჩნდება. და ყველაზე კარგი ისაა, ანუ, ჩემთვის ყველაზე კარგი ისაა, რომ ახლა რასაც ვფიქრობ, ყველაფერი ახლა ხდება. აწმყოში ვცხოვრობ. ჩემი ცხოვრება, ჩემი სამყარო - ყველაფერი ახლაა. წარსულზე უკვე საერთოდ აღარ ვდარდობ, დაშვებულ შეცდომებზე, იმაზე, ადრე როგორ და რას მეგონა, მანდ აღარ დავრუნდები. თან მივხვდი, რომ მომავალს ვერ დაგეგმავ, იმიტომ, რომ როგორც კი იწყებ, ხო ხვდები, რაღაც ხდება, რაღაც საშინელება ხდება...

**ბარბარა:** მაგალითად, მამაშენი თავს იხრჩობს ტბაში.

**კარენი:** ზუსტად! აი, ზუსტად მაგას ვგულისხმობდი! ამას ხომ ვერ დაგეგმავ! წინასწარ ვერ წარმოიდგენ; უბრალოდ უნდა მიიღო ისეთი, როგორც არის, აქ და ახლა! სტივს დღეს ძალიან მნიშვნელოვანი რპეზენტაცია ჰქონდა, ვიღაც ბობოლა სამთავრობო ტიპებთან, რაც მის ბიზნესს შეიძლება ძალიან წაადგეს; ამისთვის რამდენიმე თვე ემზადებოდა, და როცა მამას ამბავი გავიგეთ, დაურეკა და ეს შეხვედრა გააუქმებინა. პრიორიტეტებს სწორად ალაგებს. მაგრამ ღადაობა რა არის იცი? იცი, რა არის ღადაობა?

**ბარბარა:** რა არის ღადაობა?

**კარენი:** თაფლობის თვეს ბელიზში გავატარებთ. (ჯონა შემოდის სამზარეულოდან, ცივი ჩაი შემოაქვს)

**ბარბარა:** მაპატიე, ალები მაქვს.

**კარენი:** სტივისთვის ჩემი პატარა ფანტაზიების ამბავი არასოდეს არ მომიყოლია, აი, ასე უცებ სიურპრიზი გამიკეთა, ბილეთები იყიდა და ქორწილის მერე წავალთ.

**ბარბარა:** (ჯონას) ღმერთო, რა კარგი სურნელი აქვს, რა გვაქვს სადილად?

**ჯონა:** .. ღუმელში შემწვარი ქათამი, გამომხვარი კარტოფილი, მწვანე ლობიოს კასეროლე... ცოტა ბოსტნეული...

**ბარბარა:** მწვანე ლობიოს კასეროლე მეტი ფეის არ მოუტანა?

**ჯონა:** არ ვიცი. არ უნდა გამეკეთებინა?

**ბარბარა:** არა, კიდევ კარგი, გააკეთე. იმისი არ იჭმევა. (ჯონა გადის)

**კარენი:** არა, ბელიზის ამბავი ხოა დაუჯერებელი?

**ბარბარა:** სასწაულია.

**კარენი:** ვიცი, რომ ჯერ წესიერად არ იცნობ, მაგრამ როგორი შთაბეჭდილება დატოვა? მოგეწონა?

**ბარბარა:** ორი სიტყვა ვუთხარით ერთმანეთს...

**კარენი:** ხო, მაგრამ შეგრძნება ხომ გაგიჩნდა, არა? როგორი შეგრძნება იყო?

**ბარბარა:** ძალიან კარგი ადამიანი ჩანს, საყვარელი...

**კარენი:** ჩანს კი არა, არის და თან...

**ბარბარა:** ... მაგრამ მე რას ვფიქრობ, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მე ხომ არ მიყვები ცოლად....

**კარენი:** ქორწილში ხომ ჩამოხვალ, არა?

**ბარბარა:** აბა რა, როდის არის, შემახსენე?

**კარენი:** ახალ წელს. ახალი წელი იმიტომ შევარჩიე, რომ ვიცოდი, შენ და ბილს არდადეგები გაქვთ მაგ დროს და ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ შენ იქ მყავდე.

**ბარბარა:** სარასოტაში, არა?

**კარენი:** მაიამიში. არ იცოდი, რომ მაიამიში გადავედი?

**ბარბარა:** მოიცა, კი, როგორ არა, ვიცოდი...

**კარენი:** სტივს მანდ აქვს ბიზნესი...

**ბარბარა:** .... ხო, მართალია, მართალია.

**კარენი:** მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ როგორც იქნა, ბედნიერი ვარ. ჩემი ზრდასრული ცხოვრების უდიდესი ნაწილი უბედური ვიყავი. დიდი ეჭვი მაქვს, რომ შენ ამას ვერც ხვდებოდი. ვიცი, რომ ჩვენი ცხოვრება სულ სხვადასხვა გზებით წავიდა, აივის, შენი და ჩემი, და ალბათ, ისე ახლოს აღარ ვართ, როგორ... როგორც ზოგიერთი სხვა ოჯახი....

**ბარბარა:** ხო, დედას ამბავზე უნდა დავილაპრაკოთ... დედას რა ვუყოთ...

**კარენი:** .... ალბათ, ამის ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ არ მინდოდა, მთელი ჩემი ოჯახის დასანახავად ვყოფილიყავი უბედური. მაგრამ ახლა... მოკლედ, მართლა ძალიან ბედნიერი ვარ. და მართლა მინდა, რომ ერთმანეთი ცოტა უკეთ გავიცნოთ.

**ბარბარა:** ჰო. ჰო. (კარენი მკლავებს შემოხვევს ბარბარას) კარგი. ჰო. (დაცილდებიან) ღმერთო, ღვინო რით ვერ მოიტანეს ამდენ ხანს?

**კარენი:** აი, კიდევ ერთი მაგალითი, სტივი აქ კაციშვილს არ იცნობს, მაგრამ მაშინვე ჩაუბტა მანქანაში ბილს და ჯინს და ღვინოს მოსატანად წაყვა. ოჯახის წევრია, გეუბნები! (სინათლე გადადის მეორე სართულის ბაქანზე. აივი შემოდის, უკან ვაიოლეტი მოჰყვება, რომელსაც თან კაბა და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი მოაქვს. მეტი ფეიც მათ მოჰყვება, ფოტოებით სავსე ყუთში იქექება. ვაიოლეტის მსგავსად, მეტი ფეისაც შავი კაბა აცვია; აივის შავი ჰიჯაკი. შემდეგი სცენის განმავლობაში ბარბარა და კარენი სამზარეულოში გადიან)

**აივი:** მართლა არ მინდა.

**ვაიოლეტი:** კი არ მოკვდები, რომ მოიზომო...

**მეტი ფეი:** (ფოტოებზე ) ოჰ, ეს ძალიან კარგია, ვაი...

**აივი:** გულახდილად გეუბნები, ეს ყველაფერი ცოტა ნეკროფილია მგონია...

**მეტი ფეი:** ამას შეხედე, აივი...

ვაიოლეტი: ვითომ რატომ?

აივი: ... საერთოდ არ მაინტერესებს ეგ ფოტოები ახლა...

ვაიოლეტი: მშვენიერი კაბაა, ძალიან თანამედროვე.

აივი: ჩემი სტილი არაა, დედა...

მეტი ფეი: ეს სადაა გადაღებული?

ვაიოლეტი: საქმეც ისაა, რომ სტილი საერთოდ არა გაქვს...

მეტი ფეი: ვაიოლეტ?

ვაიოლეტი: (ფოტოს დაეხდავს) ნიო იორკში. პირველი წიგნის ტურნეს დროს, ნიუ იორკში...

აივი: ანუ, შენნაირი სტილი არა მაქვს. ჩემი სტილი მაქვს...

მეტი ფეი: „ნიო იორკი, 1964“....

ვაიოლეტი: საყვარელო, მამაშენის გასვენებაში პიჯაკი გეცვა. ქალები გასვენებაში პიჯაკს არ იცვამენ...

აივი: ღმერთო, რა გარეკილი ხარ; შავი პიჯაკია.

ვაიოლეტი: ილუზიონისტის ასისტენტს გავხარ.

აივი: იცი, რა...

მეტი ფეი: პატარა ჩარლზი ამბობს, ნიუ იორკში გადასვლა მინდაო.

აივი: რატომ გინდება რომ, აუცილებლად...

მეტი ფეი: წარმოგიდგენიათ?

ვაიოლეტი: ხელი არ შეუშალო, იცოდე...

მეტი ფეი: ერთ დღესაც ვერ გაძლებს მაგ ქალაქში. ნაწილებად დაგლეჯენ.

აივი: რატომ გინდება-მეთქი...?

მეტი ფეი: მოვკლავ მაგ ბავშვ...

აივი: რატომ გინდება, რომ აუცილებლად შეურაცხყოფა მომაყენო?

ვაიოლეტი: შენ კიდევ ნუ ხარ ეგეთი მგძნობიარე.

მეტი ფეი: ჩაეძინა? ჩემი სიძის გასვენებაში დააგვიანა? შუადღის წირვაზე?

აივი: დარწმუნებული ვარ, რაიმე სხვა მიზეზიც ექნება...

მეტი ფეი: ნუ ამართლებ. ჩარლიც სულ ეგრეა და ყოველთვის ეგრე ამართლებდა. :ოჰ, დიდი ამბავი, ჩაეძინა, წადი, ავტობუსთან დახვდი.“

აივი: ძალიან მკაცრად ექცევი.

მეტი ფეი: ბიჭი 37 წლისაა და მანქანის ტარება არ უნდა იცოდეს?

**ვაიოლეტი:** ცოტა განსხვავებულია, მაგაში მართალი ხარ.

**აივი:** მგონი, ცოტათი...

**მეტი ფეი:** ტარებას რაღა ცოდნა უნდა?

**აივი:** არა მგონია, ძალიან...

**მეტი ფეი:** ერთხელ შიმპანზეც მინახავს, მანქანას ატარებდა.

**ვაიოლეტი:** გთხოვ, ჩემი ხათრით ეგ იაფფასიანი პიჯაკი გაიხადე და ეს მოისინჯე, კარგი?

**აივი:** იაფფასიანი? რაო, რა თქვი...?!

**მეტი ფეი:** რაიმე ასეთი გინდოდა, ვაი?

**ვაიოლეტი:** არა, სუფრასთან უნდა დავდგათ, ამიტომ ცოტა უფრო იოლად საცნობი უნდა იყოს...

**მეტი ფეი:** რაიმე უფრო დიდი, ესე იგი.

**ვაიოლეტი:** ჰო. ჩარჩო მაქვს და შეგვიძლია...

**აივი:** ჩემს გარდერობში ეს ყველაზე ძვირიანია...

**ვაიოლეტი:** რა მნიშვნელობა აქვს, რამდენი გადაიხადე. რაინდის აბჯარიც ძვირია, მაგრამ ეგ ხომ არ ნიშნავს, რომ ყველგან უნდა ჩაიცვა, სადაც...

**მეტი ფეი:** აი, ეს დიდია, მაგრამ ზედ ორივე ერთად ხართ...

**აივი:** რატომ იშორებ თავიდან ტანსაცმელს?

**მეტი ფეი:** წინააღმდეგი ხომ არა ხარ, თუ თქვენი საერთო სურათი იქნება...?

**ვაიოლეტი:** იმიტომ, რომ აღარ მჭირდება. გამოვიფიტე.

**აივი:** „გამოვიფიტე“.

**ვაიოლეტი:** ხო, გამოვიფიტე, დავპატარავდი.

**აივი:** „დაპატარავდი“.

**მეტი ფეი:** ვაი, როგორ გგონია, ეს...?

**ვაიოლეტი:** არ ვხუმრობ, ყველაფერი ხელიდან მეცლება. არ ვაპირებ, დარჩენილი სიცოცხლე აქეთ-იქით ვიარო და ვუყურო იმას, რაც წარსულში მქონდა. მთელი ეს ნაგავი უნდა გავიტანო კაბინეტიდან, ამ ტანსაცმლის ჩაცმასაც აღარ ვაპირებ და უნდა გადავყარო, ყველაფერი უნდა გადავყარო! არა, ამ საშინელ ფეხსაცმელებს შეხედე. (მაღალქუსლიან ფეხსაცმელებს მაღლა ასწევს) წარმოგიდგენია, რომ ამას ჩავიცვამ? ზედ შედგომას და ჩამოვარდნა ერთი იქნება და ეგეც რომ არ იყოს, წარმოგიდგენია, ჩემი დასიებული კოჭებით და გაგანიერებული ვენებით რა სანახავი ვიქნები? ფეხის ფრჩხილებზე აღარაფერს ვამბობ, ისე გამიუხეშდა, ბეტონს გახვრეტს. (მეტი ფეი ფოტოს აუფერიალებს)

**მეტი ფეი:** ასეთი გინდოდა?

**ვაიოლეტი:** (გამოართმევს ფოტოს) შემომხედე. (აივის აჩვენებს ფოტოს) შემომხედე.

**აივი:** ძალიან ლამაზი ხარ, დედა.

**ვაიოლეტი:** ლამაზი ვიყავი. უკვე აღარ ვარ.

**მეტი ფეი:** კარგი ერთი...

**აივი:** ახლაც ძალიან ლამაზი ხარ.

**ვაიოლეტი:** არა. ეგეთი ტყუილებით თავს ვიმშვიდებთ, მაგრამ არ დაიჯერო. ქალები ახალგაზრდობაში არიან ლამაზები, მერე უკვე აღარ. კაცები სიბერემდე ინარჩუნებენ მიმზიდველობას. ისეთ კაცებს არ ვგულისხმობ, შორტებს რომ ჩიაცვამენ ხოლმე და წელზე საფულეს შმოირტყამენ. ზოგიერთი კაცი ახერხებს, თუ მოინდომებს... კაცური მიმზიდველობა შეინარჩუნოს. ქალები უბრალოდ ბერდებიან, სუქდებიან და ნაოჭები უჩნდებათ.

**მეტი ფეი:** არც კი ვიცი, რა ვთქვა.

**ვაიოლეტი:** აი, დაფიქრდი, რატომ არიან ახალგაზრდა ქალები სექსუალურები. გაიხსენე, ბოლოს სავაჭრო ცენტრში როდის იყავი, დაინახე ვიღაც პატარა გოგო და გაიფიქრე: „რა საყვარელია“. ხოდა, რა გესაყვარლა? გადატკეცილი კანი, მკვირვი მუშუები და ტრაკი, რომელიც მუხლებამდე არ ჩამოწელვია ჯერ.

**მეტი ფეი:** დიდი ბოდიში, მაგრამ მე ახლაც ძალიან სექსუალური ვარ.

**ვაიოლეტი:** შენ ისეთი სექსუალური ხარ, როგორც მუყაოს ყუთი, მეტი ფეი, ჩვენ ორივენი ეგრე ვართ, მე და შენ. თავს ნუ ისულელებ. არა, მართლა... არ შეიძლება თავი აღარ გავისულელოთ? ყველასთვის ასე არ აჯობებს, თავს თუ არ მოვიტყუებთ და სიმართლეს ვაღიარებთ? „ქალები აღარ არიან მიმზიდველები სიბერეში“. მე მშვენივრად შემიძლია ამ აზრს შევეგუო. შენ არა?

**მეტი ფეი:** კი ბატონო, შევეგუები, მაგრამ არ გეთანხმები. სოფია ლორენზე რას იტყვი? ან ლენა ჰორნზე? ოთხმოცი წლის ასაკშიც სექსუალური იყო.

**ვაიოლეტი:** დედამიწა მრგვალია. შეეგუე როგორმე. ახლა კი ეს კაბა გაისინჯე.

**აივი:** ბოდიში, მაგრამ არ გავისინჯავ.

**ვაიოლეტი:** აივი.

**აივი:** ეს სიცხე უკვე აუტანელია...

**ვაიოლეტი:** კარგად მომისმინე: შენ აზრზე არა ხარ, როგორ უნდა მიიზიდო მამაკაცები. სამაგიეროდ, მე ვიცი. ამაში ყოველთვის...

**აივი:** დედა! მამაჩემი სულ ცოტა ხნის წინ დავასაფლავეთ, არ ვცდილობ, ვინმე მივიზიდო...

**ვაიოლეტი:** დღევანდელზე არ გეუბნები, სულელო, ეს შეგიძლია მაშინაც ჩაიცვა, როცა...

**აივი:** მყავს უკვე კაცი. გასაგებია? მყავს-მეთქი. (მეტი ფეი აივის გახედავს)

**ვაიოლეტი:** აბა, რომ მითხარი... რომ მითხარი კაცს არ ვეძებო...



**აივი:** არ ვეძებ, იმიტომ, რომ მყავს უკვე. გაიგე> ახლა თავს დამანებებ? (პაუზა)

**ვაიოლეტი:** აი, ახლა ნამდვილად არ დაგანებებ თავს.

**მეტი ფეი:** რა თქმა უნდა, არ უნდა დავანებოთ.

**აივი:** ნეტავ დაგანახათ, რა იდიოტებივით მიყურებთ ორივე.

**ვაიოლეტი:** ვინ არის?

**აივი:** არავინ. დაივიწყეთ...

**ვაიოლეტი:** არა, მოიცა, მინდა ვიცოდე, ვის...

**აივი:** არ ვაპირებ ამაზე ლაპარაკს...

**მეტი ფეი:** აივი, გეხვეწები, გვითხარი...

**აივი:** არა.

**მეტი ფეი:** სკოლაში მუშაობს?

**ვაიოლეტი:** არ მითხრა, რომ იმ იდიოტ ბარის დაუბრუნდი.

**აივი:** არა, ბარი არ არის.

**ვაიოლეტი:** მადლობა ღმერთს.

**მეტი ფეი:** რაიმე მაინც გვითხარი, რამდენი წლისაა, რას საქმიანობს...?

**აივი:** არაფერს არ გეტყვით, არცერთს, ასე რომ...

**მეტი ფეი:** რაღაც მაინც უნდა გვითხრა!

**აივი:** არა, არ ვაპირებ.

**ვაიოლეტი:** შეყვარებული ხარ, აივი?

**აივი:** (შტერდება) მე... მე არ... მე... (ისტერიკული სიცილი უტყდება და მეორე სართულის ჰოლში გადის. ვაიოლეტი და მეტი ფეი ჭყვივით მისდევენ უკან. განათება გადადის ვერანდაზე, როცა ჯინი შემოვარდება სახლში. მივარდება ტელევიზორს, ჩართავს, საჭირო არხს მოძებნის და წარმოუდგენლად ახლოს ჯდება. ბილი და სტივ ჰეიდერბრეხტი შემოდიან, მუქი პიჯაკები აცვიათ, პროდუქტებით დატვირთულები)

**სტივი:** არა, ანგარიშებს ოფშორებში დავტოვებთ, სანამ თანხმობას არ მივიღებთ.

**ბილი:** ანუ, სანამ თანხმობას არ მიიღებთ, მანამდე თავს იძვრენთ?

**სტივი:** იმდენი ბიუროკრატიაა, ისეთი საწვალელებია. არ ვიცი, რამდენად კარგად გესმის, რა ხდება ფლორიდაში, იქაური პოლიტიკა...

**ბილი:** ცოტა წამიკითხავს და მხოლოდ...

**სტივი:** კარგი, კარგი, თან ამ ტიპის ბიზნესი, კონკრეტულად....

**ბილი:** ბოდიში, რა ბიზნესია, შემახსენე?

**სტივი:** მოკლედ, უსაფრთხოების ამბავია, ძირითადად. ახლო აღმოსავლეთში სიტუაცია პერიოდულად საშიში ხდება, ამიტომ ამ საქმეში უზარმაზარი ფული ტრიალებს...

**ბილი:** უსაფრთხოების ბიზნესი. ანუ... დაქირავებულ რაზმებს გულისხმობ? (ბარბარა შემოდის სამზარეულოდან)

**ბარბარა:** დროზე მომეცით ღვინო. (ბილის პროდუქტების ჩანთიდან ღვინოს ამოიღებს)

**სტივი:** მე უფრო „მისიონერებს“ დავარქმევდი და არა დაქირავებულ რაზმებს.

**ბარბარა:** (ჯინს, ტელევიზორზე ეუბნება) ასე ძალიან ამის გამო გეჩქარებოდა სახლში დაბრუნება?

**ჯინი:** ხო.

**ბარბარა:** ასეთი რა ჯანდაბა გადის, რომ სხვა დროს....

**ჯინი:** „ოპერის ფანტომი“, 1925 წლის ვერსია, ლონ ჩეინის.

**ბილი:** მაგარია.

**ბარბარა:** კარგი რა, ჯინ, ნებისმიერ მაღაზიაში იშოვება ჩანაწერი.

**ჯინი:** არა, აღდგენილ ფერად ვერსიას აჩვენებენ.

**ბილი:** რას მეუბნები... რა ქვია იმ სცენას, შემახსენე, საყვარელო? „ბალ-მასკარადი“?

**ჯინი:** ხო..

**ბარბარა:** ერთი წუთით, გამარკვიე ახლა: როცა ისტერიკა დაიძარტე, მამაშენთან ერთად მაღაზიაში წასვლაზე - ე, შემომხედე-მეთქი. (გოგონა შეხედავს) და ასე ძალიან გაწუხებდა, რომელ საათზე დაიწყებოდა ბაბუაშენის გასვენება. თურმე ამაზე დარდობდი, არა? სახლში დროზე რომ მოგესწრო და ამ რაღაცა სირობა „ოპერის ფანტომისთვის“ გეყურებინა?

**ჯინი:** ჰო, ეგრე გამოდის. (ბარბარა გამანადგურებელ მზერას ესვრის და გადის)

**ბილი:** (სტივს) ამეებს სამზარეულოში გავიტან.

**სტივი:** არა, იყოს, მე თვითონ.

**ბილი:** უკვე მიმაქვს. (ბილი სტივს ჩამოართმევს პროდუქტებს და ბარბარას სამზარეულოში გაჰყვება).

**სტივი:** კინომანი ხარ?

**ჯინი:** ხო.

**სტივი:** ჰაჰა, კარგია, კარგია, მეც ეგრე ვარ. ნანახი გაქვს ეს ფილმი?

**ჯინი:** აჰა.

**სტივი:** კარგია, კარგია. მეც. იცი, რომ ჩეინიმ თავისი გრიმი თვითონ მოიფიქრა?

**ჯინი:** ვიცი.

**სტივი:** ალბათ, ძან მტკივნეული იყო. სათევზაო კაპრინის ძაფები ნესტოებში გაიყარა და მერე...

**ჯინი:** ხო, ვიცი.

**სტივი:** რიმეიქები ნანახი გაქვს? ძან ცუდებია.

**ჯინი:** ერთი ვნახე, კლოდ რეინსით.

**სტივი:** ხო, ხო, ძან ცუდია, არა? ფანტომი წაუგეებს. არ მომეწონა.

**ჯინი:** ეგეთები არ მახსოვს, პატარა ვიყავი.

**სტივი:** ხოო... (სტივი ტახტზე ჩამოჯდება. ერთხანს ერთად უყურებენ ფილმს) მაგრამ უკვე აღარა ხარ პატარა.

**ჯინი:** რა?

**სტივი:** უკვე პატარა აღარა ხარ-მეთქი.

**ჯინი:** არა. უფრო სწორად, ხო.

**სტივი:** რამდენი წლის ხარ? ჩვიდმეტის?

**ჯინი:** თხუთმეტის.

**სტივი:** ხო, ხო. თხუთმეტის. აღარ ხარ პატარა. (უყურებენ ტელევიზორს). პატარა აღარ ხარ. (პაუზა) იცი, შენს ასაკში რას ვაკეთებდი?

**ჯინი:** რას?

**სტივი:** ხორცის გადამუშავებაში ვმუშაობდი. იცი, ეგ რა არის?

**ჯინი:** ძან ცუდად ჟღერს.

**სტივი:** ხო, ცხოველების სასაკლაოზე.

**ჯინი:** რა საზიზღრობაა.

**სტივი:** ხო, არ გირჩევ. მაგრამ, რა გინდა, შემოსავალი მქონდა. (ჰაერს დაყნოსავს) მოიცა, მოიცა, რა სუნია?

**ჯინი:** საჭმლის, სამზარეულოდან მოდის.

**სტივი:** არა, ეგ არ მიგულისხმია. (აგრძელებს ყნოსვას, ცხვირს მიჰყვება, იატაკზე ჯდება და გოგონას დაყნოსავს)

**ჯინი:** რას აკეთებ?

**სტივი:** მეჩვენება თუ მართლა იმის სუნი მცემს?

**ჯინი:** რისი?

**სტივი:** შენი აზრით, რისი სუნი უნდა მცემდეს?

**ჯინი:** საჭმლის, სამზარეულოდან.

**სტივი:** აბა, თავიდან სცადე. (ძლიერად შეისუნთქავს)

**ჯინი:** რას აკეთებ...?

**სტივი:** მოიცა, მოსაწევია?

**ჯინი:** ოჰ. არ ვიცი. (სახელოს დაიწყოს)

**სტივი:** მოსაწევს ეწევი?

**ჯინი:** არა.

**სტივი:** მე არ დამიმალო.

**ჯინი:** არა.

**სტივი:** მეჩვენება, თუ ძალიან ცხელა აქ?

**ჯინი:** ცხელა.

**სტივი:** შენც გცხელა?

**ჯინი:** ხო....

**სტივი:** მაგრა გცხელა?

**ჯინი:** კი, ძალიან.

**სტივი:** ესე იგი, ძალიან.

**ჯინი:** ხო.

**სტივი:** ხო... შე პატარა ნარკომანო. (პასუხი არ არის) ესე იგი, მაგრა გაგიმართლა. იმიტომ, რომ სრულიად შემთხვევით ძან ხარისხიანი მაქვს თან წამოღებული. ისე მოხდა, რომ კარგი კავშირები მაქვს. და თუ გინდა, დაგპატიე.

**ჯინი:** მაგარია, მე გამითავდა და ახლა დიდი სიამოვნებით გადავირტყამდი.

**სტივი:** რას იზამდი?

**ჯინი:** დიდი სიამოვნებით გადავირტყამდი...

**სტივი:** მოიცა, რას იზამდი?

**ჯინი:** გადავირტყამდი.

**სტივი:** რა? რას გადაირტყამდი? (გოგო ხვიხვინებს, კაცს ხუმრობით ხელს გაკრავს)

**ჯინი:** რა ცუდი ტიპი ხარ.

**სტივი:** კაი ხო, გეხუმრები. (კარენი სამზარეულოდან შემოდის, აღმოაჩენს, სტივი როგორ წადგომია თავზე ჯინს). გამარჯობა, საყვარელო.

**კარენი:** რას აკეთებ?

**სტივი:** შენს დიშვილს ვაწვალე.

**კარენი:** მალე ვისადილებთ.

**სტივი:** ძალიან კარგი, ვკვდები, ისე მშია.

**კარენი:** სიგარეტი ხომ არ დაგავიწყდა?

**სტივი:** ფუ, შენი. (ჯინს) არადა, ხომ გკითხე, რამე ხომ არ მავიწყდება-მეთქი? ვიცოდი, რომ რაღაცა მავიწყდებოდა...

**კარენი:** დედას გამოვართმევ.

**ჯინი:** მე მაქვს სიგარეტი.

**კარენი:** შენ სიგარეტი გაქვს?

**ჯინი:** ქემელ ლაითი?

**სტივი:** ჩვენი ბრენდი ჰქონია.

**კარენი:** ჯინ, ძვირფასო, შენთვის ჯერ ადრეა მოწვევა.

**სტივი:** (ვითომ მკაცრად) აბა რა!

**კარენი:** (ხუმრობით წაკრავს ხელს) გეყოფა, ნუ აქეზებ ბავშვს...

**სტივი:** აღარაა ეგ ბავშვი...

**კარენი:** შეიძლება ორი ღერი გთხოვოთ?

**ჯინი:** კი, ბატონო. (ჩანთიდან ამოიღებს სიგარეტის ღერებს)

**სტივი:** და ახლაც მე ვაქეზებ, ხო....

**კარენი:** მიდი რა! (გამოართმევს სიგარეტს) მაღლობა, პატარავ. იცოდე, აღარ მოწიო. (ჯინი ტელევიზორს უყურებს. კარენი სტივს ეხუტება, ბავშვივით ენას უჩლექს) აბა, ლოგოლა ქალ?

**სტივი:** კალგად, პატალა.

**კარენი:** (უფრო მეტად უჩლექს) ლაო, ლოგოლა ქალ პატალა? (სტივი მოეხვევა, ერთმანეთს კოცნიან. სტივი ხელს დაბლა აცურებს, უკანალზე მოუჭერს. ქალი ხითხითებს) წამო, ეზოში გავიდეთ, ჩვენი ძველი შტაბი უნდა გაჩვენო. ღმერთო, ჰაერი საერთო არ იძვრის აქ... (მიდის, კაცი გაყვება, მაგრამ უცებ ჩერდება)

**სტივი:** (საიდუმლოდ, ჯინს) მოგვიანებით დაგპატიყებ. (სახეზე ააფარებს ხელს და დაჯმუჯნის. გადის. განათება გადადის შემოსასვლელ ვერანდაზე, როცა ჩარლი და პატარა ჩარლზი შემოდიან)

**პატარა ჩარლზი:** მაპატიე, მამა.

**ჩარლი:** ბოდიშ ნუ მიხდი. მოიცა ერთი წამით, თმა დაივარცხნე. (ჩარლი სავარცხელს წავდის)

**პატარა ჩარლზი:** ვიცი, რომ დედა ჩემზე გაბრაზებულია.

**ჩარლი:** არა უშავს.

**პატარა ჩარლზი:** რას ამბობს?

**ჩარლი:** დედაშენს ხომ იცნობ, კარგს რას იტყოდა.

**პატარა ჩარლზი:** მალვიძარა დავაყენე, მართლა.

**ჩარლი:** მჯერა.

**პატარა ჩარლზი:** მინდოდა მოსვლა.

**ჩარლი:** ახლა ხომ მოხვედი.

**პატარა ჩარლზი:** ხომ იცი, რომ ძია ბევრელი მიყვარდა...

**ჩარლი:** ბოდიშებს ნუ იხდი მეთქი.

**პატარა ჩარლზი:** ალბათ, დენი წავიდა. რომ გავიღვიძე, მალვიძარა ციმციმებდა. ესე იგი, დენი წასულა, ხო?

**ჩარლი:** არა უშავს.

**პატარა ჩარლზი:** დასაფლავებაზე დამაგვიანდა!

**ჩარლი:** უბრალოდ ცერემონიაა. მაგას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, გულში რა გიდევს.

**პატარა ჩარლზი:** ძია ბევრლის ალბათ იმედი გავუცრუე.

**ჩარლი:** ბიძაშენს წინ ბევრად უკეთესი და დიდი რამეები ელოდება. წყენის დრო არ ექნება. არ იყო ეგ ეგეთი კაცი... (პატარა ჩარლზი ქვითინებს) ეი, პატარა ჩარლზ, კარგი, არა უშავს. არა უშავს, დაწყნარდი...

**პატარა ჩარლზი:** მე... მე... ხო იცი, ყველაფერს ვხვდები. ვიცი, ჩემზე რასაც ფიქრობენ და როცა რაღაც ეგეთი ხდება... გინდა, რომ გვერდში ედგეა ადამიანებს და...

**ჩარლი:** ჩშშშ...

**პატარა ჩარლზი:** ... ძია ბევრლის დასაფლავებაზე დამაგვიანდა, და ვიცი ახლა ჩემზე რასაც ფიქრობენ....

**ჩარლი:** ვინ რას ფიქრობს? რას ქვია, შენზე რას ფიქრობენ?

**პატარა ჩარლზი:** ყველანი. ვიცი, რასაც ლაპარაკობენ.

**ჩარლი:** შენზე არაფერს არ ლაპარაკობენ...

**პატარა ჩარლზი:** ვიცი, როგორებიც არიან. მაგათი ბრალი არაა. მაპატიე, რომ დაგაღალატე, მამა.

**ჩარლი:** არ დაგიღალატებოვარ. შენ მე არასოდეს არ მღალატობ. ახლა მომისმინე... ძან ცდები, თუ გგონია, რომ ამ ხალხს არ უყვარხარ. უბრალოდ, ყველანი ვერ ხედავენ იმას, რასაც მე ვხედავ: შენ კარგი, მოსიყვარულე კაცი ხარ, ბევრი რამე შეგიძლია ადამიანებს გაუკეთო. ახლა ეს აიღე... (ცხვირსახოცს მიაწოდებს) სავარცხელი დამიბრუნე. მხრებში გაიმართე. ხალხს თვალეებში უყურე. და ასე ნუ იმცირებ თავს.

**პატარა ჩარლზი:** მიყვარხარ, მა.

**ჩარლი:** მეც მიყვარხარ, შვილო. (ჩარლი პატარა ჩარლზს ზურგზე ხელს დაუტყაპუნებს, შემოდინან მისაღებ ოთახში. განათება გადაადის სასადილო ოთახზე, სადაც ბილი და

ბარბარა შემოდინან სამზარეულოდან. ჯონა შიგადაშიგ გადი-გამოდის სამზარეულოსა და სასადილოს შორის, სუფრას შლის)

**ბილი:** ჯინი ვერაფერსაც ვერ ხვდება. შენი აზრით, ესმის, რა მნიშვნელობა აქვს ამ დღეს...

ბარაბრა: ოეპრის ფანტომიო....

**ბილი:** გახსოვს, როგორი იყავი თოთხმეტი წლის ასაკში?

**ბარბარა:** არც ისე პატარა, წესიერად მოქცევა რომ არ შეეძლოს. მაგრამ ეგ ხომ წესით მშობლებისგან უნდა ისწავლოს ადამიანმა.

**ბილი:** ჩემს ბოსტანში ვისვრით კენჭებს? რაღაც ვერ გავიგე.

**ბარბარა:** მართლა? ჩვენი, როგორც მშობლების მოვალეობაა, შვილი აღვზარდოთ.

**ბილი:** ეგ ნაწილი გასაგებია.

ბარაბრა: ხოდა, შენ ამ ბოლო დროს მშობლის მოვალეობის შესრულებით დიდად არ გამოირჩევი, ასე რომ, არ მესმის, რატომ გაქვს მოლოდინი...

**ბილი:** მე და შენ რომ გორდიას კვანძის გახსნას ვცდილობთ, ეგ სულაც არ ნიშნავს, რომ რამენაირად ნაკლები მშობელი...

**ბარბარა:** რა მაგარი ნათქვამია, „გორდიას კვანძი“, მაგრამ თოთხმეტი წლის გოგო მაგას სულ სხვანაირად ხედავს, ალბათ, „მიტოვებას“ უფრო არქმევს...

**ბილი:** ოჰ, კარგი ერთი...

**ბარბარა:** კითხე ერთი, იქნებ რა აზრისაა მამაზე, რომელმაც „მიაგლო“, ან „გვერდში არ უდგას“ ან მთლად „ნაბიჭვარია“.

**ბილი:** ჯინი ცოტა უფრო ჭკვიანია, არა?

**ბარბარა:** კი, მაგარი ჭკვიანია, იმ აღდგენილ თუ რაღაცნაირ „ოპერის ფანტომს“ რომ უყურებს, ვიცი, ვიცი, გიდგება ეგეთებზე...

**ბილი:** ბარბარა ...

**ბარბარა:** პატარა ნამირალა ვუნდერკინდი...

**ბილი:** სულაც არ ვიცავ ბავშვს.

**ბარბარა:** (ხმას უწევს) არაფერს არ ვაბრალებ, იმიტომ, რომ სულ არ ველოდები მისგან სხვანაირ საქციელს, როცა მამაისი ეგეთი ეგოისტი ნაბიჭვარია.

**ბილი:** (ხმას უწევს) მე შენ მხარეს ვარ. რატომ მებრძვი, როცა სინამდვილეში შენ მხარეს ვარ? ბარბარა... ბარბარა, დაწყნარდი!

**ბარბარა:** ჩემი დახმარება თუ გინდა, მამობა გაუწიე შვილს.

**ბილი:** მამა ვარ, აბა რა ვარ!

**ბარბარა:** მამა, რომელიც „წასულია“, მართო ფორმალურად გქვია მამა!

**ბილი:** პასუხისმგებლობაზე უარი არ მითქვია.

**ბარბარა:** გითქვამს, იდიოტო.

**ბილი:** მითქვია სალაპარაკო ფორმას.

**ბარბარა:** ხო, როგორ არა, რახან შენ ამბობ.

**ბილი:** ... აჰა, ესე იგი, შენი წესებით უბდა ვიბრძოლოთ: ერთა წამს რაღაც თემაზე ვლაპარაკობთ და მერე უცებ საშინელ შეურაცხყოფაზე გადადიხარ... და თან, როცა გაწყობს...

**ბარბარა:** ეგ ხომ ჩვენი თანაცხოვრების მესამე წელს უკვე დავადგინეთ, ბილი: შენ სივრცეებისა და დროის მბრძანებელი ხარ, მე კიდევ პატარა ანჩხლი პუდელი.

**ბილი:** რა უსამართლო ხარ.

**ბარბარა:** მომბეზრდა სამართლიანობ! ვხედავ, სადამე მიმიყვანა მაგ სამართლიანობამ. გული მერევა უკვე ამ „ამტანი და მომთმენი დედაკაცის“ როლზე. როდის უნდა გაიზარდო! სანამ შენ მეხუთედ დაგეწყო გარდატეხის ასაკი, სამყარო თავზე გვენგრევა და მე ვერ ვუმკლავდები! რაც მთავარია, შენი შვილი ვერ უმკლავდება!

**ბილი:** ჩვენი შვილი ცდილობს, როგორმე გადარჩეს ამ საგიჟეთში, სადაც შენ ჩაითრიე.

**ბარბარა:** ეგ საგიჟეთი ჩემი სახლია.

**ბილი:** აი, ერთი წამით დაუფიქრდი, ამწუთას რა თქვი, კარგი?

**ბარბარა:** ჯიხი აქ ჩემთან ერთადაა, იმიტომ, რომ ეს საოჯახო ამბავია.

**ბილი:** სინამდვილეში აქ იმისთვის ჩამოიყვანე, რომ დედაშენის სიგიჟისგან თავი დაიცვა. მაგ სამაგლობების თქმისგან თავს ვერ იკავებ, ხო?

**ბარბარა:** რა ადვილად გწყინს ყველაფერი, ჰაჰ.

**ბილი:** შენ კიდევ ისეთი მორალური სიმაღლიდან ლაპარაკობ... ისეთი...

**ბარბარა:** იმ პეპი გრძელწინდასთან რომ მძუნაობდი, ალბათ, ხვდებოდი, რომ მორალი ჩემს მხარეზე იქნებოდა, ცოტა გავზრახდებოდი თანაც...

**ბილი:** იქნებ მაგიტომაც გაგექეცი.

**ბარბარა:** აჰა, ესე იგი, აღიარებ, როგორც იქნა გადმოანთხიე მთელი...

**ბილი:** ჭკვიანი ქალი ხარ, ბარბარა, მაგრამ ჩაკეტილი ხარ. ვნებები არ გაკლია, მაგრამ მკაცრი ხარ. კეთული ხარ, წესიერი, მხიარული, გადასარევი ქალი, მიყვარხარ, მაგრამ მაინც მაგარი თავის ტკივილი ხარ. (მთელი სახლი ნათდება. ბილი გადის ვერანდაზე, სულს მოითქვამს. კარენი და სტივი ბრუნდებიან, მისაღებ ოთახში ბარბარას გადაეყრებიან. მეტი ფეი კიბიდან ჩამოდის სასტუმრო ოთახში, სადაც ჯიხი, ჩარლი და პატარა ჩარლზი ტელევიზორს უყურებენ. ვაიოლეტი და აივი მეორე სართულის ბაქანზე შემოდებიან.

**ჯონა:** სადილი მზადაა.



|   |   |   |
|---|---|---|
| <b>სტივი:</b> ხომ გითხარი, ერთი მოვწიოთ და ამასობაში საჭმელიც გამზადდება-მეთქი.   | <b>მეტი ფეი:</b> უი, ამას დამიხედეთ, ვინ მობრძანებულა. ბოდიში, რომ გაგაღვიძეთ, საყვარელო. | <b>აივი:</b> სერიოზულად გეუბნები, ხმას თუ ამოიღებ...  |
| <b>კარენი:</b> (ბარბარას) ბოლოს როდის გაკრიჭეს ეზოში ბალახი?  | <b>პატარა ჩარლზი:</b> ძალიან ვწუხვარ, დე, მართლა...                                       | <b>ვაიოლეტი:</b> არ გითქვამს, არავის არ უთხრაო...   |
| <b>ბარბარა:</b> რა?   | <b>მეტი ფეი:</b> ეჭვიც არ მეპარება, კი.   | <b>აივი:</b> ახლა გეუბნები.   |
| <b>კარენი:</b> სტივს ჩვენი ძველი შტაბი ვაჩვენე, მანდ გასულხარ ბოლო დროს?  | <b>ჩარლი:</b> ახლა ხომ მოვიდა, ეგაა მთავარი.  | <b>ვაიოლეტი:</b> რატომ ხარ ასე დამაბული? შეყვარებული გყავს, გადასარევი ამბავია...                     |
| <b>ბარბარა:</b> არა, არ ვყოფილვარ...  | <b>მეტი ფეი:</b> არაფერიც არაა მთავარი.   | <b>აივი:</b> არ გაბედო...   |
| <b>სტივი:</b> ბარბ, უზრდელობაში ხომ არ ჩამომართმევთ, პიჯაკს თუ გავიხდი?   | <b>პატარა ჩარლზი:</b> დენი წავიდა, ალბათ, როცა გავიღვიძე, საათი უკვე...                   | <b>ვაიოლეტი:</b> არ გგონია, რომ ასეთ მძიმე დღეს ცოტა გააბედნიერებ შენს ოჯახს, კარგ ამბავს თუ გაუმხელ? |
| <b>კარენი:</b> კარგად ხარ?  | <b>მეტი ფეი:</b> ნუ მიყვები თავიდან, პატარა ჩარლზ. არაა საჭირო კიდევ ერთხელ მოყოლა...     | <b>აივი:</b> ეგ არავის საქმე არაა.  |
| <b>ბარბარა:</b> კი, არა მიშავს.   | <b>ჩარლი:</b> საყვარელო, ბიჭი ცდილობს, აგისხნას...რომ მართლა წუხს...                      | <b>ვაიოლეტი:</b> ჩვენებს მხოლოდ კარგი უნდათ შენთვის   |
| <b>კარენი:</b> საწყალო, ალბათ, როგორ გადაიღალე ამ დღეებში, არა?   | <b>მეტი ფეი:</b> შენ კიდევ ნუ ამართლებ, 37 წლისაა...                                      | <b>აივი:</b> ეგ არავის საქმე არაა-მეთქი!  |
| <b>სტივი:</b> აბა, რა იქნებოდა.   | <b>ჩარლი:</b> მოდი, არ გვიდნა ახლა ეს კამათი.   | <b>ვაიოლეტი:</b> არ მესმის, რატომ უნდა გაგიწიო ანგარიში?  |
| <b>კარენი:</b> იცი, ასეთ დროს სულ ასე მემართება, მგონია, რომ ლუკმა არ გადამივა ყელში, მაგრამ მერე რაიმე ცხელ კერძს დამიდგამენ წინ და უცებ ვხვდები, რომ ვკვდები, ისე მშია. | <b>მეტი ფეი:</b> არ ვკამათობ.   | <b>აივი:</b> და რატომაც არა? აი, რატომ-მეთქი?   |

|   |  |   |
|---|--|---|
| (პაუზა, ბარბარა თითქოს ახლავს შეამჩნევს მათ)    |  |   |
| <b>ბარბარა:</b> მართალი ხარ. წამო, ვჭამოთ რამე. | <b>პატარა ჩარლზი:</b> ვიცი, რომ დაგაღალატე, დედა...  | <b>ვაიოლეტი:</b> ჩემი კაბა არც კი გაისინჯე....  |
| (სამზარეულოდან სასადილო ოთახში გადიან)          | <b>მეტი ფეი:</b> ახალი ამბავი.   | <b>აივი:</b> შენთან ვაჭრობას არ ვაპირებ.  |
|   | <b>ჩარლი:</b> აბა, წესიერად ახლა! ცოტა გაიხსენე, სად ვართ და რა ხდება...                         | <b>ვაიოლეტი:</b> როგორ გიყვარს ეს მელოდრამები....   |
|   | <b>მეტი ფეი:</b> მორჩა, აღარ მაინტერესებს. წავიდეთ, ვისადლოლოთ. ჩემი კასეროლე ამოიტანე?          | <b>აივი:</b> დაბლა ჩავალ და ვისადილებ, შენთან ლაპარაკს აზრი არა აქვს.                       |
|   | <b>ჩარლი:</b> არა, ახლა ამოვიტან.  | <b>ვაიოლეტი:</b> (სარკასტულად) ბოდიში, ცოტა უაზროდ თუ ვარ, იცი, საკმაოდ მძიმე დღე მქონდა... |
|   | <b>მეტი ფეი:</b> რაა? ესე იგი, ჩემი გაკეთებული კასეროლე ერთი საათი გადახურებულ მანქანაში დატოვე? | <b>აივი:</b> მარტო შენ არა, დედა.   |
|   | <b>ჩარლი:</b> ამოვიტან, ახლავე...  |   |
|   | <b>პატარა ჩარლზი:</b> მე ამოვიტან! (გადის სახლიდან)  |   |

*(აივი დაბლა ჩადის, შემოვა მისაღებ ოთახში, სანამ მეტი ფეი და ჩარლი ბარბარას, კარენს, სტივს და ჯონას შეუერთდებიან სასადილო ოთახში. თანდათან სხდებიან. ბილი შემოდის ვერანდიდან, გადაკვეთს მისაღებ ოთახს)*

|   |   |  |
|---|---|--|
| <b>კარენ:</b> რა კარგად გამოიყუება. (ჯონას) ეს ყველაფერი სულ შენ გააკეთე? |   | <b>ბილი:</b> ჯინ, მოდი, საჭმელი ჭამე.            |
| <b>ჯონა:</b> აჰა.   | <b>მეტი ფეი:</b> რა ლამაზი სუფრაა!              | <b>ჯინი:</b> ალბათ, აქ რომ ვჭამო, არ მოსულა, ხო? |
|   | <b>ბარბარა:</b> სულ ამის გაკეთებულია ყველაფერი. | <b>ბილი:</b> სწორად მიმხვდარხარ.                 |
| <b>სტივი:</b> ეს ქათამი რა გემრიელი ჩანს, არა?                            |   | <b>აივი:</b> პატარა ჩარლზის ხმა მომესმა?         |

|  |                                      |  |
|--|--------------------------------------|--|
| <b>მეტი ფეი:</b> სკამები გვეყოფა?  |                                      | <b>ბილი:</b> ჰო, მგონი მეც მომესმა...  |
| <b>ბარბარა:</b> მგონი, კი...   | <b>ჩარლი:</b> სად გირჩევნია დაჯდომა? | <b>ჯინი:</b> მაინც საბავშვო მაგიდასთან უნდა მიმაგდოთ.  |
| <b>მეტი ფეი:</b> ძალიან კარგი.. აი, აქ დავჯდები...                                 |                                      | <b>ბილი:</b> ახლა არა ვარ მაგის ხასიათზე, კარგი?   |
| <b>კარენი:</b> გვერდით მომიჯექი, საყვარელი.  |                                      | <b>აივი:</b> მართლა? ხომ არ იცი, სადაა?  |
| <b>სტივი:</b> ოკი-დოკი.  |                                      | <b>ბილი:</b> მგონი, გარეთ გავიდა, რაღაც საქმეზე... (აივი გადის ვერანდაზე. ჯინი ფეხის ათრევით მიდის სასადილოსკენ. ბილი შეაჩერებს.) რატომ მიკერავ ამ სიფათებს? |
| <b>ბარბარა:</b> აბა, ვინ აღმოჩნდება ჯინთან ერთად საბავშვო მაგიდასთან?              |                                      | <b>ჯინი:</b> არ გიკერავ.   |
| <b>მეტი ფეი:</b> პატივცემული პატარა ჩარლზი დავსვით მანდ.                           |                                      | <b>ბილი:</b> ხომ ხვდები, რომ დედაშენს ახლა ძალიან ჭირდები.   |
| <b>ჩარლი:</b> სერიოზულად?  | <b>კარენი:</b> ოღონდ, ახლა არ....    | <b>ჯინი:</b> დედა, შენგან განსხვავებით, ტრაკში არ მეტენება.  |
| <b>მეტი ფეი:</b> აბა, სხვა ვინ უნდა დაჯდეს? შენ დაჯდები?                           |                                      | <b>ბილი:</b> კარგი. წადი, ხელები დაიბანე.  |
| <b>ჩარლი:</b> იცოდე, მიხვდება, რომ მისი დასჯა გინდა...                             |                                      | <b>ჯინი:</b> ხელები დავიბანო? ოპერაციას კი არ ვატარებ. (ჯინი და ბილი სასადილოში შემოდიან)  |
| <b>ჯონა:</b> მე დავჯდები, არა უშავს.   |                                      |  |
| <b>მეტი ფეი:</b> რას ამბობ, ამდენი იწვალე და ასეთი გადასარევი სადილი მოგვიმზადე... |                                      |  |
| <b>ჯონა:</b> არა უშავს.  |                                      |  |

(სანამ ოჯახი მაგიდის ირგვლივ ადგილებს იკავებს, განათება იცვლება: ნათდება შემოსასვლელი ვერანდა. აივი ესალმება პატარა ჩარლზს, როცა ის მეტი ფეის კასეროლეთი ხელში ბრუნდება)

აივი: გამარჯობა,

პატარა ჩარლზი: გამარჯობა.

აივი: კარგად ხარ?

პატარა ჩარლზი: არც ისე.

აივი: შენზე თქვეს, ჩაეძინაო.

პატარა ჩარლზი: არ ვიცი, შეიძლება განზრახ შემთხვევით ჩამეძინა, არ ვიცი. მაპატიე...

აივი: მოიცა რა.

პატარა ჩარლზი: ვიცი, რომ შენს ცხოვრებაში ყველაზე საშინელი დღე იყო და მაპატიე, თუ უფრო...

აივი: გეყოფა. ჩვენ შორის არაა საჭირო ეგეთი ლაპარაკი. (მოეხვევა და აკოცებს)

პატარა ჩარლზი: ჩვენი წესი დაარღვიე.

აივი: ჩემზე ეჭვი აქვთ.

პატარა ჩარლზი: რა?

აივი: ჩვენზე არა, მხოლოდ ჩემზე. ვუთხარი, ვილაცას ვხვდები-მეთქი. არ მითქვამს, ვის უბრალოდ, მინდოდა გცოდნოდა, რაიმე კითხვების დასმას თუ დაიწყებენ...

პატარა ჩარლზი: კარგი... დედაჩემს ნიუ-იორკზე ველაპარაკე. ანუ, მარტო ის ვუთხარი, გადასვლა მინდა-მეთქი.

აივი: ხო, მითხრა.

პატარა ჩარლზი: წარმომიდგენია, როგორ მოეწონებოდა ეგ აზრი...

აივი: იცი, რა? მგონი, კარგი აზრი, ასე ცოტ-ცოტას რომ უმხელ. (კაცი მიაშტერდება) რა? (კაცი უღიმის) ჩარლზ...

პატარა ჩარლზი: ვგიჟდები შენზე. (განათება გადადის სასადილო თახზე. სუფრას უსხედან: ბარბარა, ბილი, მეტი ფეი, ჩარლი, კარენი და სტივი. ჯინი და ჯონა საბავშვო მაგიდასთან სხედან. ყველა მამაკაცს გაუხდია პიჯაკი)

მეტი ფეი: საჭმელი გაცივდება.

ბარბარა: (გასმახებს) დედა?! ვისადილოთ.

ჩარლი: კასეროლე გადმომაწოდე, რა.

მეტი ფეი: ჩემს გაკეთებულს მოიტანენ ახლა.

ჩარლი: შენსასაც შევჭამ...

ბილი: აბა, ღვინო ვის დაგისხათ?

კარენი: მე, თუ შეიძლება.

სტივი: მეც დავლევ.

(პატარა ჩარლზი შემოდის მეტი ფეის კასეროლეთი)

**მეტი ფეი:** აჰა, მობრძანდა. ვიფიქრე, ბავშვების მაგიდასთან დავსვამ მეთქი, მაგრამ ამათ არ დამანებეს.

**პატარა ჩარლზი:** დაგესვი მერე, რა უჭირს. ეს სად დავდგა?

**მეტი ფეი:** სადაც გინდა. (მისალმებები, გადახვევა, ხელის ჩამორთმვა, კარენი სტივს გააცნობს და ა.შ. აივი შემოიძურწება და თავის ადგილას ჯდება. პატარა ჩარლზს მეტი ფეის კასეროლე გაუვარდება ხელიდან. ქვაბი ხმაურით დაებერტყება იატაკზე)

**პატარა ჩარლზი:** ო, ღმერთო!

**ბილი:** უჰს!

**მეტი ფეი:** რა ჯანდაბაა!

**ბარბარა:** ვაიმე, რა სამწუხაროა.

**პატარა ჩარლზი:** ვაიმე, ღმერთო, არა!...

**სტივი:** ოჰაა!

**მეტი ფეი:** შე ფეთხუმო!

**კარენი:** საჭმელი ივარგებს?

(ჯონა გადის სამზარეულოში ქალაღდის ხელსახოცების, სველი ტილოს და ა.შ. მოსატანად)

**მეტი ფეი:** ყველაფერი ხელიდან რომ გიცვივა, შე ფეთხუმო ბავშვო!

**პატარა ჩარლზი:** მაპატიე, დედა...

**ჩარლი:** არა უშავს, არა უშავს, არავინ დაშავებულა.

(პატარა ჩარლზი ეხმარება ჯონას იქაურობის მოსუფთავებაში)

**მეტი ფეი:** და მე დაგავიწყდი, ხო? მე „დავშავდი“.

**ჩარლი:** არ დაშავებულხარ.

**პატარა ჩარლზი:** დე, ვაიმე, ღმერთო, მაპატიე, დე...

**აივი:** შემთხვევით მოუვიდა.

**მეტი ფეი:** ჩემი გაკეთებული კასეროლე!

**ჩარლი:** კარგი ახლა, მეტი ფეი.

**სტივი:** ისეთ ქიეფს რა ვუთხარი, სადაც რაიმე არ გატყდება ან დაიღვრება.

**ჩარლი:** ჯინ, შენ ქათამი არ შეგხვდა?

**ბარბარა:** არა, ეგ არ...

**ჯინი:** ხორცს არ ვჭამ.

**ჩარლი:** ხორცს არ ჭამ.

**სტივი:** ძალიანაც კარგი.

**ჩარლი:** ხორცს არ ჭამ. კაი ბატონო. ქათამი ვის გინდათ? აჰა, პატარ ჩარლზ, გადაიღე ცოტა ქათმის ხორცი.

**მეტი ფეი:** შენი ჭირიმე, დაუდე თეფშზე, თორემ გადაწვავს მთელ სახლს.

**ჩარლი:** კარგი ახლა, მეტი ფეი. (შემოდის ვაიოლეტი, ხელში ჩარჩოში ჩასმული ფოტო უჭირავს, თავისი და ბევერლის)

**ვაიოლეტი:** ბარბ... ამას დადგამ მანდ...?

**ბარბარა:** ჰო, რა თქმა უნდა... (გამოართმევს ფოტოს და კომოდზე დადგამს)

**მეტი ფეი:** რა ლამაზია.

**კარენი:** რა საყვარელია.

**სტივი:** ჰო, მართლაც.

**აივი:** რა ლამაზი სუფრაა.

**ბარბარა:** ყველაფერი ჯონამ მოამზადა.

**ჯინი:** მაგარი ხარ, ჯონააა...

**ვაიოლეტი:** როგორც ვხედავ, ჯენტლმენებს ლამის ყველაფერი გაუხდიათ. მეგონა, ქელები გვქონდა და არა მამლების ჩხუბი. (უხერხული მომენტი. კაცები უხალისოდ მოიცვამენ პოჯაკებს. ვაიოლეტი ჯდება.) ალბათ, ვინმემ ლოცვა უნდა წაიკითხოს. (ყველა გადახედავს ერთმანეთს) ბარბარა? იტყვი...?

**ბარბარა:** არა მგონია.

**ვაიოლეტი:** კარგი ერთი, რა დიდი რამე...

**ბარბარა:** ძია ჩარლიმ უნდა წაიკითხოს. ახლა ეგაა აქაურობის პატრიარქი.

**ჩარლი:** მე? ხო, ალბათ, მე ვარ.

**ვაიოლეტი:** ავტომატურად.

**ჩარლი:** კეთილი. (ჩარლი ხმას ჩაიწმენდს) უფალო... (ყველა ჩახრის თავს, ხელებს გადააჭდობს) გთხოვ ამ მწუხარების ჟამს დაიფარო ეს ოჯახი, უფალო... დალოცე ეს სათნო ქალი და არ მოაკლო მას შენი... შენი წყალობა. (მობილური რეკავს, 1970-იანი წლების სერიალის მუსიკაა ზარად დაყენებული. სტივი სწრაფად მოიქექავს ჯიბეებს, ამოიღებს ტელეფონს და დახედავს, ვინ ურეკავს)

**სტივი:** მაპატიეთ, ამას აუცილებლად უნდა ვუპასუხო. (გავარდება გარეთ სალაპარაკოდ)

**ჩარლი:** გევედრებით, დაიფარო ბევერლი, რომელიც... რომელიც... რომელიც შენკენ მოემართება. გმადლობთ, უფალო, რამეთუ შეგვამლებინე, ასე ერთად მოგვეყარა თავი, რომ პატივი მივავოთ ამ შესანიშნავ კაცს, ამ სახლში, მის მშვენიერ ოჯახთან ერთად, სამ ულამაზეს ქალიშვილთან ერთად. მართლაც წყალობაა ჩვენი ერთობა, ერთად ყოფნა...

და ნათესაობა. გმადლობ საკვებისთვის, უფალო, გმადლობ, რომ ამ საკვებით შეგვიძლია დავანაყროთ ჩვენი სხეულები... გვედრები, შეგვეწიო... რომ უკეთესები გავხდეთ. უკეთესები გავხდეთ. უკეთესი ადამიანები გავხდეთ. (სტივი ბრუნდება, ტელეფონს ხმაურით დაკეცავს) ახლა უფრო მეტად ვგრძნობთ, რამხელა ძალაა, რამხელა, რამხელა.. სიხარულია ოჯახი. და გვედრებით, წყალობა არ მოაკლო ამ ოჯახს. ამენ.

**სტივი:** ამენ. მაპატიეთ, ხალხო.

**ბილი:** ახლა ვჭამოთ. (იწყებენ ჭამას)

**ვაიოლეთი:** ბარბარა, როგორ გგონია, ეგ კომოდი რამეში გამოგადგება?

**ბარბარა:** რა?

**ვაიოლეთი:** აი, ეგ კომოდი, მანდ რომ დგას, მოგწონს?

**ბარბარა:** ეს? რა ვიცი... არა. რატომ მეკითხები?

**ვაიოლეთი:** ნივთები თავიდან უნდა მოვიშორო და ვიფიქრე, კომოდი ხომ არ მოგწონს-მეთქი.

**ბარბარა:** არა, დედა, მე... მე ამხელა გზაზე მაინც ვერ წავილებდი.

**კარენი:** მართლა ლამაზია.

**ვაიოლეთი:** ჰმ. იქნებ აივამ წაიღოს.

**აივი:** არა, მე უკვე მაქვს ამის მსგავსი, არ გახსოვს....

**ბარბარა:** რა უნდა მოიშორო თავიდან?

**ვაიოლეთი:** ყველაფერი, ყველა ნივთი უნდა გავიტანო. ყველაფერი ახალი მინდა.

**ბარბარა:** იცი, ახლა არა მგონია... ამაზე სალაპარაკოდ მზად ვიყო.

**ვაიოლეთი:** როგორც გინდა.

**სტივი:** საჭმელი მართლა გასაოცარია.

**კარენი:** ძალიან გემრიელია...

**პატარა ჩარლზი:** ხო, ნამდვილად.

**აივი:** დე, საჭმელი მოგწონს?

**ვაიოლეთი:** ჯერ არ გამისინჯავს და...

**ბარბარა:** ყველაფერი ჯონამ მოამზადა, თვითონ.

**ვაიოლეთი:** რა?

**ბარბარა:** ყველაფერი ჯონამ მოამზადა-მეთქი.

**ვაიოლეთი:** მაგაში ვუხდით ფულს ისედაც. (სიჩუმე ჩამოწვება). მოიცა, თქვენ არ იცოდით, რომ ფულს ვუხდით?

**ჩარლი:** ჯინ, და რა მაინტერესებს, ხორცს არ ვჭამო, რომ ამბობ...

**ჯინი:** მერე?

**ჩარლი:** ანუ, არანაირ ხორცს არ ჭამ?

**ჯინი:** არანაირს.

**ბარბარა:** ხო, ეგ...

**ჩარლი:** და რამე ჯანმრთელობის ამბავში, თუ...

**ჯინი:** როცა ხორცს ჭამ, ცხოველის შიშს ყლაპავ.

**ვაიოლეტი:** რას ყლაპავ? ცხოველის რას?

**ჯინი:** შიშს.

**ვაიოლეტი:** (ჩაიცინებს) სხვა რამე მომესმა...

**ჩარლი:** შიშიო, ბავშვმა. და ეგ როგორ? შიშს ხომ ვერ შეჭამ.

**ჯინი:** როგორ ვერა. ანუ, თუ სულიერ პონტში არ ფიქრობ, აი, წარმოიდგინე, შენ რა გემართება, როცა მართლა გეშინია? შენს სხეულში ქიმიური რეაქციები ხო ხდება?

**ჩარლი:** მართლა?

**პატარა ჩარლზი:** კი, მართლა.

**აივი:** ჰო.

**პატარა ჩარლზი:** ადრენალინი და, და...

**ჯინი:** შენი ორგანიზმი ამ ქიმიურ პროცესებს გადის, როცა შიშს განიცდი...

**პატარა ჩარლზი:** ... და, ხო, კორტიზოლი...

**ჯინი:**... განსაკუთრებით, თუ სიკვდილის გეშინია, ხო ხვდები, როცა ოფლიანდები და გული გიჩქარდება...

**პატარა ჩარლზი:** ... ჰო, ეგრეა...

**ჩარლი:** კარგი, გასაგებია.

**ჯინი:** როგორ გგონია, ცხოველი შიშს არ განიცდის?

**სტივი:** განიცდის, აბა, რას შვება.

**ჯინი:** ჰოდა, როცა ცხოველს წამ, მასთან ერთად ჭამ იმ შიშს, რომელსაც განიცდიდა, როცა კლავდნენ.

**ჩარლი:** ვაჰ.

**სტივი:** მართალია, მართალი, მე ვმუშაობდი ხორცის გადამამუშავებელ ქარხანაში და მანდ ძალიან დიდი შიში ტრიალებს ჰაერში...

**ჩარლი:** ღმერთო, ანუ, რას მეუბნებით, ესე იგი, მთელი ცხოვრება... დღეში სამჯერ, სამოცი წელია შიშს ვჭამ?

**მეტი ფეი:** უიმე, ეს უხორცო საჭმელს პირს არ აკარებს.



**ჩარლი:** ეტყობა, ასე გამზარდეს, წესიერ საჭმელად ვერ აღვიქვამ, თუ შიგნით ხორცი არ ურევია...

**მეტი ფეი:** რამე პასტას ან ეგეთს თუ გავუკეთებ, სულ გაიძახის: „კარგად წავიხემსე და ახლა ხორცი მოიტა“.

**ვაიოლეთი:** „ხორცი მოიტა?“ ეგ რაღაც რეკლამა არ იყო, მოხუცი ქალი რომ იძახის „ხორცი მოიტა?“

**კარენი:** „ძროხის ხორცი მოიტა“.

**ვაიოლეთი:** (კვივის) „ხორცი მოიტა“, „ხორცი მოიტა“ „ხორცი მოიტა“ (გაოგნებისგან ყველანი შეშდებიან).

**ჩარლი:** მგონი, დაკრძალვამ კარგად ჩაიარა.

**კარენი:** კი, ნამდვილად, არა?

**სტივი:** მღვდელი ძალიან გამოგვადა.

**ვაიოლეთი:** (ხელს წინ გამოიშვერს, დაეჭვების ნიშნად იქნევს) ეჰჰჰჰჰ! ჩემი აზრით, ისე რა... (იმეორებს ჟესტს)

**კარენი:** მართლა? მე მომეჩვენა, რომ...

**ბარბარა:** გადასარევია, წავა ახლა დიდი დაწუნებები...

**ვაიოლეთი:** მერჩინა, კუბო თავახდილი ყოფილიყო...

**ბარბარა:** დედა, ეგ შეუძლებელი იყო.

**ვაიოლეთი:** დღეს რაც ილაპარაკეს ბევზე, ეგ მოუხდებოდა 1974 წელს რომ მომკვდარიყო. რაის პოეზია და სწავლება. 65 წლის მერე ერთი ლექსიც კი არ დაუწერია და სწავლებას დასაძახავად ვერ იტანდა. კარგ რამეებზე არავის ხმა არ ამოუღია. კაცი მსოფლიო დონის ლოთი იყო, ლამის ორმოცდაათი წელიწადი. არავის არ უხსენებია, როცა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა შეკრებაზე სიტყვით გამოსვლა თხოვეს, ეს კიდევ გამომტყვრალი მივიდა და ენას ძლივს აბრუნებდა... (იცინის) მთელი ბოთლი რომი დალია... რონ ბოკოს თეთრი რომ... არ ვიცი, რატომ დამამახსოვრდა... წამოდგა სიტყვის სათქმელად... და თავი მოიჭრა! და ისეთი სახით დაგვიბრუნდა მაგიდასთან...

**ბარბარა:** ჰო, ნეტავ რატომ არავის არ მოაფიქრდა, რომ მაგაზე ელაპარაკათ.

**ვაიოლეთი:** ამის შემდეგ შეკრებებზე აღარ პატიჟებდნენ, ჰო, ეგრე იყო. (სიცილი უტყდება)

**სტივი:** პოეზიაში დიდად ვერ ვერკვევი, მაგრამ ჩემი აზრით გასაოცარი ლექსები აქვს. (ბილს) შენც ძალიან კარგად წაიკითხე.

**ბილი:** გმადლობ.

**ვაიოლეთი:** (სტივს) შენ ვინ ხარ?

**კარენი:** დედა, ეს ჩემი საქმროა, სტივი, ეკლესიაში ხომ გაგაცანი.

სტივი: სტივ ჰაიდერბრეხტი.

ვაიოლეთი: ჰაიდერ-რაა?

სტივი: ჰაიდერბრეხტი.

ვაიოლეთი: ჰაიდერ-ბრრრრ... გერმანელი, გერმანელი ხარ.

სტივი: უფრო სწორად, გერმანულ-ირლანდიური ფესვები მაქვს, სინამდვილეში...

ვაიოლეთი: ძალიან უცნაურია, კარენ, რომ კავალერებს მამაშენის გასვენებაში პატიჟებ. ვიცი, რომ ლექსები კარგია, მაგრამ არა მგონია, პაემნის მასალად ვარგოდეს...

ბარბარა: ღმერთო...

კარენ: კავალერი არ არის, ჩემი საქმროა. ახალი წლისთვის ვქორწინდებით.

ჩარლი: აუხ, ეს კარტოფილი ნამდვილად...

კარენი: მაიამიში, იმედია, ჩამოხვალ...

ვაიოლეთი: არა მგონია, მაგ საქმიდან რამე გამოვიდეს, შენ რას იტყვი?

კარენი: მე...

ვაიოლეთი: სტივი, ხო? სტივი.

სტივი: დიახ, ქალბატონო.

ვაიოლეთი: აქამდე ცოლი არ გყოლია?

კარენი: ეს პირადი საქმეა.

სტივი: არა უშავს. დიახ, ქალბატონო, მყავდა.

ვაიოლეთი: ერთი თუ მეტი?

სტივი: სამი, აქამდე სამჯერ ვიყავი დაქორწინებული.

ვაიოლეთი: ესე იგი, გეხერხება ეგ საქმე.

სტივი: (იცინის) ნამდვილად.

ვაიოლეთი: (მეტი ფეის) როგორ გავარტყი არა? აი, შეხედე, ეგრევე ეტყობა, რომ ცოლი ყავდა.

კარენი: სტივისთვის ჩვენი შტაბის ჩვენება მინდოდა, მაგრამ აღარ დამხვდა.

აივი: უკვე დიდი ხანია, აღარ არის მანდ.

კარენი: ისე მეწყინა!

ბილი: ეგ რაღაა?

კარენი: ჩვენი ძველი შტაბი, სადაც კავბოებს და ინდიელებს ვთამაშობდით.

აივი: მამამ თქვა, მანდ ვირთხები გაჩნდნენო...

ვაიოლეთი: კარენ! როგორ არ გრცხვენია!

**კარენ:** რა?

**ვაიოლეტი:** არ იცი, რომ „კავბოები და ინდიელები“ არ უნდა ახსენო? კავბოებს და მკვიდრ ამერიკელებს თამაშობდით. ხო სწორად ვამბობ, ბარბ?

**ბარბარა:** რა დალიე?

**ვაიოლეტი:** ბატონო?

**ბარბარა:** რა დალიე-მეთქი? რომელი ტაბლეტები დალიე?

**ვაიოლეტი:** მიდი რა... (ჩარლი თავს ჩაღუნავს, შეწხუებულია)

**ჩარლი:** უუუუხ...

**მეტი ფეი:** რა ხდება?

**ჩარლი:** უუუუუხ....

**მეტი ფეი:** რა გჭირს? (პანიკაში ვარდება)

**პატარა ჩარლზი:** მამა...?

**აივი:** ძია, ცუდად ხარ...?

**ჩარლი:** ძაან დიდი ლუკმა შიში ვჭამე! (ყველა იცინის) ვკანკალებ! (იცინიან. ჩარლი თეფშ დააცხრება) შიში ასეთი გემრიელი თუ იქნებოდა, რას წარმოვიდგენდი. (ჯინს თვალს ჩაუკრავს)

**სტივი:** (იცინის) მართალია, მართალია, ერთხელ თუ გემო გაუგე, მერე ვეღარ შეეშვები.

**ბარბარა:** ერთი ორჯერ გამოვიჭირე, ჩუმად როგორ ჭამდა ჩიზბურგერს.

**ჯინი:** არ ვჭამდი!

**ბარბარა:** ორმაგი ჩიზბურგერი ბეკონით და შიშის სოუსით.

**ჯინი:** დედა, რა მატყუარა ხარ! (ხარხარი)

**ვაიოლეტი:** (დაჟნებით უყურებს ჯინს) იცი... დედაჩემისთვის რომ მეთქვა, მატყუარა ხარ-მეთქი, თავს წამაგდებინებდა! (სიჩუმე) ბილ, როგორც ვხვდები, ბევერლის კაბინეტი უკვე კარგად შეისწავლე.

**ბილი:** ჯერ არ დამიმთავრებია.

**ვაიოლეტი:** რაიმე საიდუმლო განძი ხომ არ გიპოვია?

**ბილი:** მთლად განძი არა, მაგრამ აშკრად ახალ ლექსებზე მუშაობდა თურმე.

**კარენი:** მართლა?

**ბილი:** რამდენიმე ბლოკნოტი ვიპოვე, სადაც...

**ვაიოლეტი:** გოგოები, ხომ იცით, რომ ანდერძი დატოვა.

**ბარბარა:** დედა...

**ვაიოლეტი:** კაი ხნის წინ ვიზრუნეთ მაგ ამბავზე, მაგრამ...

**ბარბარა:** დედა, გთხოვ, არ გვინდა ახლა ამაზე ლაპარაკი...

**ვაიოლეთი:** რატომ, მე მინდა. თქვენ არ გაინტერესებთ, მე რაზე მინდა ლაპარაკი? თუ ეგ არ ითვლება?

**ბარბარა:** უბრალოდ...

**ვაიოლეთი:** გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ ბევრლიმ კარგად დააბანდა ფული, თქვენთვის გვექონდა გადადებული, გოგოები, მაგრამ მერე ვილაპარაკეთ, რამდენიმე წელი გავიდა და გადაწყვიტეთ, რომ უნდა შეგვეცვალა, ყველაფერი ჩემთვის უნდა დაეტოვებინა. იურიდიულად გაფორმება ვერ მოვასწარით, მაგრამ მინდა იცოდეთ, რომ ყველაფერს მე მიტოვებდა. ფულს მე მიტოვებდა.

**ბარბარა:** კარგი.

**ვაიოლეთი:** კარგი? (აივის და კარენს გადახედავს) კარგი?

**აივი:** ხო.

**ვაიოლეთი:** კარენ? შენც? (კარენი ყოყმანით გადახედავს სტივს, შემდეგ ბარბარას)

**ბარბარა:** კარგი.

**კარენი:** კარგი.

**ვაიოლეთი:** კარგი. მაგრამ მე მინდა, რომ ამ ავეჯის ნაწილი, ეს ძველი ნაგავი თქვენ დაგრჩეთ. მე არ მჭირდება, რაში უნდა გამოვიყენო. იქნებ აუქციონზე გამეყიდა.

**მეტი ფეი:** ხო, აუქციონი კარგი აზრია...

**ვაიოლეთი:** ისე, ზოგი ნივთი, მაგალითად, ვერცხლეული საკმაოდ ძვირიანია. თუ გინდათ, მოგყიდით, შედარებით იაფად.

**ბარბარა:** ან იქნებ აუქციონს თავი ვერ მოაბა და რომ მოკვდები, ისედაც ჩვენ დაგვრჩება, უფასოდ.

**აივი:** ბარბარა... (პაუზა. ვაიოლეთი ცივი მზერით აკვირდება ბარბარას)

**ვაიოლეთი:** ხო, გქონდეს მაგის იმედი.

**პატარა ჩარლზი:** ბილ, უკაცრავად, და რა მაინტერესებს, აი, ის ნაწერები, რაც იპოვე, ის ლექსები...

**ვაიოლეთი:** ბილ, შენ სად ცხოვრობ ახლა? ეს ძველი კომოდი ხომ არ გინდა?

**ბილი:** უკაცრავად?

**ვაიოლეთი:** შენ და ბარბარა დაშორდით, ხო? თუ უკვე ოფიციალურადაც გაეყარეთ? (ისევ სიჩუმე)

**ბილი:** დროებით დავშორდით.

**ვაიოლეთი:** (ბარბარას) გეგონა, მაგას გამომაპარებდი, არა?

**ბარბარა:** რა გჭირს?

**ვაიოლეტი:** მე ვერავინ ვერაფერს გამომაპარებს. ყველაფერი ვიცი და მესმის. მამაშენს ეგონა, გამომაპარებდა, არა? გამორიცხულია. ძალიან ვწუხვარ, რომ პრობლემები გაქვთ... იქნებ მოაგვაროთ როგორმე. მე და ბევრელიც დავმორებულვართ ერთი ოჯერს... თუმცა, მაშინ ეგრე არ ემახდნენ ამას...

**ბარბარა:** ხო,მიდი, ახლა შენი სამაგალითო ქორწინების ლამაზი დეტალებით გვასიამოვნე...

**ვაიოლეტი:** სიმართლე თუ გინდა, საყვარელო, უნდა აღიარო, რომ შენზე ახალგაზრდა ქალს ვერ აჯობებ, გამორიცხულია. აი, ასე უსამართლოდაა ცხოვრება მოწყობილი. ხო შენზე ახალგაზრდა ქალთან წავიდა, არა?

**ბარბარა:** მე მგონი, უკვე ამ თემაზე საკმარისად ილაპარაკე... მგონი...

**ბილი:** ხო, ის ქალი ახალგაზრდაა.

**ვაიოლეტი:** აი... ხედავთ? წაგებული ხარ, შვილო.

**აივი:** დედა დარწმუნებულია, რომ ქალები ასაკთან ერთად უფრო მიმზიდველები არ ხდებიან.

**კარენ:** ოჰ, არ ვეთანხმები... მე...

**ვაიოლეტი:** მე ეგრე არ მითქვამს, „უფრო მიმზიდველები არ ხდებიან“-მეთქი. მე ვთქვი, მახინჯდებიან მეთქი. და კარენ, საყვარელო, ვინ რას ეთანხმება, ეგ არაფერ შუაშია. აი, შენ ამის შესანიშნავი მაგალითი ხარ.

**ჩარლი:** დღეს მაგად ფორმაში ვარ, ვაი.

**ვაიოლეტი:** ისეთი დღეა, რომ მიწევს, არა? შენ როგორ ფორმაში გრიჩევივარ?

**ჩარლი:** ვერ ვხდები, რატომ იკბინები?

**ვაიოლეტი:** უბრალოდ სიმართლეს ვამბობ. (გახედავს ბარბარას) სიმართლეზე ზოგიერთები აცრილები არიან.

**ჩარლი:** აქ ყველას უყვარხარ, ძვირფასო.

**ვაიოლეტი:** რა გგონია, რომ შემარცხვენ, ჩარლი? ტრაკში გაირჩე ეგ შენი სიტყვები.

**ბარბარა:** სამი დღის წინ... მამაჩემის გვამის ამოსაცნობად წამიყვანეს. ახლა აქ ვზივარ და ვუსმენ, როგორ იგესლები და თავს ესხმი ოჯახის ყველა წევრს. (ვაიოლეტი წამოდგება, ბოლო ხმაზე ღირალებს)

**ვაიოლეტი:** „ჩემს ოჯახს თავს ვესხმი“? შე გათავხედებულ გოგო, შენ რა იცი, ოჯახზე თავდასხმა რას ნიშნავს? მეტი ფეი, მიდი ერთი, მოუყევი, როგორია ნამდვილი თავდასხმა.

**მეტი ფეი:** ვაი, გთხოვ...

**აივი:** დედა, დაწყნარდი.

**ვაიოლეტი:** ნუ მაწყნარებ! ინვალიდი კი არა ვარ! არ მჭირდება თქვენი მიმღებლობა. უკვე ჩამომწერეთ, ხო?

**მეტი ფეი:** საყვარელო...

**ვაიოლეტი:** (მეტი ფეისკენ იშვერს ხელს) აი, ამ ქალმა გადამარჩინა, როცა დედაჩვენის უამრავი კაციდან ერთ-ერთი ჩაქუჩით მომდეგდა! აი, ამ ქალს თავის ქალაზე ახლაც ეტყობა ჩაქუჩის დარტყმის კვალი! და შენ გგონია, ვინმე მართლა გესხმის თავს? აზრზე არა ხარ, როგორია აქაური ცხოვრება. აზრზე არა ხარ, რა არის ნამდვილი განსაცდელი.

**ბარბარა:** ვიცი, რომ საშინელი ბავშვობა გქონდა, დედა. და ვის არ გექონდა, რო?

**ვაიოლეტი:** არაფერიც არ იცი! არ იცი-მეთქი! არცერთმა არ იცით! მარტო ამ ქალმა და იმ კაცმა, დღეს რომ დავმარხეთ! საყვარელი გოგო, საყვარელი ბარბარა, გული მისკდება ყოველ ჯერზე, როცა რაღაც გტკივა. ნეტა შენი დაცვა შემემძლოს. ოღონდ, ერთი წამით მაინც თუ გგონია, რომ გესმის, ნამდვილი ტკივილი რას ნიშნავს, ძალიან ცდები. იცი, სად ცხოვრობდა მამაშენი ოთხიდან ათ წლამდე? იცი? (არავინ პასუხობს) იცი?

**ბარბარა:** არა.

**აივი:** არა.

**ვაიოლეტი:** დედამისთან მამამისთან ერთად დამპალ მანქანაში. ახლა კიდევ თქვენს საშინელ ბავშვობაზე უნდა იწუწუნოთ, არა? ძალიან გვიჭირდა, მაგრამ მაინც ბევრს მივაღწიეთ. ყველაფერი თქვენ შემოგწირეთ. მე და მამაშენს მთელ სანათესაოში პირველებს გექონდა უმაღლესი განათლება და ბოლოს, აღიარებული პოეტი გახდა. თქვენ, გოგოებო, უფასოდ მიიღეთ განათლება და რა გამოვიდა თქვენგან? (კარენისკენ გაიშვერს თითს) შენ რას საქმიანობ? (აივისკენ) ან შენ რას საქმიანობ? (ბარბარაზე) შენ რას წარმოადგენ? ღმერთო, ისე რომ გემრომათ, როგორც ჩვენ ვიკლავდით თავს, პრეზიდენტები გახდებოდით. ნამდვილი პრობლემები არასოდეს არ გქონიათ, ამიტომ ძალით იგონებთ რაღაცეებს.

**ბარბარა:** რატომ გვიყვირი?

**ვაიოლეტი:** დროა, ერთმანეთს სიმართლე ვუთხრათ. ამ საშინელ დღეს, ბოლოს და ბოლოს, ერთმანეთს ვუთხრათ სიმართლე.

**ჩარლი:** კარგი, მე ვიტყვი სიმართლეს - იმდენი ვჭამე, სუნთქვა მიჭირს.

**სტივი:** ამენ.

**ჯონა:** დესრეტიც გვაქვს.

**კარენი:** ხო, ნამცხვრები დავინახე, ძალიან გემრიელი ჩანს.

(პატარა ჩარლზი უცებ წამოდგება)

**პატარა ჩარლზი:** მე ვიტყვი სიმართლეს.

**ვაიოლეტი:** ამან ლაპარაკიც იცის?

(ჩარლზი აივის გადახედავს)

**აივი:** (მუდარით) არა, არ გინდა...

**ჩარლი:** რა იყო, შვილო?

(სიჩუმე)

**მეტი ფეი:** პატარა...?

**პატარა ჩარლზი:** მე...

**აივი:** (თითქოს თავისთვის) ჩარლზ, არ გინდა...

**პატარა ჩარლზი:** მოკლედ, სიმართლე თუ გინდათ იცოდეთ... მალვიძარას დაყენება დამავიწყდა. ამ დილით. დენი არ წასულა, მე უბრალოდ.. მალვიძარას დაყენება დამავიწყდა. მაპატიე დედა, ყველამ მაპატიეთ. მაპატიეთ... მე... მე... (გადის ოთახიდან)

**ვაიოლეტი:** აი, ყოჩაღ.

(ჩარლი მეტი ფეის გადახედასვ)

**მეტი ფეი:** რა აზრი აქვს, მე უკვე დიდი ხანია, ხელი ჩავიქნიე. პატარა ჩარლზი შენი გაზრდილია.

**აივი:** (ლამის ტირის) ჩარლზი. ჩარლზი ქვია. (ოჯახი ჩუმად სადილობს. ვაიოლეტი აივის ხელზე მიეფერება)

**ვაიოლეტი:** საწყალი აივი. საწყალი გოგო.

**აივი:** დედა, გთხოვ...

**ვაიოლეტი:** ჩემი საწყალი პატარა.

**აივი:** გთხოვ...

**ვაიოლეტი:** ყოველთვის ეგეთი უხეიროები მოსწონდა.

**აივი:** გეხვეწები, არ მაწყენინო, კარგი?

**ვაიოლეტი:** საიდან მოიტანეთ, რომ თქვენი წყენინება მინდა?

**აივი:** დედიკო, გთხოვ.

**ვაიოლეტი:** ხომ გითხარი, უბრალოდ ვიტყვი, რომ...

**ბარბარა:** ნარკომანი ხარ.

**ვაიოლეტი:** აი, ეს სიმართლეა! სწორედ ეგ მინდოდა! ყველამ მომისმინეთ... მე ნარკომანი ვარ. ნარკოტიკებზე ვარ დამოკიდებული, ტაბლეტებზე, განსაკუთრებით დამამშვიდებლებზე. (ჯიბიდან ტაბლეტების შუშას ამოიღებს, მალა ასწევს) აი, ამ პატარა ლურჯ საყვარლობებს ხომ ხედავთ? აი, ეგენი არიან ჩემი საუკეთესო მეგობრები და ეგენი არასოდეს არ მღალატობენ. აბა, სცადეთ, რომ წამართვათ, ცოცხლად გაგატყავებთ!

**ბარბარა:** მომეცი ახლავე...

**ვაიოლეტი:** ცოცხლად გაგატყავებ-მეთქი! (ბარბარა წაეტანება ბოთლს, ეჭიდავება ვაიოლეტს. ბილი და აივი ცდილობენ, გააკავონ ბარბარა. მეტი ფეი ვაიოლეტს აკავებს. ყველანი წამოდგებიან, სპონტანური შემახილებით)

**სტივი:** რა ჯანდაბაა...

**აივი:** ბარბარა, გეყოფა!

**ჩარლი:** გაჩერდით, ახლა, გაჩერდით!

**კარენი:** ო, ღმერთო!

(ვაიოლეტი გამოსტაცებს შუშას ბარბარას. ბილი ბარბარას სკამზე დასვამს. ვაიოლეტი ბოთლს შეანჯღრევს, ბარბარას აბრაზებს. ბარბარა წაეტანება, კივის, წინ გაიჭრება, თმით ითრევს ვაიოლეტს, სკამებს გადააყირავებს. მთელ სახლს დალეწავენ, ოჯახის წევრები უკან მისდევენ. ნამდვილი საგიჟეთია, კივილი. ბარბარა აბრჩობს ვაიოლეტს. ბილი და ჩარლი დიდი ძალისხმევით შედეგად დააშორებენ ქალებს. მეტი ფეი და ჯონა ვაიოლეტს მიცვიდვებიან)

**ვაიოლეტი:** (ტირის) ჭირი და ჯანდაბა შენ... ბარბ... ჯანდაბა...

**ბარბარა:** ენა ჩაიგდე!!! (სხვებს) კარგი. რეიდი უნდა მოვაწყოთ. ჯონა, შენ სამზარეულოში დამეხმარე. ბილ, აივი და ჯინი ზემოთ აიყვანე. (აივის) ხომ გახსოვს, რაც უნდა გავაკეთოთ, არა?

**აივი:** კი...

**ბარბარა:** (ჯინს) ყველაფერი. ყველაფერი გაჩხრიკეთ, ყველა უჯრა, ფეხსაცმლის ყუთი, თარო. პირად ნივშტებში ჩაძვერი. ყველაფერი, რაც ოდნავ მაინც საეჭვოდ მოგეჩვენება, ერთ ყუთში ჩაყარე და მერე მივხედავთ. გასაგებია?

**ჩარლი:** ჩვენ რა ვქნათ?

**ბარბარა:** მაგარი ყავა დაალევინეთ, სველი პირსახოცი დაადეთ და უსმინეთ მაგის სისულელეებს. კარენ, ექიმ ბერკს დაურეკე.

**კარენი:** რა ვუთხრა?

**ბარბარა:** უთხარი, რომ სახლში ავადმყოფი ქალი გვყავს.

**ვაიოლეტი:** რა უფლებით! ეს ჩემი სახლია! ეს ჩემი სახლია!

**ბარბარა:** კიდევ ვერ შეიგნე, ხო? (ადრენალინი მოაწვება, ვაიოლეტს მივარდება, თავზე დაადგება) ახლა მე ვარ აქ უფროსი!

(სიბნელე)

მეორე მოქმედების დასასრული



## მესამე მოქმედება

### სცენა 1

*დარაბები მოხსნილია. ღამე ფაჯრებიდან ოთახში აღწევს.*

*ფარდის გახსნისას: სამივე და კაბინეტშია. ბოთლ ვისკის ერთად სვამენ. გასაბერ მატრასზე თხელი წერაზი აფენია, კაბინეტის იატაკზე დევს.*

*დანარჩენ სახლში: სასადილო ოთახში კარტს თამაშობენ - ჩარლი და მეტი ფეი ჯინისა და სტივის წინააღმდეგ. პატარა ჩარლზი მარტო ზის მისაღებ ოთახში, ტელევიზორს უყურებ. ბილი ქალაქებში იქექება ვერანდაზე. ვაიოლეტი, დამწუხრებული სახით, პერანგში ჩაცმული, თავზე პირსახოცმობვეული, ფანჯარასთან ზის მეორე სართულზე.*

**კარენი:** ექიმმა მართლა თქვა, რომ დასაწვენია? მართლა აუცილებელია? გასინჯა?

**ბარბარა:** ექიმმა ბერკმა თქვა, შეიძლება ტვინი ჰქონდეს დაზიანებულიო. „ტვინის მსუბუქი დაზიანება“. მე ვუთხარი, „მსუბუქად არაკომპენეტური“ ხართ-მეთქი, და იმედია, ძალიან მალე „მსუბუქად მოკვდებით“-მეთქი. ვითომ არ იცოდა, ამდენ წამალს რომ ყლაპავდა. ამიტომ უნდა, რომ მოგვაშოროს, ეშინია, ექიმის უფლებების ბოროტად გამოყენებისთვის არ ვუჩივლოთ. ვუთხარი, გიჩივლებთ-მეთქი. უპასუხისმგებლო ნაგავი ეგ.

**კარენი:** ამდენ რეცეპტს რატომ უწერდა? არ იცის, რომ...?

**ბარბარა:** მარტო ეგ კი არ უწერდა, ყველა კუთხეში ექიმი ყავს...

**აივი:** ასე იქცევა ხოლმე: მიდის ექიმთან, ხერხემლის სპაზმები მაწუხებსო, და რეცეპტს აწერინებს. ერთ ორ დღეში მიბრუნდება, რეცეპტი დავკარგეო და ხელახლა აწერინებს. მერე შემდეგ კვირას ვითომ კუნთი დაეჭიმა, ტაბლეტებს უმატებენ, მერე დოზირება არასწორია, კიდევ უმატებენ, სულ უმატებენ და უმატებენ, სანამ ძალიან არ შეაწუხებს და ექიმი ეტყვის, მორჩა მეტ რეცეპტს აღარ გამოგიწერო. მაშინ ჩანთიდან რეცეპტების დასტას ამოიღებს და ეუბნება: „ექიმების ასოციაციაში გიჩივლებ და სასამართლოში მიგათრევ ზედმეტი რეცეპტების გამოწერისთვის.“ მართლა ემუქრება ამ კაცებს და ისინიც ნებდებიან.

**ბარბარა:** (აივის) და შენ იცოდი, რომ ისევე ჩაეშვა? (აივი მხრებს აიჩეჩავს) დღეს სხვა ტაქტიკა ჰქონდა, საბრალო უმანკოება, ორანჟერეაში დამჭკნარი ყვავილი. მე ბეტი დევისად გამომიყვანა. ვეცადე წამექეზებინა, „მიდი, დე, მოარტყი შენი მონოლოგი, რა დიდებული თაობა ხართ. ჩაქურჩის ამბავი მოუყევი“. მაგრამ ისე გამომიყვანა, თითქოს ყველაფერი მოვუგონე.

**აივი:** ეგ არ უშველიდა მაინც, ექიმი ბერკიც მაგ თაობის კაცია.

**ბარბარა:** „დიდებული თაობა“ არა ჩემი ფეხები. მართლა ყველა სხვა თაობას ითვალისწინებენ? იქნებ რამე პრეისტორიულ ხანაში იყო ისეთი თაობა, რომელიც ამათსას ჯობდა. ან მაინც რითი არიან ასეთი დიდებულები? რაღაი ღარიბები იყვნენ და ნაცისტები ეზიზღებოდათ? ვის არ ეზიზღება ნაცისტები? გახსოვს, ერთხელ ფსიქიატრიულში რომ წავათრიეთ, რა ეშმაკობა გააძრო?

**აივი:** ეგ როდის?

**კარენი:** მე იქ არ ვყოფილვარ.

**ბარბარა:** სიტყვით რომ გამოვიდა, უნდა შევეშვაო, ამ მსხვერპლზე ჩემი ოჯახის გამო მივდივარო...

**აივი:** ხო, ჩემი ოჯახი დავაღალატე, მაგრამ ახლა მინდა დავამტკიცო, რომ ოჯახის ღირსეული წევრი ვარო...

**ბარბარა:** დარვოცეტი შეაპარა ჩუმად ფსიქიატრიულში... ვაგინით. აგერ ბატონო, შენი დიდებული თაობა. ამ სიტყვით გამოდიოდა და ამ დროს, ფუჩუკებში წამლების შუშა ედო და მაგრად უჭერდა, რაზე მელაპარაკებით საერთოდ.

**კარენი:** ღმერთო, ეგ ამბავი არ ვიცოდი.

**აივი:** მოიცა, რა თქვი, „ფუჩუკებიო“?

**ბარბარა:** აბა, დედას ფუჩურს ხომ არ ვიტყვოდი. ცუდად ჟღერს.

**აივი:** „ფუჩუკები“ უფრო ადვილი სათქმელია, ხო?

**ბარბარა:** აბა, რა სიტყვა გამოვიყენო დედაჩვენის ვაგინის აღსანიშნავად?

**აივი:** არ ვიცი, მაგრამ....

**ბარბარა:** „დედიკოს თახვი?“ „დედიკოს უჯრა?“

**აივი:** ო, ღმერთო...

**კარენი:** ბარბარა! (იციინან, სიცილი წყდება) ძალიან მეწყინა შენი და ბილის ამბავი.

**აივი:** მეც, ბარბ.

**ბარბარა:** ჩემი ნება რომ ყოფილიყო, ვერასოდეს გაიგებდით.

**კარენი:** როგორ ფიქრობ, დროებითი ამბავია თუ...?

**ბარბარა:** ვინ იცის. იმდენი წელია, ცოლ-ქმარი ვართ.

**კარენი:** აი, დედას და მამას მაგას ნამდვილად ვერ დაუკარგავ. ქედვს ვიხრი ყველას წინაშე, ვინც ამდენ ხანს ინარჩუნებს ქორწინებას.

**აივი:** კარენ, მამამ თავი მოიკლა.

**კარენ:** ხო, მაგრამ მაინც.

**ბარბარა:** მოიცა, ეს მითხარი, შენ და პატარა ჩარლზს რამე გაქვთ?

**აივი:** არ მსიამოვნებს ამაზე ლაპარაკი.

**ბარბარა:** იმიტომ, რომ ჩვენი ალალი დეიდაშვილია.

**აივი:** მოიცა რა.

**კარენი:** ხომ იცით, რომ ბავშვებზე არც უნდა იფიქროთ.

**აივი:** თითქმის ორმოცდახუთის ვარ, კარენ, ძალიან დიდი ხანია, ბავშვებზე აღარ ვფიქრობ. თანაც, ორი წლის წინ საშვილოსნო ამოვიჭერი.

**კარენი:** რატომ?

**აივი:** ყელის კიბო.

**კარენი:** არ ვიცოდი.

**ბარბარა:** არც მე.

**აივი:** ჩარლზის გარდა არავისთვის არ მითქვამს. მაგ დროს დავიწყეთ ურთიერთობა.

**ბარბარა:** და რატომ? რატომ არავის არ უთხარი?

**აივი:** და მერე მთელი ცხოვრება დედაჩემის კომენტარები მესმინა? მეტი კი არ უნდა, ეგრევე ჩამოწერილი საქონელი გავხდებოდი მისთვის.

**ბარბარა:** ჩვენთვის მაინც გეთქვა.

**აივი:** შენი და ბილის ამბავიც არ მოგიყოლია ჩვენთვის.

**ბარბარა:** ეგ სხვა რამეა.

**აივი:** რატომ? იმიტომ, რომ შენ გეხება და არა მე?

**ბარბარა:** არა, იმიტომ, რომ განქორწინება დამარცხების სამარცხვინო აღიარებაა. კიბო კიდევ კიბოა, ამის დედა ვატირე, ვერაფერს ვერ იზამ. ჩვენ შენი დები ვართ. ცოტა მხარში დაგიდგებოდით.

**აივი:** მაგ კავშირს მაინცდამაინც ვერ ვგრძნობ.

**კარენი:** მე ორივესთან ვგრძნობ კავშირს.

**აივი:** (ხალისდება) თითქმის ვერ გხედავთ, არასოდეს არ ჩამოდიხარ, არც მაშინ ჩამოსულხარ, როცა...

**კარენი:** მაინც ვგრძნობ ამ კავშირს და რა გავაკეთო!

**აივი:** ესე იგი, თუ მხოლოდ გონებით ხარ მიბმული აქაურობას, ჩამოსვლა საჭირო არაა, ხო.

**კარენი:** როგორ კარგად მიცნობ.

**აივი:** არ გიცნობ და სწორედ მაგას ვამბობ. აღარ შემიძლია ამ ოჯახური კავშირების და დების სიახლოვეზე მითები. უბრალოდ ადამიანები ვართ და შემთხვევით საერთო გენები გვაქვს, რაღაც უჯრედების კომბინაცია. მეტი არაფერი.

**ბარბარა:** ასეთი ცინიკოსი როდიდან გახდი?

**აივი:** და შენ მეუბნები მაგას?

**ბარბარა:** „რაღაც უჯრედების კომბინაცია“ მაინც ნამეტანია.

**აივი:** შეიძლება ჩემი ცინიზმი იმან გააღვივა, რომ მივხვდი, მშობლებზე ზრუნვა მე ერთადერთს შემეტენა.

**ბარბარა:** აი, ახლა ეგ არ დაიწყო. ყველაფერში ვმონაწილეობდი...

**აივი:** სანამ არ მოგბეზრდა და წახვედი, შენც და კარენიც.

**ბარბარა:** ჩემს საკუთარ ოჯახზე უნდა მეზრუნა.

**ბარბარა:** ეგ რა გამართლებაა. გეგონება, ბავშვის გაჩენა ყველა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებს.

**ბარბარა:** აჰა, ახლა შვილოსნობის გამო დამიწყეს კრიტიკა.

**აივი:** არ გაკრიტიკებ. რაც გინდა ის აკეთე. შენც და კარენმაც.

**ბარბარა:** და შენ თუ არ გიკეთებია, ეს სულაც არაა ჩემი ბრალი.

**აივი:** მართალია, ხოდა, არ გვინდა ეს დები და კავშირი და ასეთი ლაპარაკი, კარგი? არ ჭრის ეგ ჩემზე. ძალიან დიდი ხანია უკვე. როცა აქედან წავალ და არასოდეს არ დავბრუნდები, თქვენ ორის არ იყოს, არც მე ვიგრძნობ თავს დამანაშავედ.

**კარენი:** ვინ გითხრა, რომ არ ვგრძნობთ?

**ბარბარა:** აქედან გადადიხარ?

**აივი:** მე და ჩარლზი ნიუ-იორკში გადავალთ. (ბარბარა ახარხარდება)

**ბარბარა:** ნიუ-იორკში რა ჯანდაბა უნდა აკეთოთ?

**აივი:** გეგმები გვაქვს.

**ბარბარა:** სახელდობრ?

**აივი:** რა შენი საქმეა.

**ბარბარა:** ასე უბრალოდ ნიუ-იორკში ვერ გადახვალ.

**აივი:** კაპრიზი კი არ არის. მართლა გატაცებული ვარ. აქამდე სხვასთან მსგავსი არაფერი არ მიგრძენია. მე და ჩარლზს რაღაც ძალიან იშვიათი, განსაკუთრებული გრძნობა გვაქვს, რაც საერთოდ იშვიათია.

**კარენი:** და რა გრძნობაა ასეთი?

**აივი:** გვესმის ერთმანეთის.

**ბარბარა:** დედას რას უპირებ?

**აივი:** რას უნდა ვუპირებდე?

**ბარბარა:** დედას აქ რომ ტოვებ, ეგ არ გაწუხებს?

**აივი:** შენ არ გაწუხებს? (პასუხი არ არის) შენი აზრით, სანამ მამა ცოცხალი იყო, არ უჭირდა? და წარმოიდგინე, აწი რა იქნება. ერთი თვე რომ გავა, რამდენიმე თვე, მერე

წლები, ვერ წარმოიდგენ რა მოხდება. ან მხოლოდ შენს თავს წარმოიდგენ, შენ ხომ მისი საყვარელი ქალიშვილი ხარ.

**ბარბარა:** ღმერთო, ამასწინათ დედამაც ეგ წამომამახა, მამაშენს ყველაზე მეტად უყვარდიო.

**აივი:** ტყუილია ეგ. მამას შენ კი არა, მე ვუყვარდი ყველაზე მეტად. შენ დედას უყვარხარ.

**ბარბარა:** რაა?

**კარენი:** დიდი მადლობა, აივი.

**აივი:** რა, არ გჯერა? ღმერთო, აივი, მთელი ცხოვრება მაგ ცოდნით ვიცხოვრე.

**ბარბარა:** ასე მითხრა, მამაშენს ძალიან დაწყდა გული, როცა ბოლდერში გადახვედიო....

**აივი:** მამას კი არა, დედას დაწყდა გული. დარწმუნებული იყო, რომ მას გაექცედი.

**კარენი:** შენ თუ მამას საყვარელი შვილი იყავი, ესე იგი, თვითმკვლელობა ძალიან ახლოს მიიტანე გულთან.

**აივი:** მამას თავის მოსაკლავად თავისი მიზეზები ჰქონდა.

**ბარბარა:** მაინც რა მიზეზები?

**აივი:** არ ვიცი, გამოცნობა არ შემძლია.

**ბარბარა:** არ უბრაზდები?

**აივი:** არა, საკუთარი თავის გარდა პასუხს არავის წინაშე არ აგებდა. თუ ახლა უკეთ გრძნობს თავს, და ამაში ეჭვი არ მეპარება, ჩვენ რა უფლება გვაქვს, განვიკითხოთ?

**ბარბარა:** მისი ქალიშვილები ვართ.

**კარენი:** ჰო...

**ბარბარა:** მე კიდევ ვცოფდები. ნაბიჭვარი ეგოისტი, უთქმელი, მელანქოლიკი... შეეძლო, ჩემი ხართრით, ჩვენი ხართრით, ჩვენი ყველას ხართრით, ხომ შეეძლო დაგვხმარებოდა, გაეზიარებინა, ელაპარაკა ჩვენთან.

**აივი:** არა მგონია, მოგწონებოდა, რასაც გეტყოდა. სიმართლე თუ გინდა, ბევრლი უესტონს არასოდეს არ მოსწონდი. როგორი მოსასმენია? არცერთი ჩვენგანი არ მოსწონდა, თავისი არცერთი შვილის მიმართ არაფერს განსაკუთრებულს არ გრძნობდა.

**ბარბარა:** ეგრე არ იყო და შენ ეს იცი.

**აივი:** ვიცი? საიდან? ან შენ საიდან იცი?

**კარენი:** აკი მე გამორჩეულად ვუყვარდიო?

**აივი:** მხოლოდ იმიტომ, რომ მონათესავე სული იპოვა ჩემში.

**ბარბარა:** ბოდიში, მაგრამ ეგ შენი თეორია „შემთხვევით გენებზე“, ჩემთვის სისულელეა. მჯერა, რომ თავისი თავის გარდა რაღაც მეტზე გრძნობდა პასუხისმგებლობას; ჩვენ ყველანი ასე ვართ მოწყობილი.

**აივი:** კი, კი, გჯეროდეს.

**კარენი:** ვერ ვიჯერებ, რომ ეგეთი შავზნელი აზრები გაქვს.

**აივი:** შენ ფლორიდაში ცხოვრობ.

**ბარბარა:** როდის მიდიხართ შენ და პატარა ჩარლზი?

**აივი:** რამდენიმე კვირაში, ან დღეში. და ჩარლზი ქვია მაგას.

**ბარბარა:** დედას ეტყვი?

**აივი:** ვცდილობ, მოვაგვარო ეგ ამბავი.

**ბარბარა:** სამსახურს ან სახლს რას უპირებ?

**აივი:** სანამ შენ აქაურობის უფროსად დაინიშნავდი თავს, მე უკვე დიდი ხანია, დამოუკიდებლად ვცხოვრობ. კარენ, შენ მაიამიში დაბრუნდები, არა?

**კარენი:** ხო. (ვაიოლეტი ჩამოდის კიბეზე)

**აივი:** აჰა, ხომ ხედავ, ბარბ. გინდა იცოდე, დედას რას ვუპირებთ, არა? მე და კარენი მივდივართ. თუ გინდა, რომ დარჩე და მიხედო, შენი გადასაწყვეტია; თუ არ გინდა, ეგეც შენი ნებაა. მაგრამ ძალიან გთხოვთ, თითო ჩემკენ ნუ იშვერთ. ნურცერთი. (ცოტა მოყანყალეული, მაგრამ მაინც ფხიზელი ვაიოლეტი შემოდის, სმუბუქად აკაკუნებს)

**ვაიოლეტი:** უკაცრავად? ხელი ხომ არ შეგიშალეთ? (მოზოდისებები ისმის, „არა, რას ამბობ, შემოდი“ და ა.შ.)

**ბარბარა:** იბანავე?

**ვაიოლეტი:** აჰა.

**ბარბარა:** გინდა რამე ჭამო ან დალიო?

**ვაიოლეტი:** არა.

**ბარბარა:** ყავა ხომ არ გინდა?

**ვაიოლეტი:** არა, საყვარელო, კარგად ვარ. (დაჯდება, ამოისუნთქავს. კარენი ხელის კრემს იღებს, ხელებზე შეიზელს) ჩემი გოგოები ერთად არიან ამ სახლში. თქვენი ხმების გაგონებაზე სითბო მეღვრება გულში. ამ კედლებს ალბათ იმდენი საიდუმლო მოუსმენიათ.

**კარენი:** მაგის გაფიქრებაზეც კი ვწითლდები.

**ვაიოლეტი:** ოჰ... ნუ გრცხვენია. საიდუმლო სასიყვარულო ისტორიები, შეთქმულებები... პატარა პროვინციელი გოგოების ცხოვრება. რა უნდა იყოს ამაზე სათუთი, ტკბილ-მწარე. რაღაცით ჩემს თავს მაგონებთ... სულერთია, რამდენი წლის ხარ, ქალი სულ წნეხში ხარ და გაიძულევენ, შენში ჩამალული გოგონა მოიშორო... (კარენს, ხელის კრემზე) რა კარგი სუნია აქვს.

**კარენი:** ხო, არა? ვაშლისაა. გინდა?

**ვაიოლეტი:** კი, თუ შეიძლება. (კარენი გადასცემს კრემს) რეიმონდ კუოლსის ამბავი როდესმე მომიყოლია? დიდი ვერაფერი ამბავია. დაახლოებით ცამეტი წლის ვიყავი, ეგ ბიჭი საშინლად მომწონდა. უხეში ტიპი იყო, მოდურ ჯინსებში, აჩეილი თმით. თავში ჰქონდა ავარდნილი. კოვბოს ჩექმები ჰქონდა, პრიალა შოკოლადისფერი ტყავის. ისე ამაცობდა მაგ ჩექმებით, ძალიან ეტყობოდა, ისე ამაცად დააბიჯებდა, მამალივით იბლინძებოდა. გადაწყვიტე, რომ ზუსტად ეგეთი ჩექმები მინდოდა, ოღონდ გოგოს მოდელი. დარწმუნებული ვიყავი, იმ ჩექმებში რომ დამინახავდა, იმწამსვე მეტყოდა: „აი, საჩემო გოგო ხარო!“. ცენტრში დავინახე, მაღაზიაში და კინალამ გავვიყუდი: ღამლამობით საწოლში ვიჯექი გვიანამდე, იმ ჩექმებზე ვლოცულობდი და წინასწარ რეპეტიციას გავდიოდი, რა უნდა მეთქვა რეიმონდისთვის, როცა იმ ჩექმებში დამინახავდა. ასჯერ მაინც ვთხოვე დედას, მიყიდე-მეთქი. „საშობაო საჩუქრად რა გინდა, ვაი“ „დედიკო, არაფერი არ მინდა მაგ ჩექმების გარდა“. ვევაჭრებოდი რა. გადაკვრით მითხრა, ძალიან ლამაზ ქალადში შეგიფუთე საჩუქარი, ნამვის ხის ქვეშ დაგხვდებო, დაახლოებით ჩექმის ყუთის ზომააო. „ოღონდ, ვაი, იცოდე, არ იეშმაკო და შობა დილამდე არ ჩახედო.“ და ოდნავ შესამჩნევად გაეღიმა. შობა დილას გიჟივით წამოვფრინდი, მივვარდი ნამვის ხესთან, ყუთი გავგლიჯე. კი, ნამდვილად ჩექმები იყო... კაცის სამუშაო ჩექმები, თითებთან დაგლეჯილი, ჭუჭყიანი თასმებით, ტალახში და ძაღლის ძღწერში ამოსვრილი. ღმერთო, დედაჩემი კინალამ მოკვდა სიცილით. (სიჩუმე)

**ბარბარა:** არ მითხრა, რომ ასე დასრულდა ეგ ამბავი.

**ვაიოლეტი:** კი, ასე დასრულდა.

**კარენი:** ის ჩექმები არ უჩუქებიათ?

**ვაიოლეტი:** არა. ჰაჰაჰაჰა.

**ბარბარა:** ხოო, ამაზე საშინელი არაფერი არ მომისმენია. ამასთან შედარებით ჩაქუჩის ამბავი პირდაპირ ძილის წინ მოსაყოლი ტკბილი ზღაპარია.

(სახლის დანარჩენ ნაწილებში: ჯინი და სტივი თამაშ მოიგებენ და გამარჯვების ნიშნად ყიჟინას დასცემენ. მოთამაშეები დაიშლებიან)

**ვაიოლეტი:** არა. არა. ჩემი დედიკო დიდი საძაგელი ბებრუხანა იყო. ეტყობა, მეც მაგისგან გამომეყვა. (უხერხული მომენტია)

**კარენი:** შენ არ ხარ საძაგელი. დედაჩვენი ხარ და გვიყვარხარ.

**ვაიოლეტი:** მადლობა, საყვარელო. (კარენი ლოყაზე აკოცებს)

**ბარბარა:** თქვენა, დედას უნდა დაველაპარაკო ერთი წუთით.

**კარენი:** კი ბატონო. (აივი და კარენი გადიან)

**ბარბარა:** თავი როგორ გაქვს?

**ვაიოლეტი:** კარგად ვარ, ბარბ. ნუ ღელავ.

**ბარბარა:** მაპატიე.

**ვაიოლეტი:** გთხოვ, საყვარელო...

**ბარბარა:** არა, ეს აუცილებლად უნდა გითხრა. წყობიდან გამოვედი და ზედმეტი მომივიდა.

**ვაიოლეთი:** ბარბარა. ისეთი დღე იყო, დაკრძალვა.... ტაბლეტები. ვცდილობდი, ჩხუბში გამომეწვია და მივიღე, რაც მეკუთვნოდა.

**ბარბარა:** მოკლედ... ზავი დავდოთ?

**ვაიოლეთი:** (იციინის) ჰო, მორჩა ომი.

**ბარბარა:** რას აპირებ?

**ვაიოლეთი:** რას გულისხმობ?

**ბარბარა:** არ ფიქრობ, რომ სადმე სარეაბილიტაციო ცენტრში უნდა დაწვე, ან...

**ვაიოლეთი:** არა, მაგას ვერ გადავიტან. არ შემიძლია. დარწმუნებული ვარ, რომ ვერ გავუძლებ.

**ბარბარა:** მართლა?

**ვაიოლეთი:** კი. აი, შეხედე, ჩემი ტაბლეტები ხომ გადაყარე, არა?

**ბარბარა:** ყველაფერი, რაც ვიპოვეთ.

**ვაიოლეთი:** არც იმდენი სამალავი მაქვს.

**ბარბარა:** დედა, გთხოვ.

**ვაიოლეთი:** გინდა, გამჩხრიკო?

**ბარბარა:** არა...

**ვაიოლეთი:** თუ ტაბლეტები აღარ მექნება, კარგად ვიქნები. რამდენიმე დღე მჭირდება გონზე მოსასვლელად.

**ბარბარა:** ვერც კი წარმოვიდგენ, ალბათ რას გრძნობ ახლა. მინდა იცოდე, რომ მარტო არა ხარ. (პასუხი არაა) როგორ დაგეხმარო?

**ვაიოლეთი:** არ მჭირდება დახმარება.

**ბარბა:** მე მინდა, რომ დაგეხმარო.

**ვაიოლეთი:** არ მჭირდება მეტი შენი დახმარება.

**ბარბარა:** დედა.

**ვაიოლეთი:** არ მჭირდება შენი დახმარება. როგორღაც აქამდეც გადამიტანია...

(შეჩერდება, თავს აკონტროლებს) ვიცი, როგორც ხდება ხოლმე: როცა ყველა ყველაფერს ამოთქვამს, რისი თქმაც უნდოდა, ყველანი თავიანთ სისულელებს უბრუნდებიან.

ზუსტად ვიცი. ასე რომ, ჩემზე ნუ დარდობ. ვიზამ რამეს. მოვახერხებ როგორმე.

(განათება გადადის მისაღებ ოთახზე, სადაც პატარა ჩარლზი ტელევიზორს უყურებს.

აივი ფრთხილად შემოდის ოთახში)

**აივი:** ფრონტის ხაზი თავისუფალია?



**პატარა ჩარლზი:** ბოლომდე არა.

**აივი:** რას უყურებ?

**პატარა ჩარლზი:** ტელევიზორს.

**აივი:** შეიძლება შენთან ერთად ვუყურო?

**პატარა ჩარლზი:** სიამოვნებით. (ქალი ჩამოუჯდება გვერდით, ერთად უყურებენ ტელევიზორს) კინაღამ გავაფუჭე საქმე, არა?

**აივი:** ხო.

**პატარა ჩარლზი:** მიბრაზდები?

**აივი:** ნწ. (ხელებს ჩაკიდებენ ერთმანეთს)

**პატარა ჩარლზი:** მეტი, მოდი, გავთამამდები.

**აივი:** ვიცი.

**პატარა ჩარლზი:** მინდა, რომ ყველამ გაიგოს - ის ვიპოვე, რასაც სულ ვეძებდი. ესე იგი, გამოდის... რომ არა ვარ მთლად წყალწაღებული.

**აივი:** ჰა-მეტი! (კაცი შეხედავს) ჩემი გმირი ხარ. (კაცი დაუფიქრდება ამ სიტყვებს... და სახეზე ღიმილი გადაეფინება. ელექტრონულ პიანინოსთან მიდის, ჩართავს.)

**პატარა ჩარლზი:** მოდი ჩემთან. პედლებს დააჭირე. (ქალი გვერდით ჩამოუჯდება) ეს შენთვისაა დავწერე. (უკრავს და ჩუმად, მაგრამ გრძნობით მღერის უცნაურ სასიყვარულ სიმღერას. შუა სიმღერისას მეტი ფეი შემოდის სამზარეულოდან, ჩარლი უკან მოჰყვება)

**მეტი ფეი:** ეი, ლიბერაჩე. აზრზე მოდი, სახლში ვბრუნდებით.

**აივი:** ჩემთან დარჩებით?

**პატარა ჩარლზი:** კარგი...

**მეტი ფეი:** არა, სახლში უნდა წავიდეთ და იმ დამპალ ძაღლს მივხედოთ.

**აივი:** ხომ იცით, რომ ჩემი სახლის კარი თქვენთვის ღიაა.

**მეტი ფეი:** (ჩარლის) ოჰ... შეხედე საყვარელო, პატარა ჩარლზს ტელევიზორი ჩაურთავს.

**ჩარლი:** მადლობა, აივი.

**პატარა ჩარლზი:** არა, მე....

**მეტი ფეი:** (აივის) ეს იმდენს უყურებს მაგ ტელევიზორს, რომ ტვინი გაუწყალდა.

**აივი:** აჭარბებ.

**მეტი ფეი:** (პატარა ჩარლზს) რას უყურებდი ამასწინათ რომ წაგასწარი?

**პატარა ჩარლზი:** არ მახსოვს.

**ჩარლი:** მეტი ფეი...

**მეტი ფეი:** ძალიან კარგად გახსოვს, რაღაცა სულელური შოუ იყო, ცოლებს რომ უცვლიან ერთმანეთს.

**პატარა ჩარლზი:** არ მახსოვს.

**მეტი ფეი:** ესე იგი, არ გახსოვს.

**ჩარლი:** კარგი რა, მეტი ფეი...

**მეტი ფეი:** რა ცუდია, რომ ეგეთი სამსახური არ არსებობს, სადაც დაჯდები და ტელევიზორის ყურებაში ფულს გადაგიხდიან.

**ჩარლი:** მეტი ფეი, ყველანი დადლილები ვართ.

**მეტი ფეი:** მაშინ კი არ მოგეწონებოდა ტელევიზორი, სამსახურში რომ გევალებოდეს ყურება.

**ჩარლი:** მეტი ფეი...

**მეტი ფეი:** (აივის) გითხარი, რომ ფეხსაცმლის მაღაზიიდანაც გამოაგდეს?

**ჩარლი:** მეტი ფეი, ახლავე ჩავსხდებით მანქანაში და მაგ ბიჭს კიდევ რაიმე საძაგლობას თუ ეტყვი, ციოდე, მაგ სქელ ირლანდიურ ტრავს პანჩურებით გაგიხეთქვა. გასაგებია?

(მეტი ფეი გაოგნებული გახედავს ჩარლის)

**მეტი ფეი:** რაო, რა თქვი?

**ჩარლი:** ბავშვებო, გადით ოთახიდან. (აივი და პატარა ჩარლზი გადიან სახლიდან. ბარბარა, იქვე შეყოვნდება, ჩარლი და მეტი ფეი მას ვერ ამჩნევენ) არ მესმის, რა საჭიროა ეგეთი საძაგლობების ლაპარაკი. აი, გიყურებთ შენ და შენს დას და ვერ ვხვდები, ადამიანებს ეგრე რატომ ელაპარაკებით. ვერაფრით ვერ ვხვდები, რატომა რ შეიძლება ცოტა პატივისცემით რომ მოექცეთ სხვებს. არა მგონია, რაიმე გამართლება ჰქონდეს ასეთ საქციელს. ჩემი ოჯახის წევრები ასე არ ექცეოდნენ ერთმანეთს.

**მეტი ფეი:** ეგ ალბათ იმიტომ, რომ შენი ოჯახი...

**ჩარლი:** არ გაბედო ჩემს ოჯახზე რაიმეს თქმა. გაფრთხილებ. დღეს ძალიან საყვარელი კაცი დავმარხეთ. კი, ბევრი ნაკლი ჰქონდა, მაგრამ კეთილი, კარგი და წესიერი ადამიანი იყო. და ბევრლის ხსოვნის შეურაცხყოფაა, როცა ასეთ დღეს შენს შვილს გაუთავებლად ლანძღავ. ოცდათვრამეტი წელია, ცოლ-ქმარი ვართ. და ჩემთვის ეს წლები ძალიან ძვირფასია, მაგრამ თუ გულში პატარა ადგილიც არა გაქვს, სადაც საკუთარი შვილისადმი მოწყალება დაგეტეოდა, იცოდე, ოცდაცხრამეტ წელს ვერ მივაღწევთ. (გადის. მეტი ფეი შეამჩნევს ბარბარას)

**ბარბარა:** მაპატიე, არ მინდოდა მიყურადება. უბრალოდ, გავშემდი.

**მეტი ფეი:** ხო. სიგარეტი ხომ არა გაქვს, საყვარელო?

**ბარბარა:** არა, დიდი ხნის წინ დავანებე.

**მეტი ფეი:** მეც. უბრალოდ მომინდა, ბარბარა. დღეს, სანამ ვსადილობდით... იმ საშინელ სუფრასთან, მომეჩვენა, რომ...

**ბარბარა:** რა?

**მეტი ფეი:** მომეჩვენა, რომ აივისა და პატარა ჩარლზს შორის რაღაც ხდება. ხომ არ იცი, სიმართლეა?

**ბარბარა:** აჰ, ეგ... არ ვიცი, რა ვთქვა, ეგ...

**მეტი ფეი:** უბრალოდ მითხარი, სიმართლეა თუ არა.

**ბარბარა:** კი, სიმართლეა.

**მეტი ფეი:** გასაგები. არა, ეგ არ მოხდება.

**ბარბარა:** მაგათი გადარწმუნება ძნელი იქნება. ხომ იცი, აივი და პატარა ჩარლზი ყოველთვის თავისებურები იყვნენ... ვხვდები, რომ ძალიან ძნელია შენთვის...

**მეტი ფეი:** ბარბ...

**ბარბარა:** მგონი, მართლა ძალიან უყვართ ერთმანეთი. ან, ასე ჰგონიათ თვითონ. თუმცა, ეგ ხომ ერთი და იგივეა. დარწმუნებული ვართ, შენი და დედაჩემის ძალიან ეშინიათ...

**მეტი ფეი:** საყვარელო...

**ბარბარა:** ხო, მესმის, რომ ძალიან უცნაურია, როცა დეიდაშვილები ერთად არიან, მაგრამ დღეს ხომ...

**მეტი ფეი:** დეიდაშვილები არ არიან.

**ბარბარა:** ... თუ გინდა, ნუ დაიჯერებ, მაგრამ არც ისე იშვიათია, როგორც...

**მეტი ფეი:** ბარბარა. მომისმინე. დეიდაშვილები არ არიან-მეთქი.

**ბარბარა:** ბატონო?

**მეტი ფეი:** პატარა ჩარლზი შენი დეიდაშვილი არ არის. შენი ძმია. ღვიძლი ძმა. შენი დეიდაშვილი არ არის. შენი ნახევარ-ძმია. მამაშენის შვილია. ანუ, აივის ძმად ეკუთვნის. გაიგე? პატარა ჩარლზი და აივი და-ძმა არიან.

**ბარბარა:** არა, ეს... არ, შეუძლებელია, არა.

**მეტი ფეი:** მომისმინე... (კარენი და სტივი შემოდინ)

**ბარბარა:** არა, შებრუნდით.

**კარენი:** უბრალოდ გავ...

**ბარბარა:** სამზარეულოში დაბრუნდით! ახლავე! ყველანი სამზარეულოში დარჩით! (კარენი და სტივი სამზარეულოში შებრუნდებიან). არა, შეუძლებელია. რას ამბობ. რანაირად... დარწმუნებული ხარ?

**მეტი ფეი:** კი.

**ბარბარა:** შენ და მამაჩემი.

**მეტი ფეი:** ხო.

**ბარბარა:** ვინმემ იცის?

მეტი ფეი: მე და შენ.

ბარაბრა: ძია ჩარლზი აზრზე არაა.

მეტი ფეი: ამაზე არასოდეს გვილაპარაკია.

ბარაბრა: რაა?!

მეტი ფეი: ამაზე არასოდეს გვილაპარაკია-მეთქი. გაიგე?

ბარაბრა: მამამ იცოდა? (მეტი ფეი თავს უქნევს)

მეტი ფეი: იცი, რომ საერთოდ არ ვამაყოფ ამ საქციელით.

ბარაბრა: კარგი ერთი. თქვენ მე გამაგიჟებთ, ხალო. რა იყო, დათვერით? რა მოხდა, უბრალოდ ისე...

მეტი ფეი: არა, მთვრალი არ ვყოფილვარ. ალბათ, დაუჯერებლად გეჩვენება, ახლა რომ მიყურებ, შენ ასეთს მიცნობ მთელი ეს წლებია. შენთვის ერთი ბებერი, გასიებული დეიდა ვარ. მაგრამ სინამდვილეში სულ სხვანაირი ვარ, საყვარელო... სულ სხვანაირი. ჩარლი, რა ტქმა უნდა, მართალია. როგორც ყოველთვის. არ ვიცი, რატომ გამიცრუა პატარა ჩარლზმა ასე მწარედ იმედები. ალბათ... არ ვიცი, რატომ. ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი იმედგაცრუებაა. შეცდომა დავუშვი, დიდი ხნის წინ. კი ბატონო, ჯანდაბას. და დავისაჯე ამ შეცდომისთვის. სამართლიანად.

ბარაბრა: აივი რომ ეს გაიგოს, ჭკუიდან გადაცდება.

მეტი ფეი: მე ნამდვილად არ ვეტყვი. შენ რამენაირად უნდა შეაჩერო ეს ამბავი. რამენაირად უნდა დააშორო.

ბარაბრა: მე რატომ?

მეტი ფეი: მე ვარ აქ უფროსიო, ხომ თქვი, არა?

## სცენა 2

*სამზარეულოდან ხითხითი ისმის. ჯინი და სტივი ფრთხილად მოიძურწებიან სამზარეულოდან სასადილო ოთახში, თან საზიარო ჯოინტს ეწევიან. გოგოს მუხლებამდე მაისური აცვია და თეთრი წინდები; კაცს სპორტული შარვალი და უმკლავებო მაისური.*

*სხვებს სძინავთ. კარენს სასტუმრო ოთახში სძინავს გასაშლელ ტახტზე. ბილს მატრასზე კაბინეტში.*

სტივი: შშშშ.... (ჯინი ჩაიხვიხვინებს) თორე მაგრა დამერხევა.

**ჯინი:** არა მგონია, რაიმე ცუდს ვაკეთებდეთ.

**სტივი:** არა, მაგრამ დიდი ექვი მაქვს, ამათ არ მოეწონებათ, კლინტონის პრეზიდენტობის დროს დაბადებულ გოგოსთან ერთად მარიხუანას რომ ვეწევი.

**ჯინი:** მამა ბუშის.

**სტივი:** გადასარეგია. ბუშებზე და ბუჩქებზე ნუ ლაპარაკობ, კარგი? თორემ აღვეგზნები და დამერხევა.

**ჯინი:** (იცინის) ავადმყოფი ხარ...

**სტივი:** .... და მერე თავზე პასუხს არ ვაგებ.

**ჯინი:** აუ, მართალი იყავი, ძან ძლიერია ეს მოსაწევი.

**სტივი:** ფლორიდაა, აბა, რა გეგონა. მთელ ინდუსტრიაში ნომერ პირველები ვართ.

**ჯინი:** დიდი ამბავი.

**სტივი:** გეუბნები, მართლა პირველები ვართ. პარავოზი გინდა?

**ჯინი:** ჰა?

**სტივი:** არ იცი, ეგ რას ნიშნავს?

**ჯინი:** როგორ არ ვიცი.

**სტივი:** ოღონდ, შენ რომ იცი, ეგრე კი არა - მოდი. ტუჩები ახლოს მომიწიე და რასაც მე ამოვისუნთქავ, შენ ჩაისუნთქე.

**ჯინი:** კაი. (კაცი მოსაწევს პირში იდებს ანთებული მხარით, მათი ტუჩები თითქმის ეხება ერთმანეთს, როცა მარიხუანას კვამლს გოგოს პირში უშვებს. გოგო ლამის იხრჩვება)

**სტივი:** შეიკავე. არ გამოუშვა. (გოგო ბოლოს და ბოლოს ამოაფრქვევს ბოლს, ახველებს)

**ჯინი:** ვაიმე.

**სტივი:** გგლიჯა, ხო?

**ჯინი:** ვაიმე, ჩემი, რა მაგარია.

**სტივი:** (იცინის) ხოდა, ეგრე.

**ჯინი:** ვაიმე, ღმერთო... (გოგო წაბორძიკდება, ყანყალებს. კაცი დაიჭერს)

**სტივი:** ფრთხილად...

**ჯინი:** ვაიმე, ძან დამარტყა თავში.

**სტივი:** კარგად ხარ? ახლა გულისწასვლები არ გვინდა, კარგი?

**ჯინი:** არა, კარგად ვარ. ო, ღმერთო.... (ახველებს) მართლა ვგრძნობ, აი, აქ, მკერდში. (კაცი ძუძუებისკენ გაიწვდის ხელს)

**სტივი:** მაჩვენე, აბა. (გოგო თავიდან მოიშორებს)

**ჯინი:** გარყვნილო ბებერო.

**სტივი:** არა, მართლა, ძან საკაიფოები გაქვს. რამდენი წლის ხარ?

**ჯინი:** 15 წლის ვარ, პედოფილო.

**სტივი:** მაჩვენე რა.

**კომო:** არა, პედოფილო.

**სტივი:** ჩშშ. მიდი, მაჩვენე. არ შევხედავ.

**ჯინი:** თუ არ შეხედავ, რანაირად უნდა გაჩვენო.

**სტივი:** კაი, კაი, მაშინ შევხედავ.

**ჯინი:** (ხეპრე ბიჭის ხმით) „ე, გოგო, მიდი რა ძუძუები მაჩუენე“ ...

**სტივი:** მიდი, ჩვენ ხო პარტნიორები ვართ!

**ჯინი:** არა!

**სტივი:** სასწაული პარტნიორები არ ვიყავით, კარტს რომ ვთამაშობდით?

**ჯინი:** დაივიწყე.

**სტივი:** შენ შენები მაჩვენე და მე ჩემს გაჩვენებ.

**ჯინი:** არ მინდა შენის ნახვა.

**სტივი:** როდესმე გინახავს?

**ჯინი:** კი.

**სტივი:** არა, არ გინახავს.

**ჯინი:** კი-მეთქი, ქალიშვილი არ ვარ.

**სტივი:** არა?

**ჯინი:** ტექნიკურად არა. უფრო სწორედ, ტექნიკურად ვარ. ანუ, თეორიულად არ ვარ.

**სტივი:** ხო, მაშნ სულ სხვა საქმეა. (უახლოვდება)

**ჯინი:** რას აკეთებ?

**სტივი:** არაფერს.

**ჯინი:** იცოდე, ორივე მაგარ შარში გავეხვევით.

**სტივი:** 30-ს გადაცილებული თეთრკანიანი მამაკაცი ვარ. მე შარში არ ვეხვევი ხოლმე. (სინათლეს ჩააქრობს. სრული სიბნელეა)

**ჯინი:** ეეე..

**სტივი:** ჩშშშ.... (კვნესა, სტივის გახშირებული სუნთქვა სიბნელეში. ზედა შუქი ინთება. სასადილოს შემოსასვლელში ჯონა დგას, ხელში ტაფა უჭირავს. ჯინი და სტივენი ცალ-ცალკე სხედან, ტანსაცმელი აჩაჩული აქვთ)

**ჯინი:** ღმერთო!

**სტივი:** რა ჯანდაბაა! (ჯონა უახლოვდება სტივს) ე, მანდ დადექი, ქალბატონო, აზრზე არა ხარ, რას... (ჯონა ტაფას მოუქნევს, ოდნავ ასცდება სტივის ცხვირს). ე, მეთქი, ცოტა ფრთხილად! (სტივი ცდილობს, ტაფა წაართვას. ჯონა ისევ მოუქნევს და ხელში მოარტყამს) აუჩ! დედასშევეცი...! (იჯღანება, ხელი ძალიან ეტკინა. ჯონა მაგრად მოიქნევს და შუბლში ხეთქავს ტაფას. სტივი წაიქცევა. ჯონა თავზე დაადგება, აცდის, როდის წამოდგება ფეხზე, მაგრამ კაცი არც აპირებს. სახლის სხვა ნაწილებში: ბილი, ბარბარა და კარენი სხვადასხვა ადგილას იღვიძებენ, სასადილოსკენ მოდიან. კარენი ხედავს იატაკზე დაგდებულ სტივს და კივის)

**კარენი:** რა მოხდა?! (ჯონა და ჯინი ერთმანეთს გადახედავენ. კარენი სტივთან მიდის, თავს აუწევს.) სტივ, რა მოხდა? (სტივი გმინავს) მითხარი, რა მოხდა.

**ჯონა:** ჯინს აწუხებდა.

**კარენი:** სისხლი გაქვს, საყვარელო. კარგად ხარ? (სტიმი ისევ გმინავს, ცდილობს, წამოდგეს. ახლა უკვე ბილი და ბარბარაც შემოდიან სასადილო ოთახში, ორივეს პიჟამები აცვია).

**ბარბარა:** ჯინ, რატომ არ გმინავს? რა ხდება...?

**ჯინი:** ჩვენ... რაქვია... არ ვიცი...

**ბარბარა:** ვინ ჩვენ? დამელაპარაკე, კარგად ხარ?

**ბილი:** ამას რა მოუვიდა?

**ჯინი:** კარგად ვარ, კი.

**კარენი:** არ ვიცი.

**ბარბარა:** ჯონა, რა ხდება?

**ჯონა:** ჯინს აწუხებდა. ხოდა, გავთიშე.

**ბარბარა:** რას ქვია „აწუხებდა“?

**ბილი:** რაო... ეგ რას ნიშნავს?

**ჯონა:** კოცნიდა და ხელებს უფათურებდა.

(ერთი წამით ნათვამს იაზრებენ. მერე ბარბარა მივარდება სტივს, რომელიც ამასობაში ფეხზე წამომდგარა. იმპროვიზაცია. კარენი შუაში ჩაუდგება. ბილი უკნიდან იჭერს ბარბარას, ცდილობს, გვერდით გაათრიოს. იმპროვიზაციული ტექსტი)

**ბარბარა:** მოგკლავ, შე ნაბიჭვარო!

**ბილი:** (კარენს) გაათრიე ეგ აქედან.

**სტივი:** არაფერი არ გამიკეთებია!

**ჯინი:** დედა, გეყოფა!

**კარენი:** დაწყნარდით!

**ბილი:** შედი სასტუმრო ოთახში.

**ბარბარა:** იცი, ეს ბავშვი რამდენი წლისაა?

**სტივი:** (ჯინს) უთხარი, რომ არაფერი არ დამიშავებია!

**ბარბარა:** თოთხმეტი წლისაა!

**ჯინი:** დედა!

**სტივი:** თხუთმეტის ვარო.

**ბარბარა:** სულ გააფრინე ხო?

**კარენი:** ბარბარა, უკან დაიწიე მეთქი! (კარენი სტივს სასადილო ოთახიდან გააგდებს, მისაღებში. შემდეგი სცენის განმავლობაში ტანზე იცვამენ და ჩანთებს ალაგებენ.

ბარბარა, ბილი, ჯინი და ჯონა სასადილოში რჩებიან)

**ბარბარა:** ვაიმე, ღმერთო! ამ გამოყლევებული ნაბიჭვრის გჯერა?

**ბილი:** არ ვიცი, არ ვიცი. დაწყნარდი.

**ბარბარა:** „დაწყნარდი“? ეგ დამპალი ნაბიჭვარი სოციოპათია! რა ხდება, რა უბედურება ხდება!

**ბილი:** (ჯინს) კარგად ხარ?

**ჯინი:** კი, მე კარგად ვარ და თქვენ რა გჭირთ?

**ბარბარა:** ჩვენ?

**ჯინი:** გეხვეწები, არ გინდა ეს ისტერიკა.

**ბილი:** აბა, თავიდან მოყევი ახლა, რა მოხდა.

**ბარბარა:** რატომ არ გძინავს?

**ბილი:** გთხოვ, საყვარელო, ყველაფერი უნდა გვითხრა, რაც აქ მოხდა.

**ჯინი:** არაფერი არ მომხდარა. არ შეიძლება, ყველაფრისგან ქვეყნის მასშტაბის კრიმინალი არ შევქმნათ? ვერ ვიძინებდი, სამზარეულოში ჩამოვედი წყლსი დასაღევად, მერე ეგეც შემოვიდა... მორჩა, სულ ეგ იყო.

**ბარბარა:** არა, არ მორჩენილა.

**ბილი:** არა, არ მორჩენილა.

**ჯინი:** ცოტა მოვწიეთ. ძალიან ცოტა და ვბოდილობდით, და მერე ამხელა ამბავი ატეხეთ.

**ბარბარა:** მაგ სამაგლობის მოწევაზე მე რა გითხარი?

**ბილი:** და ჯონამ ასე უბრალოდ გლიჯა თავში ტაფა? არა მგონია.

**ჯინი:** ნეტა დაგანახათ თქვენი თავი, სასაცილოები ხართ. დიდი ამბავი, ისეთი არაფერი მომხდარა.

**ბილი:** შენზე ვლელავთ.



**ჯინი:** არა, არ ღელავთ. უბრალოდ, ჩემი დასჯა გინდათ.

**ბარბარა:** ახლავე შეწყვიტე...

**ჯინი:** კარგ და ცუდ ტიპებს შორის განსხვავებას ვერ ხვდებით და გინდათ, მე გაგირჩიოთ...

**ბარბარა:** არ მაინტერესებს ახლა ეს შენი ლექციები. უბრალოდ მითხარი, რა გაგიკეთა!

**ჯინი:** არაფერი არ გაუკეთებია! და რომც გაეკეთებინა, დიდი ამბავი!

**ბილი:** დიდი ამბავი ისაა, ჯინ, რომ თოთხმეტი წლის ხარ.

**ჯინი:** შენ სულ ცოტათი უფროსები მოგწონს, ხო? (ბარბარა სახეში გაარტყამს ჯინს; ჯინს ცრემლები წასკდება) მეზიზღები!

**ბარბარა:** ხო, მეც მეზიზღები, შე აუტანელო ბავშვო! (ჯინი ცდილობს, გავიდეს, ბილი ხელს ჩაავლებს)

**ბილი:** ჯინ...

**ჯინი:** გამშვი! (ჯინი გამოეხსნება, გარბის)

**ბილი:** (ბარბარას) რა დაგეტაკა? (ბილი ჯინს გაეკიდება)

**ჯონა:** მაპატიეთ. (ჯონა გადის, ბრუნდება თავის მანსარდაში. ბარბარა ცოტა გონს მოვა, გადადის სასტუმრო ოთახში. სტივს ამასობაში ჩაუცვამს და გასულა, ჩემოდნებიანად. კარენი სვიტერს იცვამს, დარჩენილ ნივთებს აგროვებს, საწოლს აკეცავს)

**კარენი:** შენი ნოტაციები არ მჭირდება ახლა.

**ბარბარა:** უკაცრავად?

**კარენი:** მივდივარ. მივდივართ. ფლორიდაში ვბრუნდებით, ამაღამ, ახლავე. მე და სტივი ერთად. ოღონდ, არ მითხრა, რომ ძალიან გეწყინება.

**ბარბარა:** ერთი წუთით, მოიცა...

**კარენი:** აჯობებს, ჯინთან გაარკვიო, ზუსტად რა მოხდა, სანამ თითის გაშვებას დაიწყებ, მეტი არაფერი მაქვს სათქმელი. რაღაც ეჭვი მეპარება, ჯინი მთლად უდანაშაულო იყოს ამ ამბავში. ისე არ გამიგო, რომ მაგას ვაბრალებ რამეს, რახან ვამბობ, უდანაშაულო არ იქნება-მეთქი. იმის თქმა მინდა, რომ მაგანაც უნდა აიღოს თავზე პასუხისმგებლობის წილი. ხომ გესმის ჩემი? ვიცი, რომ სტივს უფრო მოეთხოვებოდა ჭკუა, ჯინი ხომ მხოლოდ თოთხმეტი წლისაა. უბრალოდ, ასეც არაა საქმე, რომ ყველაფერი შავი ან თეთრი, კეთილი ან ბოროტი იყოს. სიმართლე ყოველთვის სადღაც შუაშია. ყველა ჩვენგანი ასე ცხოვრობს, სადღაც შუაში, შენ გარდა.

**ბარბარა:** კარენ...

**კარენი:** სტივის დაცვას არ ვაპირებ. ნამდვილად არაა სრულყოფილი. ყველანი ეგეთები ვართ, მიწიერები. არც მე ვარ ანგელოზი. ისეთი რამეები მიკეთებია, რითაც ახლა საერთოდ არ ვამაყოფ. რასაც შენ ვერასოდეს გაიგებ. იცი რა? შეიძლება მომავალშიც ჩავიდინო რამე ეგეთი. იმიტომ, რომ ზოგჯერ ცხოვრება ეგრე მოგაქცევს ხოლმე

კუთხეში. ბოლოს და ბოლოს, მეც ხომ ადამიანი ვარ. ჰოდა, სანამ ჩვენ დაგვიწყებ ჭკუის სწავლებას, ჯერ საკუთარ პრობლემებს მიხედე.

**ბარბარა:** მართალია.

**კარენი:** იანვარიც დადგება... ბელიზში გავემგზავრები. ხო მაგარია, არა? (კარენი გადის, ჩემოდანს მიაგორებს. შემოდის ბილი)

**ბილი:** ჯინი მიმყავს. სახლში ვბრუნდებით.

**ბარბარა:** მშვენიერია.

**ბილი:** შენ არ გაქვს ახლა მისი თავი.

**ბარბარა:** ჰო, ალბათ... (პაუზა) ყველაფერში ჩავფლავდი. როგორც და, როგორც დედა, როგორც ცოლი. ჩავფლავდი.

**ბილი:** არა.

**ბარბარა:** არა? სულ რაღაც ცხრა საათის განმავლობაში ჯერ დედას და მერე ჯინს თავს დავესხი. ცოტა ხანს აქ კიდევ თუ დარჩები, ალბათ, პენისს მოგაჭრი.

**ბილი:** არ მეცინება.

**ბარბარა:** ჯინთან შერიგება ახლა არ შემიძლია. დამელოდოს, სანამ ბოლდერში დავბრუნდები.

**ბილი:** შენ და ჯინს წინ კიდევ ერთი ორმოცი წელი გაქვთ, საჩხუბრად და მერე შესარიგებლად.

**ბარბარა:** (იბნევა) რატომ, ორმოცი წლის მერე რა მოხდება?

**ბილი:** მოკვდები.

**ბარბარა:** აჰ, ხო.

**ბილი:** ანუ...

**ბარბარა:** არა. მართალი ხარ.

**ბილი:** თუ ძალიან გაგიმართლა.

**ბარბარა:** რახან შენ იტყვი.

**ბილი:** თუ ძალიან გაგვიმართლა. (პაუზა)

**ბარბარა:** ჩემთან არასოდეს არ დაბრუნდები, არა, ბილ?

**ბილი:** რა იცი, რა ხდება, მაგრამ...

**ბარბარა:** მაგრამ, არა.

**ბილი:** მაგრამ არა.

**ბარბარა:** თუ შენ და მარშას არაფერი არ გამოგივათ, მაინც არა, ხო?

**ბილი:** სინდის.

**ბარბარა:** სინდის.

**ბილი:** ხო. თუ არაფერი არ გამომივა, მაინც.

**ბარბარა:** და მაინც ვერ მივხვდები, რატომ, არა?

(ბილი ყოყმანობს, თითქოს რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ მერე...:\_)

**ბილი:** ალბათ, ვერა. (სიჩუმე. ბილი კარისკენ წავა. ბარბარა აკვირდება და ტირის.

**ბარბარა:** მიყვარხარ... მიყვარხარ... (კაცი ერთხანს შეჩერდება, ქალისკენ ზურგიით გადის. ბარბარა დგას, მარტო.)

### სცენა 3

*კაბინეტი: ბარბარა და ჯონა იმავე განლაგებით, როგორც ბევრელი და ჯონა ისხდნენ პროლოგში. ბარბარა ნაყლაპშია. ხელში ვისკის ჭიქას ატრიალებს.*

**ბარბარა:** ბოლოს მამაჩემს რომ ველაპარაკე... არ ვიცი, სამყაროს მდგომარეობაზე, თუ რაღაც ეგეთზე... და მეუბნება: „იცი, ეს ქვეყანა ყოველთვის ბორდელი იყო, მაგრამ რაღაც იმედი მაინც არსებობდა. ახლა ერთი აქოთებული ტუალეტიაო.“ ახლა ვხვდები, რომ ალბათ, სხვა რამეზე ლაპარაკობდა, რაღაც კონკრეტულზე, თავის პირადზე... ამ სახლზე? ამ ოჯახზე? თავის ქორწინებაზე? საკუთარ თავზე? არ ვიცი. სევდიანი ხმა ჰქონდა... არა, არა, რა სევდიანი, ეგ ისედაც ყოველთვის სევდიანი იყო... უფრო უიმედობა ეტყობოდა. თითქოს მოსახდენი უკვე მოხდაო. გასაქრობი უკვე გამქრალიყო. თითქოს მეტისმეტად გვიანი იყო. თითქოს უკვე ყველაფერი დამთავრდაო. და ვერავინ ვერ შეამჩნია, როგორ გაუჩინარდა. ს ქვეყანა, ეს ექსპერიმენტი, ამერიკა, ეს თავდაჯერებულობა: რა სავალალოა, რომ ვერავინ ვერ შეამჩნია, როგორ გაქრა. დღეს გაქვს და ხვალ ქრება. (პაუზა) ასე აორთქლება ბევრად უარესია, ვიდრე დიდი კატაკლიზმები.

**ჯონა:** მისის ფროდჰემ, სამსახურიდან მაგდებთ?

**ბარბარა:** ბარბარა დამიძაზე. არა, არა. რას ამბობ. უბრალოდ, შანსს გაძლევ, თვითონ წახვიდე. ანუ... მესმის, რომ სამსახურია... მაგრამ ბოლოს და ბოლოს - მე ხომ აქ ვარ. მიმიოხედე. აქ სხვა არავინაა. ანუ, მხოლოდ მე ვარ - მაგრამ ნამდვილად აქ ვარ? იმის თქმა კი არ მინდა, რომ შენი დახმარება აღარაა საჭირო. უბრალოდ, მე ხომ ჯერ კიდევ აქ ვარ. ჯანდაბა.

**ჯონა:** მე მზად ვარ, დავრჩე. კარგად ვიცი ეს საქმე. შემიძლია თავი გავართვა. თქვენთვის ან მისის უესტონისთვის არ ვაკეთებ ამას. არც მისტერ უესტონისთვის. ხომ გესმით? ჩემთვის ვაკეთებ.

**ბარბარა:** რატომ?

**ჯონა:** მუშაობა მჭირდება. (ბარაბრა ჩამთავრებს ვისკის სმას)

**ბარბარა:** ჯონა... მამაჩემმა რა გითხრა? (პაუზა)

**ჯონა:** ძალიან ბევრი ილაპარაკა თავის ქალიშვილებზე და შვილიშვილზე. მისთვის ეს იყო სიხარული.

**ბარბარა:** მადლობა. თავს უკეთ ვგრძნობ. ვხვდები, რომ ტყუილები შეგძლებია. (პაუზა) მინდა, რომ დარჩე აქ. ხელფასზე ნუ დელავ. მე მოვაგვარებ მაგას. (ჯონა თავს დაუკრავს. გადის. ბარბარა კიდევ დაისხამს ვისკის. თავის თავს ელაპარაკება) მე ჯერ კიდევ აქ ვარ. ჯანდაბა.

## სცენა 4

*დარაბების მოხსნიდან მოყოლებული სახლში პირველად აღწევს დილის სინათლე. ბარბარა და შერიფი გილბო სასტუმრო ოთახში დგანან.*

**ბარბარა:** ყველანი... უბრალოდ გაქრნენ.

**შერიფი:** მე შენთან მინდოდა ლაპარაკი.

**ბარბარა:** კაი. დაჯექი. ყავას დალევ?

**შერიფი:** არა, მადლობა.

**ბარბარა:** ღმერთო, დეონ, რა კარგად გამოიყურები. მართლა... შევსებული ხარ. კარგი გაგებით. გადასარევად გამოიყურები.

**შერიფი:** მადლობა.

**ბარბარა:** ჩემზე რას იტყვი, მე არ გამოვიყურები კარგად?

**შერიფი:** ჰო, ბოდიში, რა თქმა უნდა, შენც ძალიან მაგრად გამოიყურები, მართლა.

**ბარბარა:** ყავა მინდაო, რა თქვი?

**შერიფი:** აჰ, არა, არა, მადლობა.

**ბარბარა:** და თან მაინცდამაინც შერიფი რომ გახდი. რა ირონიაა.

**შერიფი:** რატომაა ირონია?

**ბარბარა:** არა, არ არის. უბრალოდ, შეუთავსებელია. „ირონია“ რა შუაში იყო. ნეტა ჩემს ქმარს ესმოდეს ახლა რას ვლაპარაკობ. კაი, დავიკიდლოთ ჩემი ქმარი. არა, ისე, მართლა შეუთავსებელია.

**შერიფი:** რატომაა შეუთავსებელი?

**ბარბარა:** მამაშენის გამო....

**შერიფი:** ჰო, ახლა ვხვდები.

**ბარბარა:** ცოცხალია?

**შერიფი:** კი, თუ მაგას სიცოცხლე ქვია. ალჰაიმერი აქვს.

**ბარბარა:** რა საშინელებაა.

**შერიფი:** ნოვატაში, თავშესაფარში მყავს.

**ბარბარა:** ძალიან ვწუხვარ. ცოლი გყავს? ცოლიანი ხარ? უხ. ალები მაქვს. მაპატიე, რა თქვი, ყავა არ მინდაო? თუ ეგ უკვე გკითხე. ესე იგი, ცოლიანი ხარ.

**შერიფი:** გაშორებული.

**ბარბარა:** საერთო ამბავში ვყოფილვართ...

**შერიფი:** მართლა?

**ბარბარა:** უფრო სწორედ, მე გიერთდები ახლა მაგ ამბავში. დიდი შანსია, რომ შემოგიერთდე.

**შერიფი:** ვწუხვარ.

**ბარბარა:** შვილები გყავს?

**შერიფი:** სამი ქალიშვილი.

**ბარბარა:** აჰაჰაჰა. ერთი ამას დამიხედეთ.

**შერიფი:** ხო, აი, ვერ აგიხსნი...

**ბარბარა:** სამი ქალიშვილი, რა....

**შერიფი:** ვერ აგიხსნი, მთელი ეს წლები რამდენჯერ მიფიქრია თქვენზე, დებ უესტონებზე.

**ბარბარა:** დები უესტონები. რამდენი წელია, ასე არავის უთქვამს. თითქოს მომღერლების ჯგუფია.

**შერიფი:** ჰო, ეგრეა.

**ბარბარა:** „ქალბატონებო და ბატონებო... აღელვებული დები უესტონები“.

**შერიფი:** შენი ქმარი აქაა?

**ბარბარა:** რამდენიმე დღის წინ წავიდა. ერთი კვირის წინ? ორი კვირის წინ. ორი კვირის წინ? კოლორადოში დაბრუნდა, ჩემს ქალიშვილთან ერთად. ჯინთან ერთად.

**შერიფი:** ძალიან საყვარელი გოგო ჩანს.

**ბარბარა:** აჰ, ნიმფომანიაკია.

**შერიფი:** მართლა?

**ბარბარა:** „ჯინი“ - რა სულელური სახელია.

**შერიფი:** მე მომწონს.

**ბარბარა:** იცი, რატომ დავარქვით ეგრე? ბილი ჯინ სებერგის დიდი ფანია. აი, ესაა თუა ირონია.

**შერიფი:** ვერ მივხვდი.

**ბარბარა:** ჯინ სებერგმა თავი მოიკლა. ძან დიდი დოზა ბარბირტურატებით.

**შერიფი:** ოჰ.

**ბარბარა:** მაშ. (სიჩუმე)

**შერიფი:** ბარბარა, კარგად ხარ?

**ბარბარა:** (რბილად) კარგად ვარ. ცოტა ტკივილები მაქვს, უბრალოდ.

**შერიფი:** ვიფიქრე... ვიფიქრე, თუ აქ ცოტა ხანს დარჩენას აპირებ, სადმე ლანჩზე ხომ არ გავსულიყავით ერთად. ავანაზღაუროთ ჩამორჩენა. რამდენი წელია უკვე.

**ბარბა:** მმმ.

**შერიფი:** წამოხვალ ჩემთან ერთად ლანჩზე?

**ბარბარა:** მჰმ...

**შერიფი:** მაგრამ მარტო ამის სათქმელად არ მოვსულვარ. ვიღაც ქალმა დამირეკა სქუაიარ მოტელიდან. ძველ გაზეთებს ყრიდა და მისტერ უესტონის ფოტო და ნეკროლოგი დაინახა შემთხვევით. ეგრევე იცნო, ეგ კაცი ორი ღამე 17 ნომერ ოთახში ცხოვრობდაო, პირველი ორი ღამე, რაც დაიკარგა. (პაუზა) ასე თქვა, დარეგისტრირდა და მერე, სასტუმროდან წასვლამდე არ მინახავსო. არსად არ დაურეკავს. ვერანაირად ვერ შეამოწმებს, აქეთ თუ დაურეკა ვინმემ. კავშირგაბმულობაშ შევამოწმებინებ მაინც.

**ბარბარა:** სიგარეტი გაქვს?

**შერიფი:** კი, რა თქმა უნდა. (ჯიბეებს მოიქექავს) სატელეფონო კომპანიაში შევამოწმებინებ, ანუ. (მოუკიდებს სიგარეტზე ბარბარას)

**ბარბარა:** არავინა რ იცოდა, სად იყო. ალბათ... ცდილობდა, გამბედაობა მოეკრიბა წყალში გადასახტომად.

**შერიფი:** ან პირიქით, გადახტომის სურვილი გადაელახა.

**ბარბარა:** ხოლ? ვერ გავიგე, მაგრამ არა უშავს.

**შერიფი:** მოკლედ, მინდოდა, გცოდნოდა. (სევდიანი, წყნარი მომენტი) აბა... შეიძლება რო დაგირეკო რაღაც დროს? ლანჩის ამბავზე.

**ბარბარა:** მოდი აქ.

**შერიფი:** ბარბარა?

**ბარბარა:** ჩშშ. მოდი აქ... (კაცი არ მიდის) მოდი აქ... (კაცი მიდის. ქალი სახეზე ეხება) რა საყვარელია...

**შერიფი:** ბარბარა...

**ბარბარა:** უბრალოდ... ვეხები... (ქალი აკოცებს. კაცი ხელებს ჩაჰკიდებს, მაგრამ ქალი მოსცილდება)

**შერიფი:** ბარბარა...

**ბარბარა:** მე...

**შერიფი:** რა მოხდა?

**ბარბარა:** მე...

**შერიფი:** ბარბარა, რა თქვი? რაიმე თქვი?

**ბარბარა:** აღარც მახსოვს, როგორ გამოვიყურები.

## სცენა 5.

*ბარბარა, ჯერ კიდევ ღამის პერანგში, და აივი, სასადილო ოთახში. სახლს თითქოს მოჩვენებები დაეპატრონნენ. სახლის სხვა ნაწილებში: ჯონა სამზარეულოში სადილს აკეთებს.*

**აივი:** რას შვება, სუფთაა?

**ბარბარა:** წაუსუფთავებს.

**ბარბარა:** ანუ, ისევ შემჯდარია.

**ბარბარა:** ქალს ტვინი აქვს დაზიანებული, სულელო. რამდენი რაღაც სიტყვას აურევს, იმდენჯერ ხომ ვერ გავატიტვლებ გასაჩხრეკად....

**აივი:** ხომ ხვდები, რასაც გეკითხები.

**ბარბარა:** ზომიერად სუფთაა.

**აივი:** „ზომიერად?“

**ბარბარა:** „ზომიერად“ არ მოგწონს? კაი, მაშინ ასატანად იყოს.

**აივი:** სუფთაა თუ არა?

**ბარბარა:** შემეშვი. ვცდილობთ, როგორმე დავლაგდეთ, გესმის?

**აივი:** ვნერვიულობ.

**ბარბარა:** რატომ? ო, ღმერთო, აივი, არ მითხრა, რომ ამაღამ.

**აივი:** რატომაც არა?

**ბარბარა:** ძლივს ნორმალურ რიტმში გადავედით. და ახლა შენლა გვაკლდი, მაგ შენი პატარა პრობლემებით...

**აივი:** ხომ უნდა ვუთხრა, ბოლოს და ბოლოს. ხვალ მივდივარტ უკვე ნიუ-იორკში.

**ბარბარა:** ცუდი აზრია ეგ.

**აივი:** „ცუდი აზრი“.

**ბარბარა:** შენ და პატარა ჩარლზი ისევ ერთად რომ ხართ.

**აივი:** აი, ეგ რაღას ნიშნავს?

**ბარბარა:** დავფიქრდი ამასწინათ და ცოტა უცნაურია, სულ ესაა.

**აივი:** ეგ არაა შენი საქმე.

**ბარბარა:** თევზის მეტი რა არის ზღვაში. და შენ მაინცდმინც ერთადერთი უცოლო ნათესავი კაცი აირჩიე.

**აივი:** ისე მოხდა, რომ მიყვარს ეგ ნათესავი კაცი...

**ბარბარა:** გავკარი სიყვარულს, რა სირობაა. ადამიანს შეუძლია თავი დაირწმუნოს, რომ შეღებილი ქვა უყვარს, თუ მოინდომა. (ჯონას შემოაქვს საჭმელი სამზარეულოდან) კარგი რამე ჩანს, რა არის?

**ჯონა:** ლოქო.

**ბარბარა:** ეგენი ფსკერზე ბინადრობენ. ჩემი საყვარელი თევზია. (ჯონა ბრუნდება სამზარეულოში. მორე სართულის დერეფნიდან ვაიოლეტი შემოდის, ნელა უახლოვდება სასადილოს).

**აივი:** ანუ, არ ვუთხრა?

**ბარბარა:** მე მგონი, ყველაფერი კიდევ ერთხელ უნდა გადაიზროს შენ თვითონ. ნიუ-იორკში გადასვლა სისულელეა. თითქმის ორმოცდაათი წლის ხარ, აივი, რა გინდა ნიუ-იორკში, წაიქცევი სადმე და ძვლებს გადაიმსხვრევ. მიდი, თევზი ჭამე.

**აივი:** ამაზრზენი ხარ.

**ბარბარა:** მე კი არ ვჭიმაობ საკუთარ დეიდაშვილთან.

**აივი:** ამ ქალაქში ამდენი წელი ვიცხოვრე, იმის იმედით, რომ ჩემს ცხოვრებაში ვინმე გამოჩნდებოდა...

**ბარბარა:** აი, ეგ კარსონ მაკკალერსის მელოდრამები აღარ გინდა ახლა, გთხოვ. მოიწმონდე ეგ ტრაგიკული სიფათი და თევზი ჭამე.

**აივი:** ვინ მოგცა უფლება, ასე რომ მელაპარაკები? (ვაიოლეტი შემოდის სასადილოში)

**ბარბარა:** დე, როგორ ხარ? ნახე, ლოქო გვაქვს სადილად.

**ვაიოლეტი:** ლოქო.

**ბარბარა:** (გასძახებს) ჯონა! (ვაიოლეტს) არ გშია?

**ვაიოლეტი:** აივი, უნდა გაიღიმო, ჩემსავით. (ჯონა შემოდის)

**ბარბარა:** დედა უნდა ვასადილოთ. (ჯონა გადის)

**ვაიოლეტი:** არ მშია.



**ბარბარა:** დღეს არაფერი გიჭამია. არც გუშინ გიჭამია რამე.

**ვაიოლეტი:** არ მშია.

**ბარბარა:** დაჯდები და შექამ. რასაც მე გეტყვი, იმას გააკეთებ. ყველა იმას იზამს, რასაც მე ვეტყვი.

**აივი:** შეიძლება ვიკითხო, ასე ჩაუცმელები რატომ დადიხართ?

**ბარბარა:** რა გჭირს?

**ვაიოლეტი:** ხოლო...

**ბარბარა:** ჩაცმულები ვართ. შიშვლები ხომ არ ვსხედვართ, არა? თუ მაინცდამაინც უნდა გამოვიპრანჭოთ ხოლმე?

**ვაიოლეტი:** ხო, აბა რა, თევზის საჭმელად მოხვედი და...

**ბარბარა:** ხო, აბა რა, თევზის საჭმელად მოხვედი და ჩვენ აქ გამოპრანჭულები უნდა დაგხვდეთ. (ჯონას ორი თეფში საჭმელი მოაქვს)

**ჯონა:** მე ჩემს ოთახში ვისადილებ.

**ბარბარა:** კარგი. დიდი მადლობა. (ჯონა გადის. ვაიოლეტს) ჭამე.

**ვაიოლეტი:** არა.

**ბარბარა:** ჭამე. დედა. ჭამე.

**ვაიოლეტი:** არა.

**ბარბარა:** ჭამე მეთქი, შე ნაბოზარო. ახლავე შეჭამე თევზი.

**ვაიოლეტი:** გაეთრიე აქედან!

**ბარბარა:** ეგ ნომერი არ გაგივა. ახლავე ჭამე ეგ თევზი, შე ნაბოზარო.

**აივი:** დედა. რაღაცაზე უნდა დაგელაპარაკო.

**ბარბარა:** არა, არ დაელაპარაკები.

**აივი:** ბარბარა...

**ბარბარა:** არ დაელაპარაკები-მეთქი. ენა ჩაიგდე.

**აივი:** გთხოვ...

**ვაიოლეტი:** რაზე უნდა დამელაპარაკო?

**აივი:** დე...

**ბარბარა:** გეყოფა. დედა, ჭამე ეს დამპალი თევზი.

**ვაიოლეტი:** არ მშია.

**ბარბარა:** შეჭამე-მეთქი.

**ვაიოლეტი:** არა!

აივი: დედა, მე უნდა...

ვაიოლეტი: არა!

აივი: დედა!

ბარბარა: შეჭამე თევზი, შე ნაბოზარო!

აივი: დედა, გთხოვ!

ვაიოლეტი: ბარბარა...!

ბარბარა: კარგი, მკიდია, რაც გინდა ის გიქნია.

აივი: რაღაც უნდა გითხრა.

ბარბარა: აივი ლესბოსელია.

ვაიოლეტი: რა?

აივი: ბარბარა...

ვაიოლეტი: არა, არა ხარ.

აივი: არა, დედ, არა ვარ.

ბარბარა: კი, ხარ. თევზი შეჭამე?

აივი: ბარბარა, გეყოფა!

ბარბარა: თევზი შეჭამე-მეთქი.

აივი: ბარბარა!

ბარბარა: შეჭამე თევზი.

ვაიოლეტი: ბარბარა, გაჩუმდი ახლა...

აივი: დე, გთხოვ, ძალიან მნიშვნელოვანია...

ბარბარა: ჭამეთევზიჭამეთევზიჭამეთევზი.... (აივი კერძიან თევს კედელს ესვრის) რას აკეთებ...

აივი: რაღაცის თქმა მინდა.

ბარბარა: ახ, ასე არა? (აივი კომოდიდან ვაზას და დაამსხვრევს) მეც შემოიძლია ეგრე გაგიჟება... (ვაიოლეტი თავის თევს ამსხვრევს) აჰა, ყველას შეგვძლებია...

აივი: მე და ჩარლზი...

ბარბარა: არ გინდა, ჩვენთან ერთად გაგიჟდე, მიდი ამის დედაც!

აივი: მე და ჩარლზი...

ბარბარა: ჯონა?! პატარა ტაბლეტები მოგვართვი!

აივი: ბარბარა, გეყოფა! დედა, მე და ჩარლზი...

ბარბარა: პატარა ჩარლზი...

აივი: მე და ჩარლზი...

ბარბარა: პატარა ჩარლზი...

აივი: მე და ჩარლზი...

ბარბარა: პატარა ჩარლზი...

აივი: ბარბარა....

ბარბარა: „პატარა ჩარლზი“ თუ არ დაუძახე, ვერ მიხვდება, ვისზე ლაპარაკობ.

აივი: მე და პატარა ჩარლზი... (ბარბარა ჩაწყნარდება. აივის, როგორც იქნა, სიტვის თქმის საშუალება ეძლევა) მე და პატარა ჩარლზი...

ვაიოლეტი: შენ და პატარა ჩარლზი და-ძმა ხართ. ვიცი ეგ.

ბარბარა: დედა...

აივი: რაა? არა, მომისმინე, პატარა ჩარლზი...

ვაიოლეტი: ყოველთვის ვიცოდი ეგ. ხომ გითხარი, მე ვერავინ ვერაფერს გამომაპარებს.

აივი: დედა...

ბარბარა: არ მოუსმინო.

ვაიოლეტი: სულ ვიცოდი, რომ ბევს და მეტი ფეის რაღაც ჰქონდათ. ჩარლიც კი უნდა მიმხვდარიყო, ამდენს რომ არ ეწეოდეს.

ბარბარა: ტაბლეტებზეა, ეგ ალაპარაკებს.

ვაიოლეტი: ტაბლეტებს ლაპარაკი არ შეუძლიათ.

აივი: მოიცა...

ვაიოლეტი: მამაშენი მაგის გამო ოცდაათ წელზე მეტი იტანჯებოდა, მაგრამ ბევრელი ხომ იცით, როგორი იყო, აუცილებლად რაღაცა უნდა გამოეძებნა, რითაც თავს დაიტანჯავდა.

აივი: დედა, რას მეუბნები...

ბარბარა: ვაიმე, საყვარელო...

ვაიოლეტი: უკვე დროა, რომ იცოდეთ, გოგოებო, დიდები ხართ. კაცმა არ იცის, იქნებ უცებ თირკმელი დაგჭირდეთ. ასე აჯობებს, ყველამ სიმართლე იცოდეს.

აივი: ვაიმე, ღმერთო...

ვაიოლეტი: თუმცა, დიდად ვერ ვხვდები, პატარა ჩარლზისთვის თქმას რა აზრი აქვს, პატარა გული არ გაუსკდეს. (აივის) ოღონდ, ვერ ვხვდები, შენ საიდანღა გაიგე? (აივი ხან ბარბარას გახედავს, ხან ვაიოლეტს... წამოხტება და სკამს ააყირავებს)

ბარბარა: აივი?

აივი: რატომ მითხარი? რა ჯანდაბა გინდოდა, რატომ მითხარი?

ვაიოლეტი: მოიცა, ასე რატომ განიცდი?

აივი: მონსტრები ხართ.

ვაიოლეტი: კარგი რა...

აივი: ჩვენი განადგურება გინდათ...

ვაიოლეტი: აფრენ შენ.

აივი: მონსტრები.

ვაიოლეტი: ერთი წუთით, ნაწყენი აქ მე უნდა ვიყო. (აივი გავარდება სასადილოდან სასტუმრო ოთახში. ბარბარა გაჰყვება)

ბარბარა: აივი, მომისმინე...

აივი: თავი დამანებე!

ბარბარა: საყვარელო...

აივი: არ მოგცემ ამის უფლებას!

ბარბარა: როცა მეტი ფეიმ მითხრა, არ ვიცოდი, რა მექნა...

აივი: ჩემს ცხოვრებას არ შეგაცვლევინებ! (აივი გადის. ბარბარა მისდევს, ვერანდაზე დაიჭერს)

ბარბარა: მომისმინე-მეთქი: შენი დაცვა მინდოდა...

აივი: მაინც წავალთ. მაინც წავალთ და ვერასოდეს ველარ გვნახავ.

ბარბარა: ასე არ დამტოვო.

აივი: მორჩა, ვერასოდეს ველარ მნახავ.

ბარბარა: ჩემი ბრალი არ არის. მე არ მითქვამს, დედამ გითხრა. მე რა შუაში ვარ, დედამ გითხრა.

აივი: რა განსხვავებაა. (აივი გადის. ბარბარა სახლში ბრუნდება. ვაიოლეტი სასტუმრო ოთახში დგას და სიგარეტს უკიდებს)

ვაიოლეტი: შენც ხომ ხვდები, რომ აივის პატარა ჩარლზთან ერთად გაქცევის უფლებას ვერ მივცემდით. არ იქნებოდა სწორი. აივის ადგილი აქ არის.

ბარბარა: მაინც წავალ.

ვაიოლეტი: აჰ, არა, არ წავალ. საყვარელი გოგოა აივი და გაგიჟებით მიყვარს. მაგრამ სუსტია. შენ კი არ გგავს. ან მე.

ბარბარა: მართალია. (პაუზა) ამდენი წელი მამას და მეტი ფეის ამბავი მართლა იცოდი?

ვაიოლეტი: აბა რა. უბრალოდ, არასოდეს არ მითქვამს, რომ ვიცოდი. მამაშენი ხვდებოდა. ხვდებოდა, რომ ვიცოდი. ყოველთვის იცოდა, რომ ვიცოდი. მაგრამ ამაზე არასოდეს გვილაპარაკია. ამაზე მაღლა დავიჭირე თავი.

ბარბარა: ჰო.

**ვაიოლეთი:** ახლა რომ მქონდეს შანსი, ვეტყვოდი: „იმედია, პატარა ჩარლზის ამბავზე არ დარდობ, ხომ იცი, რომ მე ყველაფერი ვიცი.“ იმ სასტუმროში რომ მიმესწრო, ვეტყვოდი „ამოიგდე თავიდან ეგ ძველი ამბავი. და თანაც, რაც არ უნდა ცუდად იყო, ეგ არ გაძლევს უფლებას, ასე აიწყვიტო და გაიქცე.“

**ბარბარა:** სასტუმროში რომ მიგესწრო?

**ვაიოლეთი:** ხო, იმ სასტუმროში დავურეკე, ქანთრი სქუაირში...

**ბარბარა:** ხო, ქანთრი სქუაირი...

**ვაიოლეთი:** მაგრამ უკვე გვიანი იყო, გამასწრო. ორშაბათს დავურეკე, მას შემდეგ, რაც შემნახველ სეიფამდე მივაღწიე. ხომ მოგიყევი, ორშაბათს ველოდებოდი, ბანკი რომ გაეღოთ, იმ სეიფიდან ყველაფერი რომ წამომეღო. ალბათ, შემემძლო, უფრო ადრეც დამერეკა სასტუმროში, ან პოლიციაში, ან აივისთვის. მაგრამ მე და ბევრლი ხომ შევთანხმდით.

**ბარბარა:** რა იცოდი, სად იყო?

**ვაიოლეთი:** წერილი დამიტოვა. იქ ეწერა, შეგიძლია ქანთრი სქუაირში დამირეკო. მეც დავურეკე, ნამდვილად დავურეკე, ოღონდ, ორშაბათს დავურეკე.

**ბარბარა:** მას მერე, რაც სეიფი გახსენი.

**ვაიოლეთი:** ასეთი შეთანხმება გვქონდა.

**ბარბარა:** მამა რომ შეგეჩერებინა, სეიფის გახსნა არ დაგჭირდებოდა.

**ვაიოლეთი:** ჰო, რომ შემეჩერებინა...

**ბარბარა:** იმ წერილში ეწერა, რომ თავის მოკვლას აპირებდა? (სიჩუმე) დედა?

**ვაიოლეთი:** ჩემთვის რომ ეკითხათ, სულ სხვანაირად მოვიქცეოდი. მაგრამ მე, მე და მამაშენი...

**ბარბარა:** ორივე აფრენდით. ნამდვილი გიჟები.

**ვაიოლეთი:** შე უმადურო გოგო, კარგი იქნებოდა, შეგეგნო, რომ ბევრლის თავის მოსაკლავად კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა და ეს მიზეზი შენ ხარ. დაფიქრდი, იქნებ ყველაფერი სხვანაირად ყოფილიყო, აქ რომ დარჩენილიყავი? ამ სახლში, ამ სიბნელეში მხოლოდ მე და ბევრლი ვიყავით, შენგან მიტოვებულები, არადა, შენ გამო ვიცხოვრეთ მთელი ცხოვრება. მიდი ახლა, დამარტყი, არ დამინდო, გამასამართლე, მაგრამ გახსოვდეს, რომ მამაშენის სისხლში გაქვს ხელები მოთხვრილი. მარტო მე კი არა, შენც. (სიჩუმე. ვაიოლეთი შედის კაბინეტში. ბარბარა უკან მიყვება) თვითონ ჩაიღინა, ასე რომ ჩვენი კი არა, მისი საქციელია. ამაზე სასტიკი რა უნდა იყოს, ვინმემ გადაწყვეტილების მიღება მაიძულოს. და რაში ჭირდებოდა? რომ დავესუსტებინე, ჩემი გამძლეობა გამოეცადა? ველოდი, ველოდი, სანამ იმ სეიფამდე მივაღწევდი, მაგრამ ეგეც რომ არ ყოფილიყო, მაინც დაველოდებოდი. გინდოდა გაგეკრვია, ვინ უფრო ძლიერია, არა, ბევ? ჩემზე ძლიერი არავინ არაა. როცა არაფერი აღარ დარჩება, ყველაფერი გაქრება, მე აქ ვიქნები. აბა, რას იტყვი, ვინ აღმოჩნდა უფრო ძლიერი, შე ნაბიჭვარო?

**ბარბარა:** ჰო, დედა. შენ ყველაზე ძლიერი ხარ. (ბარაბარა აკოცებს, გადის კაბინეტიდან. ვაიოლეტი ეძახის.)

**ვაიოლეტი:** ბარბარა?

(ბარბარა იღებს თავის ჩანთას, მოძებნის მანქანის გასაღებს)

ბარბარა?

(ბარბარა დგას და უსმენს)

ბარბარა, გთხოვ.

(ბარბარა სახლიდან გადის)

გთხოვ, ბარბარა, გეხვეწები.

(ვიოლეტა სასტუმრო ოთახში დაეძებს)

ბარბარა? სად ხარ?

(მისაღებში გადადის)

აივი, აივი, აქ ხარ? ბარბ...

(სამზარეულოში შედის)

ბარბ? აივი?

(თავგზაბნეული დადის, პანიკაშია. შედის კაბინეტში)

ბევ?

(ბრუნდება სასტუმრო ოთახში, მუსიკალურ ცენტრთან მიდის, ჩართავს კლუბტონს... აკვიდრება ფირფიტას. დაბნეული, აღელვებული მიმოიხედავს)

ჯონა?

(კიბეზე ადის, მერე მილოღავს, დაოთხილი)

ჯონა, ჯონა, ჯონა...

(ადის მეორე სართულზე. ჯონა დადგამს თევს და კიბეს უახლოვდება. ვაიოლეტი გზას აგრძელებს, და ოთხზე მიოხობავს კიბის საფეხურებზე, მანსარდისკენ. ჯონას ოთახში შედის. ჯონას ხელებზე მოეჭიდება. ჯონა თავს დაუჭერს, თმაზე ეფერება, არწევს)

წახვედით, ბევრლი, შენც წახვედი, ბარბარაც წავიდა, წახვედით, წახვედით, წახვედით...

(ჯონა ჩუმად ღიღინებს სიმღერას)

**ჯონა:** This is the way the world ends, This is the way the world ends, This is the way the world ends...

**ვაიოლეტი:** წახვედით, წახვედით, წახვედით, წახვედით....

(სიბნელე)

დასასრული